ბაზიური გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№206 (264) 5-12 თებერვალი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ყველაფერი არაფერსა და არარაობებზე...

(ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს)

ამ წერილს მადლობის სიტყვებით დავიწყებ, რადგან თქვენ გაანთავისუფლეთ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა აღვირახსნილ ნაციონალთა პარპაშისაგან. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით საქართველო მხოლოდ ნაწილობრივაა განთავისუფლებული ამ აშკარად ანტიქართული ძალისაგან, რადგან სიბოროტისა და ბოღმის განსახიერება მთავარი ნაციონალი, ქართველი ხალხისათვის უკვე პრეზიდენტყოფილი, თქვენთვის კი, ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზების გამო, ჯერ კიდევ პრეზიდენტად მიჩნეული არარაობა – მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდე თბილადაა მოკალათებული ავლაბრის ავადსახსენებელ რეზიდენციაში და იქიდან უშენს სრულიად საქართველოს შხამიან ისრებს!

გეკითხებით – **როდემდის?**

ნუთუ ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდით პირადად თქვენ და საქართველოს პარლამენტის წევრები, რომ სააკაშვილი უცხო ქვეყნის რეზიდენტი და ქართველი ერის დაუძინებელი მტერი გახლავთ?

კიდევ რა უნდა მოიმოქმედოს ამ სიმახინჯის სიმბოლოდ ქცეულმა არარაობამ, რომ მის ბინძურ მისწრაფებებში დარწმუნდეთ და საბოლოოდ მიუჩინოთ მას ადგილი ისტორიის სანაგვეზე?

ვაითუ, მისთვის ჩვეულებად ქცეული, ისეთი მორიგი რამ სიბოროტე ჩაიდინოს, რომელიც შემდეგ ძვირად დაგიჯდებათ პირადად თქვენც და სრულიად საქართველოსაც?!

იქნებ გაიხსენოთ ნუგზარ საჯაია, ზურაბ ჟვანია, ბადრი პატარკაციშვილი, რომელთა საეჭვო დაღუპვაც და სხვა პოლიტიკური მკვლელობებიც ამ არაკაცისა და პირწავარდნილი მკვლელის სახელს უკავშირდება?!

საქართველო ხომ პოლიტიკური მკვლელობების არენად აქციეს ჯერ ავადსახსენებელმა ედუარდ შევარდნაძემ, შემდეგ კი მის უბეში გამოზრდილმა და დაფრთიანებულმა სომეხმა რეაქციონერმა სააკიანცმა.

გაიხსენეთ საქართველოს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელიც თქვენსავით ტოლერანტობას იჩენდა უცხოური მომტერო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ შემოთესლილი არარაობების მიმართ, რაც შემდეგ მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მას მუხლზედაჩოქილი ეხვეწებოდა შინაგანი ჯარების სარდალი: ნება მომეცი და თბილისის ზღვაზე მოკალათებულ კიტოვანს ნახევარ საათში მხრებგაკოჭილს ჩამოგიყვანო, მაგრამ ზვიადი არ დათანხმდა: შეტაკებაში თუნდაც ერთი ქართველი რომ დაიღუპოს, ამას ისტორია არ გვაპატიებს და, თანაც, დასავლეთის სამყაროსაც არ შეექმნება კარგი წარმოდგენა ჩვენზეო!

ყველაფერი კი პირიქით მოხდა – კიტოვანმა და მისმა ამფსონმა ბანდიტებმა გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს და საქართველოში ქვეყნის დამაქცევარი შევარდნაძე ჩამოიყვანეს, ზვიადს დევნილობაში ამოხადეს სული, შემდეგ კი ათიათასობით ქართველის სისხლიც დაღვარეს, მაგრამ ისტორიის წინაშე დანაშაული არც კიტოვანს უგრძვნიათ, არც სულაძაღლებნულ იოსელიანს, არც ედუარდ შევარდნაძეს და არც მის ჭინკადქცეულ მოწაფეებს – სააკიანცებს, დარჩიევ-წუნკლაურებს და არც სხვა ჩიორებსა თუ კუბლაშვილებს, დასავლეთმა კი საერთოდ ფეხებზე დაგვიკიდა და ხელიც კი შეუწყო ქვეყნის სათავეში ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის აშკარად არაქართული ხელისუფლების მოსვლას!

პირიქით, დასავლეთი და ჩვენი ნაძირალა **“ნაცები”** თავსაც კი გვამადლიან – ქვეყანას ზვიად გამსახურდიას სიბნელე ჩამოვაშორეთ და ჭეშმარიტი დემოკრატიის გზაზე შევაყენეთო.

ჩვენი ბრალია ყველაფერი, დროულად რომ არ აღვუდექით წინ ამ უმსგავსოებას!

იქნებ თქვენც იგივე შეცდომას უშვებთ, როცა არაფერს აკეთებთ საიმისოდ, რომ პრეზიდენტობის ვადაგასულმა სააკაშვილმა დროულად დატოვოს ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენცია და სავსებით **“დამსახურებულად”** გადაინაცვლოს პოლიტიკურ მოუსავლეთში.

მგონი, თქვენც დასავლეთის სახელმწიფოების გერიდებათ, იმ ბინძური დასავლეთის სამყაროსი, რომელთა ჩინოვნიკებიც სააკიანცის მიერ ქრთამად გაღებულ ბინძურ ფულს არიან დახარბებულები და ყოველნაირად ცდილობენ შავი თეთრად წარმოგვიდგინონ!

სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ ვერასგზით ვერ მოახერხეს სამართალდამცავებმა მიხეილ სააკიანცისათვის თუნდაც ერთი ბრალდების წარდგენა, იმ მრავალ დანაშაულთა გათვალისწინებით, რაც ამ არაკაცმა საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ ჩაიდინა?!

ნუთუ ასე ძნელია თქვენი დარწმუნება იმაში, რომ სააკაშვილი და მისი თანამზრახველები პირწავაედნილი სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან, თუ თქვენც ზვიად გამსახურდიასავით იმისი გერიდებათ, თუ რას იტყვის დასავლეთი? განა კიდევ ვერ დარწმუნდით, რომ დასავლეთისათვის საქართველო კარგად მეწველი ძროხაა, საიდანაც ისინი კრედიტებად და დახმარებებად გამოყოფილი თანხებისათვის უხვად იღებდნენ **“ატკატებს”** და ახლა სწორედ თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით სურთ საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილისა და მისნაირი ხელმრუდი ადამიანების დატოვება?!

იქნებ სჯობდეს, რომ ერთი ქართულად, მადლიანად შევუკურთხოთ იმ დასავლეთს, რომელმაც ერთდოლარიან ფინანსურ დახმარებას საქართველოში ასდოლარიანი შხამი და ბოღმა შემოაყოლა, რომელიც დაუნდობლად ებრძვის ყოველივე ლამაზ ტრადიციულს, ებრძვის ეროვნულ სიწმინდეებს გვინადგურებს რელიგიურობას, ამკვიდრებს ფსევდოდასავლურ ღირებულებებს, ერთსქესიანთა ქორწინებას, ჰომოსექსუალიზმს, ლესბოსელობას, სისხლის აღრევას, ნიჰილიზმსა და ირონიას ავლენს ქალიშვილობის ინსტიტუტისადმი...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

განა სწორედ საერთაშორისო სიყალბის ეტალონად ქცეული დასავლეთი არ უმტკიცებდა მთელ სამყაროს, რომ სააკაშვილი **“დემოკრატიის შუქურა”** გახლდათ?

ახლა კი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ფასადი შეულამაზონ ამ წვრილმან პოლიტიკურ პროვოკატორს და მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული მიჩქმალონ!

ესენი ხომ ის ევრო-ამერიკელები არიან, სულსა და ჯიბეში რომ უძვრებიან რუსებს, ჩვენ კი რუსეთისაკენ გახედვას გვიკრძალავენ, რადგან რუსული ბაზრის მსუქე ლუკმის ერთი ნამცეციც კი არ ემეტებათ ციცქნა საქართველოსათვის...

ღორები არიან და იმიტომ!

ღორს კი მორალი და ზნეობა არ ეხება – იგი მხოლოდ სალაფავის შოვნის ინსტინქტით სულდგმულობს!

განა რამე სიკეთის მომტანი იქნება საქართველოსათვის დასავლეთის ამგვარი დაბინძურებული პოლიტიკური სტანდარტები, რითაც ისინი ყველას ნაცარს აყრიან თვალებში?

მეორეც – განა თავად ნაცებმა არ მოგვცეს ევროსტრუქტურებისადმი აგდებული დამოკიდებულების კლასიკური მაგალითი, როცა გათავხედებულმა და საქართველოში ჩადენილი ყველა დანაშაულის თანამონაწილე სააკაშვილმა მაუდის ქვეშ ამოსდო ევროსასამართლოს მიერ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გამოტანილი სამართლიანი განაჩენი და თავის ამგდები პასუხი გაუგზავნა მათ!

განა სწორედ სააკაშვილმა არ შეიწყალა სანდრო გირგვლიანი მკვლელი გამხეცებული **“სამართალდამცავები”**, რათა მათ მინისტრს, საქართველოს მთავარ მკვლელსა და მშვიდობიანი დემონტრანტების დამრბევ ივანე მერაბიშვილს და მის მეუღლეს – სანდრო გირგვლიანის მხეცური მკვლელობის უშუალო მონაწილეს თაკო სალაყაიას დისკომფორტი არ ეგრძნოთ?

მოსთხოვა ვინმემ ევროსტრუქტურებიდან პასუხი მიხეილ სააკაშვილს ამგვარი თავხედობისათვის?

მოსთხოვა ვინმემ პასუხი სადისტ, ნარკომან, მექალთანე და შეურაცხად მიხეილ სააკაშვილს იმაზე, რომ საქართველოს ციხეები სრულიად უდანაშაულო ხალხით გაავსო?

არა და არა!

ნაცვლად იმისა, რომ ევროსაბჭო მიესალმოს საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რეკომენდაციებით მიღებულ კანონებს პოლიტპატიმრების ცნობისა და მათი განთავისუფლების თაობაზე, იგი ყველაფერს ყირაზე აყენებს – უზნეო და ცრუპენტელა სააკაშვილის ნაყალბევ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ევროსტრუქტურები დანაშაულად გვითვლიან დამნაშავეთა დასჯის სამართლიან პროცესებს, არად მიიჩნევენ, რომ ქვეყნიდან, მოსალოდნელი დამსახურებული სასჯელის მიზღვის შიშით, გაქცეულები არიან იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ყოფილი მთავარი პროკურორი, დანაშაულში ეჭვმიტანილი სხვა მაღალჩინოსნები...

მიზანშეწონილად არ თვლიან იმ სახედაკარგული ჩინოვნიკების დასჯას, რომელთაც შუბლზე ტატუირებული უნდა ჰქონდეთ ერთადერთი სიტყვა – **“ცოცხი”!**

მაშ, მიგვიფურთხებია იმ ევროსტრუქტურებისათვის, რომელიც **“ნაცებივით”** შერჩევითი სამართლიანობის პრინციპით არჩევს საქმეებს!

თქვენ კი მშვიდად ელოდებით ოქტომბრის თვის დადგომას და ანგარიშს არ უწევთ მილიონზე მეტი ქართველის სულისკვეთებას, რომელმაც თავისი ხელმოწერით დაადასტურა არაადამიანი მიხეილ სააკაშვილის გადადგომის აუცილებლობა, რადგან მას 2013 წლის იანვარში გაუვიდა პრეზიდენტობის ვადა.

როდემდე უნდა ვითმინოთ ამ ლაფშმორღვეული დორბლიანი არარაობის ცოფიანი ყეფა და საქართველოს ბოღმანარევი ლანძღვა სხვადასხვა მაღალი ტრიბუნებიდან?

როდემდე უნდა ვითმინოთ მოქალაქე სააკაშვილის ბანდის ნარჩენების პარპაში საქართველოში და მათი ურცხვი დეკლარაციები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლებიდან მათი ჩამოშორების შემდეგ საქართველოში ფეხს იკიდებენ არადემოკრატიული ტრადიციები. როგორი მოსასმენია ყოველივე ეს იმ ადამიანის სახედაკარგული არსებებისაგან, რომელთაც დააკანონეს ციხეებში პატიმრების წამება, მათი გაუპატიურება და საქართველოში შექმნეს ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი გარემო?!

საინტერესოა, რატომ უნდა ველოდოთ ოქტომბერს, როცა, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, უკვე 2013 წლის იანვარში თავისუფალი უნდა ვიყოთ **“ნაციონალებად”** წოდებული შავი ჭირისაგან?

ისიც ფაქტია, რომ ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების ნაწილი გახლეჩილი და ერთმანეთს დაპირისპირებულია. ამის ნათელი დასტური გახლავთ თუნდაც ის, რომ ქართველი ერის ღირსეული შვილი, ცნობილი კინორეჟისორი, მსოფლიო კინოს პატრიარქი, უხუცესთა დარბაზის თავმჯდომარე რეზო ჩხეიძე მოუწოდებს სრულიად საქართველოს, რომ დროულად გაინთავისუფლოს თავი სააკაშვილის საძულველი რეჟიმისაგან, ამ დროს კი, მეორე, ასევე ცნობილი კინორეჟისორი ელდარ შენგელაია ფრიად საძრახის საქმეს სჩადის, როცა ყავლგასული, თვითმარქვია პრეზიდენტ სააკაშვილისაგან მოწყალედ იღებს ქვეყნის უმაღლეს ჯილდოს – ბრწყინვალების ორდენს!

რა გარანტია გვაქვს, რომ სკამს ჩაბღაუჭებული არარაობა – სააკაშვილი სათავისოდ არ გამოიყენებს საზოგადოებაში არსებულ ამ წინააღმდეგობას, რაც იოლად შეიძლება გადაიზარდოს მორიგ სისხლისღვრაში, მით უმეტეს, როცა საქართველოს არასოდეს აკლდა უცხო ქვეყნებიდან შემოთესლილი პროვოკატორები და საბოტაჟის მოწყობის დიდოსტატები!

ამასობაში კი უცხოეთიდან საქართველოსაკენ ლეშს დანატრებული ბუზებივით მოფრინავენ საეჭვო რეპუტაციის მქონე პირები, თუნდაც ისეთები, როგორიც არის შევარდნაძის პერიოდის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხაბურძანია, რომელიც ვალდებული იყო აღეკვეთა ქუჩის ბიჭ-ბუჭების კირკიტაძეების, კეზერაშვილებისა და უგულავების შეჭრა პარლამენტში, რასაც **“ვარდების რევოლუციად”** წოდებული გულისამრევი მოვლენა მოჰყვა. სწორედ ხაბურძანია უყვიროდა პარლამენტის ფანჯრიდან ამ ქუჩის ბაცნებს: **“დროზე შემოდით, თორემ დაგაგვიანდებათო”**. და ეს მაშინ, როცა იმ დღეს, პარლამენტში შესვლისას, იმდროინდელ დეპუტატი, ყველა დროის საამაყო ქართველი ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი ოთხჯერ გაჩხრიკეს!

აქედან გამომდინარე, სრული უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ ვალერი ხაბურძანია არის ავადსახსენებელი **“ვარდების რევოლუციის”** მხარდამჭერი და სააკაშვილის ფარული მომხრე!

საეჭვოა, ამ დროს, თქვენი ასეთი სიმშვიდე და სიჩუმე, ბატონო ბიძინა!

ძალიან საეჭვოა!

რ. შალამბერიძე

მოგზაურობანი

სარწმუნოება სამურზაყანოელ მწყემსისა. – მიქამ-გარიო. – მთის წყალი. – ჩაქუხა. – წყალში ბანაობა აკრძალულია. – მიქამ-გარიოსტობა. – მთა და თაყვანისცემა. – ნაშთი ასტროლატრიისა. – ჯუჯა ხალხი და ადამიანის გაჩენა.

მიქელ-გაბრიელმა ურჩია მწყემსს, შენი ფარა მთაში გარეკე, ნუ მიხედავ, ისედაც არა უჭირს-რაო. მწყემსმა დაუჯერა. ერთი წელიწადი გავიდა, – თავისი ფარა არ მოუკითხავს. წლის გასულს კი წავიდა ცხვრის სანახავად. ფარა ერთიორად გამრავლებულიყო, ყველა საუცხოოდ დასუქებულა. გაეხარდა მწყემსს. მადლობა შესწირა თავის მწყალ;ობელს. მიქელ-გაბრიელმა უთხრა: თუ გინდა, შენს ცხვარს თითო ხარის ფასად გაგაყიდვინებ. მუშთარსაც აქვე აგიჩენო.

მეორე დღეს მუშთარი მოვიდა და მწყემსმა თითო ცხვარი ხარის ფასად გაჰყიდა. გამდიდრდა საშინლად. დაიწყო მეფური ცხოვრება. მიქელ-გაბრიელსაც დაპირებული შესწირა.

* * *

სხვათა შორის, მთაზე წყლებია საუცხოო. ისე ფეხს ვერ გადადგამთ, ცივისა და ანკარა წყლის ჩაქუხას რომ არ წააწყდეთ. ზოგი ჩახრიალა 15-20 მხარის სიმაღლიდან ეხეთქება სალ კლდესა, ბოლი ასდის, იბნევა მარგალიტებივით და ჰნამავს ნაკადულის კალაპოტის მუქ მწვანე ჩარჩოსა. ჩახრიალაა დამამრღვეველი აქაური სიჩუმე-მყუდროებისა. შორს გაისმის მისი ტკბილი, დამამშვიდებელი, ნირშეუცვლელი შხუილი.

ამ ნაჩხრიალებს ქვეშ ბანაობა მეტადა რგებს ადამიანსა. პირველში ხამი კაცისათვის ძნელია ცივი ტემპერატურის ატანა აქაური ჩაქუხისა, რომელსაც სათავე აქავე აქვს, დაუმდნარ თოვლქვეშ. იმას-და მოახერხებს კაცი, ერთხელ გადაისხას ტანზე ყინულივით ცივი წყალი., მერე თანდათან შეეჩვევა და მოთხოვნილებად გადაექცევა ჩაქუხას ქვეშ ბანაობა. მე ისე შევეჩვიე, რომ ერთხელ დილის ექვს საათზე ვბანაობდი, როცა გარშემო ჯერ სიცივე იდგა და მზე ძლივს იყო ამოსული, ერთს შუადღისას და მესამეჯერაც – საღამოს, მზის ჩასვლისას. აქაურ წყალში ბანაობის შემდეგ კაცს ჭამის მადა ემატება, რაღაც განახლებასა გრძნობს, რაც უნდა აღმართი იყოს, ისე აირბენს, ქშენა არც კი აუტყდება.

* * *

მაგრამ მწყემსები კი ძალიან ერიდებიან აქაურ წყლებში ბანაობას. საკვირველი საფუძველიცა აქვს მათს ამგვარ თავდაჭერასა. ჩემს ბანაობას რომ უყურებდნენ, როგორც **“მოჯგირეს”** (მოკეთეს), ხათრით ვერაფერს მეუბნებოდნენ, თორემ სხვას ვერ მოვუთმენთ ასეთ საქციელსო, შიშველი კაცის ნახვა მთას არ ესიამოვნებაო. მწყემსებს სწამთ აგრეთვე, რომ მიქელ-გაბრიელი, ანუ როგორც მოკლედ ეძახიან, მიქამ-გარიო, ზეციდან რომ ჩამოდის, ტანს მარტო ამ მთების წყალში იბანსო, ბარის წყალი არ ვარგა, ყველა შიგ ურევს ხელსაო. იმათი აზრით, მიქამ-გარიოს საბანებელ წყლის გამურტლება არავის ეპატიება. ეგ არის, ახლა დროება წახდა, ადამიანი გაამაყდა, მიქამ-გარიოს შიში და რიდი დაეკარგა, თორემ წინათ ამ წყლებში პირის დაბანას ვერიდებოდით, არამც თუ ტანისაო.

* * *

აქაურ მთებზედ ეგრეთ წოდებული მიქამ-გარიოს ტბაც არის. სახელად ერგეძაშრა (მიქელ-გაბრიელის ტანის საბანი ტბა) ჰქვიან.

ეს ტბა ოქუმიდან ორი დღის სავალზე მდებარეობს. მრგვალია. გარშემო ერთი ვერსი სივრცე ექნება. წყალი ამ ტბისა შრატის ფერია. გარშემო მაღალი კლდეები არტყია, საიდანაც წყლები უერთდება. ტბის წყალს მხოლოდ ერთგანა აქვს გამოსასვლელი. აქედან გამოსული წყალი მერე მნდინარე ენგურს ერთვის. მახლობლად შემდეგი მთები უძევს: ჩამჰარხ, ბაშკაფსარა და ანაყუ. უკეთესს კაცის თვალი ამ მთაზე ვერაფერს ნახავს! მწყემსის ფანტაზიამ კიდეც იმიტომ გახადა ეს ტბა მიქელ-გაბრიელის საკუთრებად, მარწმუნებდნენ, მიქელ-გაბრიელი ამ ტბაში ბანაობდა წინადაო. ამიტომ, ძეხორციელი ვერ მიეკარებოდა: ვერც ხელს იბანდა შიგ და ვერც ტანსაო. ახლაც ერიდებიან ამ წყალში ხელ-პირის ბანას. თავისი ისტორიაცა აქვს ამ ტბას, რომელიც მწყემსებმა მიამბეს.

ერთი მწყემსი იყო, სახელად ბოში ერქვა. მთელი ზაფხული ცხვარი აძოვა მთაზე, კარგად გაასუქა. ღვარობისთვეს (მეგრულად – ღვარალა-თუთა. მწყემსები ენკენისთვეს ეძახიან. ამ თვეში მთაზე ცუდ ამინდს იჭერს ხოლმე, ღვარი იცის ხშირი. მწყემსები ამ თვის შემდეგ მთაზე ვერა ჩერდებიან და ბარად ჩამოდიან) ცხვარი ბარად ჩამორეკა, გაჰკრიჭა და, რადგან კარგი დარები იდგა და ზამთრის მოახლოების ნიშნები ჯერ არსად არა სჩანდა, ისევ უკან დაბრუნდა. საღამოს ერგეძაშრას (მიქელ-გაბრიელის საბანაო ტბის) ნაპირად დაბინავდა. რომ დაღამდა, ტბიდან ერთი კარგი თეთრი ვერძი გამოვიდა და მისი ცხვარი ყველა დანერგა. მეცხვარე გაოცებული შესცქეროდა ამ მოჩვენებასა. ვერძი მეორე ღამესაც გამოვიდა ტბიდან. ამის შემდეგ ბოშის მთაზე თვე-ნახევარი მოუგვიანდა.

მეორე გაზაფხულზე უმცროსმა ძმამ უთხრა, წლეულ უეჭველად მე წავალ მთაზეო. ბოში უარზე დადგა, მაგრამ უმცროსმა ძმამ მაინც თავისი გაიტანა.

დაირეკა უმცროსმა ძმამ ცხვარი და ისიც ერგეძაშრასთან მივიდა. საღამოს ტბიდან ვერძი გამოვიდა და ცხვარს ნერბვა დაუწყო. გაუკვირდა მწყემსს, ვერ მოითმინა და შესძახა. ცხვრის ფარა დაფრთხა; რასაკვირველია, ვერძიც დაფრთხა, და ტბაში ჩაეშვნენ.

ცარიელი დაბრუნდა შინ, დაღონებული, უმცროსი ძმა და ბოშის თავისი თავგადასავალი უამბო. ეწყინა ბოშის ეს ამბავი, – აკი გითხარი, ნუ წახვალ, თორემ რასმე ცუდს შეემთხვევი-მეთქი.

ბოშიმ მაშინვე აიღო: სოინარი (ლარჭემი), ჭიანური, ჩონგური და ავიდა ერგეძაშრასთნ. დაჯდა ნაპირას და რიგრიგად ჯერ ერთი დაუკრა, მერე – მეორე, მერე – მესამე, თანაც დაამღერა. საკრავების ხმაზე ტბიდან ცხვრები ყველანი გამოვიდნენ სათითაოდ. სიხარულისაგან გაიკვირვა ცხოვრების ამოსვლა უმცროსმა ძმამ და კიდევ შესძახა. ცხვარი ხელახლა ჩაეშვა წყალში. მწარედ დაღონდა ბოში, ბევრი იმღერა, დაუკრა საკრავებზე, მაგრამ ცხვარი არ ბრუნდებოდა. უჩემცხვროდ მე რადად მინდა სიცოცხლეო, – წამოიძახა სასოწარკვეთილმა ბოშიმ და ცხვარს თვითონაც გადაჰყვა წყალში.

ამის შემდეგ მწყემსებს ხშირად გაუგონიათ ტბიდან გამოსული ხმა **“ჰეი, ჰეიო”** (ამ ხმით მწყემსი ცხვარს ეძახის ხოლმე). **“ისიც უნახავთ მწყემსებს, რომ აფუნის (მთაზე ცხვრის გარეკის დროს) დროს ტბას ნაპირად მატყლი გამოჰქონდა”,** დასძინა თენგიზ კაკუბავამ, ვისგანაც ეს ამბავი გავიგონე.

* * *

მიქელ-გაბრიელის შემდეგ აქაური მწყემსი ფრიად სასოებით ეპყრობა მთას. მთის თაყვანისცემა და შიში კულტად აქვს გადაქცეული. აღმერთებს მთას, მიქამ-გარიოს საფარველ ქვეშ მყოფს, მასა ლოცულობს, მწყემსის ლაპარაკში ხშირად მოჰკრავთ ყურს **“მთის მადლმაო”.**

ვკითხე მწყემსებს, მთას რა მადლი აქვს, რომ იმას იფიცავთ-მეთქი?

– მადლი როგორ არა აქვს მთასა? ისაა ჩვენი მარჩენალი. მთა რომ არ იყოს, მწყემსებიც არ ვიქნებოდით.

როცა გაზაფხულზე პირველად მთაზე ამოდიან, მწყემსები საკლავსა ჰკლავენ და მთის ლოცვას ამბობენ. ხანში შესული მწყემსი ხონჩაზე აწყობს საკლავის გულღვიძლსა და ყველას მაგივრად მთას ევედრება: ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას ჩვენ, ჩვენს ჯოგსა, რომლებიც შენს კალთაზე დავდივართ, მხიარულად და უვნებლად ჩაგვიყვანე ბარადო.

მწყემსის აზრით მთას შიშველ ტანს ვერ აჩვენებს კაცი, ეწყინებაო. ამიტომ არის, რომ ტანის ბანა მთაზე ცოდვად მიაჩნიათ. მაშინათვე განრისხდება მთა და წვიმა და ავდარი მოვაო. ჩემი იქ ყოფნის დროს ნისლი ხშირი იყო, მითხრეს, ეს სულ იმის ბრალია, რომ შენ ტანს იბან აქა და შიშველ ტანს მთას უჩვენებო.

მთაზე ყოფნის დროს მწყემსები უწმაწურ სიტყვა-პასუხს ერიდებიან, – ესეც მთას ეწყინებაო. მთას საალერსო სიტყვები უნდა გავაგონოთ, სიმღერით დავატკბოთო.

ქვაბს რომ გადმოაპირქვავებენ, ზემოდან ბალახს რასმე დააფარებენ – ცამ შავი და მურიანი ძირი არ დაინახოს ქვაბისა, თორემ განრისხდება და წვიმით სულს ამოგვხდისო.

* * *

მთაზევე მწყემსებს შორის ნახავთ ნაშთს ძველი ასტროლატრიისას: მზეს ფიცულობენ. ხშირად გაიგონებთ: **“ბჟაშ მარდი მა”** (მზის მადლი მე), ან და **“უშულადუ ბჟაშ მარდი მა”** (დაუღალავი მზის მადლი მე). რომ ვკითხე, მზეს რადა ლოცულობთ-მეთქი, იმათ მიპასუხეს: – ისიც ღმერთია, თოვლს ადნობს მთაზე, ბალახს ამოსვლის დროს ხელს უწყობს. მზე რომ არ იყოს, საქონელი სიცივით დაგვიწყდებაო.

თედო სახოკია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქალაქი გალი 80 წლისაა

ქალაქი გალი, გალის რაიონის (ყოფილი სამურზაყანოს) ცენტრი მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, მდინარე ერისწყლის სანაპიროზე, სოხუმ-თბილისი რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალზე. სოხუმიდან დაშორებული 77 კილომეტრით.

“გალი 1928-1930 წლებში გალის მაზრის ცენტრი იყო.

1930 წლიდან გალის რაიონის ცენტრია.

1932 წლიდან გალი იქცა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად”, – აღნიშნულია ქართულ სახელმწიფო ენციკლოპედიაში.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით გალის რაიონის ადმინისტრაციულ-კულტურული დაბა გალი ქალაქის სტატუსით დამკვიდრდა. მისი ისტორიის უახლოესი პერიოდი სწორედ აქედან იწყება, წერილის შინაარსიც ძირითადად საბჭოური პერიოდით განისაზღვრება.

ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ იმ გარემოებებზე, რომლებმაც ძირითადად განსაზღვრეს ქალაქისათვის დამახასიათებელი ატრიბუტებით გალის იერსახის ჩამოყალიბება და რომელმაც ეს ქალაქი საყოველთაოდ წარმოაჩინა.

როგორი იყო და რა მიიღო მემკვიდრეობით ჩვენმა ქალაქმა დაბა გალიდან?

ვინ ამშვენებდა და ვინ იყო აქტიურად ჩაბმული ქალაქის აღმშენებლობის პროცესში?

აღსანიშნავია, რომ ჩვენი რაიონი ერთ-ერთი ჩამორჩენილი კუთხე იყო რესპუბლიკაში. ადრე სამურზაყანოს ცენტრი სოფელი ოქუმი იყო. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ამ ცენტრმა გალში გადაინაცვლა. გეოგრაფიულ მდგომარეობასთან ერთად ეს მოვლენა იმანაც განაპირობა, რომ სოხუმისკენ მიმავალი სამხედრო გზა აქ გადიოდა. 1893 წელს აქ გაიხსნა პირველი შვიდწლიანი სკოლა, რომელმაც მაშინდელ სამურზაყანოს მაზრას უმზადებდა კადრებს ცხოვრების ყველა სფეროში.

რევოლუციამდელი გალი ტიპიურ სოფელს წარმოადგენდა, სადაც 150-200 ოჯახი ცხოვრობდა, ირგვლივ კი უდრანი ტყე ეკრა – ტანმაღალი რცხილები იდგა იქ, სადაც ახლა კულტურის სახლი მდებარეობს. რაიონს ჰქონდა სასამართლო და საეკლესიო-სამრევლო ორკლასიანი სასწავლებელი. სკოლის შენობიდან მდინარე ქვიშონამდე ჩამწკრივებული იყო ხისაგან ნაგები მომცრო დუქნები და სამიკიტნოები, სადაც იყიდებოდა სხვადასხვა სახის საქონელი. სიღარიბე და მოწყენილობა სუფევდა აქ 80 წლის წინათ.

1921-25 წლებში ეს ხის ჩიხომახოები აიღეს და გააშენეს ქალაქის ცენტრალური პარკი. ამავე წლებში, გალის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის იასონ ხაბურზანიას ხელშეწყობით ექიმმა ალექსანდრე პატარაიამ რაიონის ცენტრში ელექტრონათურები ააციმციმა. დენს ტრაქტორზე დამონტაჟებული ელექტროგენერატორი გამოიმუშავებდა. მდინარე ერისწყალზე კი ელექტროსადგური 1932 წელს ამუშავდა.

ამოქმედდა სანიტარული პუნქტი ექიმ იოსებ შავგულიძის ხელმძღვანელობით, სადაც ხალხს ემსახურებოდნენ ექთნები ბეზნოსიკოვი, ოკუჯავა და შენგელია, მალე კი ორი აფთიაქიც გაიხსნა.

სასოფლო ოღრო-ჩოღრო გზების ნაცვლად შენდებოდა ახალი ქუჩები, ნაჭაობარ მინდვრებსა და ახლადგაკაფულ ნაეკლარზე კი შენდებოდა ქალაქის ტიპის კაპიტალური ნაგებობები. მალე მოსახლეობის რიცხვმა 4000-ს მიაღწია.

მოსახლეობის რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ იზრდებოდა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოების მოცულობაც, რასაც წარმატებით უძღვებოდა რაიონის ხელმძღვანელობა, მის აქტივთან ერთად. რაიონი მოწინავეთა რიგებში ჩადგა ციტრუსის კულტურის ვრცლად გაშენების კუთხით.

ჭეშმარიტად დიდი სახელმწიფოებრივი მოვლენა გახლდათ ენგურჰესის მშენებლობა, რამაც კიდევ უფრო გაშალა აღმშენებლობითი პროცესები ქალაქ გალის ტერიტორიაზე. ერთმანეთის მიყოლებით გაიხსნა საშუალო სკოლა, საავადმყოფო, ბაგა-ბაღები, მუშათა სასადილოს კაპიტალური შენობა... აშენდა ათეულობით საცხოვრებელი კორპუსი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები, სამრეწველო საწარმოები, წყალსადენ-კანალიზაციისა და სხვა გამწმენდი ნაგებობები, კინო-თეატრი, საკონსერვო ქარხანა და სხვა ინფრასტრუქტურა. ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა რიცხობრივად, რაიონი გაძლიერდა ეკონომიკურად, კულტურულად, გარემომ სახე იცვალა.

სამწუხაროდ, მიმდინარე პროგრესი ძალზე შეაფერხა ქართველ-აფხაზთა შორის წარმოქმნილმა კონფლიქტმა, მაგრამ ეს წინააღმდეგობებიც თანდათან ილახება და ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში დგება. დევნილები თანდათან უბრუნდებიან საკუთარ კერას, საზოგადოება იშუშებს უაზრო ომით მიყენებულ ჭრილობებს, ხდება მომხდარი უბედურების ანალიზი, რათა მომავალმა თაობებმა კვლავაც აღარ დაუშვან საბედისწერო შეცდომა.

რაიონის მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს აღმშენებლობით პროცესებში, რისი შედეგიც გახლავთ საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებების ამოქმედება, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, კავშირგაბმულობის, სოცუზრუნველყოფის და სხვა სამეურნეო ობიექტების შესამჩნევი გააქტიურება. თითქმის მთლიანადაა აღდგენილი ელექტრომეურნეობა, კეთილმოწყო და სათანადოდ აღიჭურვა სანიტარული სამსახურები, თანდათან დგებიან საზოგადოების სამსახურში სხვა მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელი ინფრასტრუქტურული სიმძლავრეები.

თანდათანობით იბრუნებს პირვანდელ სახეს აფხაზეთის ეს კოპწია ქალაქი, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა ქართველ-აფხაზთა მშვიდობიანი თანაცხოვრების სიმბოლოს. აღნიშნული პროგრესი განპირობებულია აფხაზეთის პრეზიდენტის ბატონ ალექსანდრე ანქვაბისა და მთავრობის განუხრელი ყურადღებით გალის რაიონისადმი. რაიონის განვითარების ტემპები განპირობებულია **“აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამის”** მოთხოვნების განუხრელად შესრულებით, რაც უშუალოდ კონტროლდება აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ.

გეგმაზომიერად მიმდინარეობს ომის შედეგად დანგრეული და სიძველისაგან შებღალული შენობა-ნაგებობების მიმდინარე თუ კაპიტალური რემონტი, რაიონში მთლიანად აღდგენილია გზებზე ასფალტის საფარი, იჭრება ახალი გზები, რაც რაიონს სოფლებთან აკავშირებს, კეთილმოწყობილია ცენტრალური გზა – ოჩამჩირიდან ენგურის ხიდამდე, განახლებულია რაიონის შიდა საგზაო ქსელი, რომელსაც ამშვენებს ტროტუარები და გასწვრივ დარგული ლამაზი ხეები – ბაღაფშის, კონფედერაციის, კოდორის, ლეონ პირველის სახელობის და სხვა ქუჩები. აქტიურად მიმდინარეობს სხვა ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები.

რაიონის საზოგადოება ერთხმად აღნიშნავს, რომ რაიონში მიმდინარე პროგრესული პროცესები ძირითადად განპირობებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ალექსანდრე ანქვაბის ყურადღებით გალის რაიონის მოსახლეობისადმი, რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნიან მას.

ლავრენტი ბერაძე,

დიდი სამამულო ომის მონაწილე, აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე

“ᲮᲔᲠᲮᲔᲛᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲔᲮᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲒᲘᲡ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲗᲠᲘᲐ”

“ეტლს მიმაჯაჭვეს, მაგრამ ცოცხალი ვარ!”
“ხერხემალში გადამტეხა და მორგის კართან მიმათრია”
“როლანდ ახალაია შვილის გვერდით, ციხეში უნდა ვნახო”

76 წლის ზუგდიდელმა მურმან როგავამ თითქმის 6 წელი გაატარა სააკაშვილის ციხეში, რომლის ცნობილი კადრების ნახვის შემდეგ ადამიანებს შემზარავი განცდა ეუფლებოდათ. მურმან როგავა იქიდან ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული გამოვიდა. თუმცა, ყოფილ პატიმარს მუხიანში, ნაქირავებ ბინაში შევხვდი.

მურმან როგავა: – 1997 წლის ბოლოს მე და ჩემმა ნათესავმა ზუგდიდში ტერიტორია შევიძინეთ. გვინდოდა ხილ-ბოსტნეულის სავაჭრო ცენტრი აგვეშენებინა. ის იყო, დასუფთავება დავიწყეთ, რომ პროკურატურაში როლანდ ახალაიამ დამიბარა (მაშინ რიგითი პროკურორი იყო) და მითხრა, წილი მეც მინდაო. მაშინ ყველაფერს ძალოვანები აკონტროლებდნენ და ვუთხარი, თუ წილი გინდა, შემოგიამხანაგებთ, და შენი ფულით შემოდი-თქო. ფული არა მაქვსო, მომიჭრა სიტყვა. პროკურორი კაცი ხარ, გავლენა გაქვს და სამშენებლო მასალით მაინც შემომეშველე-მეთქი. არც ეს მაქვს, წილში ისე უნდა ჩამსვა, თანაც ყველაფერი დოკუმენტურად უნდა გამიფორმოო. მაშინ მივახალე, არაფერსაც არ მოგცემ-მეთქი. ამ დიალოგს ჩემი მეწილეც ესწრებოდა.

მითხრა, ეს არ მოგვეშვება, ამ საქმიდან უნდა გავიდეო. მარტო დავრჩი, სარემონტო ფული არ მქონდა, მთელი თანხა ტერიტორიის შესყიდვაში წავიდა. ამიტომ მისი გაყიდვა გადავწყვიტე, მაგრამ მყიდველიც არ გამოჩნდა. ცოტა ხანში როლანდ ახალაიას საქმე ცუდად წაუვიდა – გამწარებულმა თანამშრომლებმა კარი აუჭედეს. ამასობაში მე პარტნიორები მოვიძიე, ბიზნესი ავაწყვე და 310-ადგილიანი ბაზარი გავაკეთე. 2004 წელს კი ყველაფერი თავდაყირა დადგა... ახალაია დაბრუნდა... მოულოდნელად სამსახურში უშიშროების თანამშრომლები მოვიდნენ – აქ ხელყუმბარა ინახებაო. ეზოში ვაგონი იდგა, სადაც ოთახი მქონდა მოწყობილი. ერთ კუთხეში ჭურჭელი მელაგა და დავინახე, ხელყუმბარა როგორ ჩადეს. ავტეხე ერთი ამბავი, მათთვის ავტომატის წართმევაც კი დავაპირე. დამაკავეს. არც ერთ დოკუმენტს ხელი არ მოვაწერე, მაგრამ ინფარქტგადატანილ კაცს შეტევა მომცა და ზუგდიდის საავადმყოფოში გადამიყვანეს. მეორე დღეს სამთვიანი პატიმრობა მომისაჯეს. იქიდან თბილისში, **“რეზბალნიცაში”** გადმომიყვანეს.

– ოფიციალური ბრალდება რა იყო?

– ხელყუმბარის შენახვა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ვაღიარებ, პოლიციელს ხელი მართლა გავარტყი. მოსამართლემ 2 წელი პირობითი მომისაჯა, მაგრამ არ ისვენებდა როლანდ ახალაია. **“ვარდების რევოლუციის”** შემდეგ სამეგრელო-ზემო-სვანეთის სამხარეო პროკურატურის უფროსად მოგვევლინა. 2007 წლის 13 აპრილს ახალი ბრალდებით დამიჭირა. ამჯერად აბსურდული საქმე შეთითხნეს და 70 წლის კაცი 30 ლარის ყაჩაღობის ბრალდებით გამასამართლეს (?!). სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, უკანონოდ 8 წელი მომისაჯეს, მერე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2 წელი დამიკლო. პროკურორი ხვიტია გამოდიოდა პროცესზე და მესმოდა, შესვენების დროს ახალაიას როგორ უთანხმებდა სასჯელს.

ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგორისში 30 ჰექტარი ტერიტორია იჯარით მქონდა აღებული. 53 სხვადასხვა დასახელების ფრინველი და ცხოველი მყავდა. კერძო ზოოპარკი მქონდა. ირმები, სირაქლემები, კენგურუები, ლამა, სხვადასხვა ჯიშის შველი, ჯიხვები. ყველაფერი ახალაიამ გამინადგურა. არ მოისვენეს, სანამ ინვალიდის ეტლს არ მიმაჯაჭვეს... ზუგდიდიდან ქუთაისის ციხეში 2008 წლის 7 იანვარს გადამიყვანეს. საშინელ პირობებში ვიყავით, ზედა სართულიდან საკანში კანალიზაციის წყალი ჩამოდიოდა, საჭმელს ვერ ვჭამდით, ისეთი სუნი იდგა. ცუდად გავხდი და ექიმი ვითხოვე. დილის 10 საათი იქნებოდა. ციხის თანამშრომელმა ონისე ტეპეშაძემ საკნიდან ოთახში შემიყვანა. იქ ცვლის მორიგე დაგვხვდა, ტეპეშაძემ რაღაც გადაულაპარაკა, ის ბიჭი შეეპასუხა, არაო. მაშინ ტეპეშაძემ გამარტყა, მეც გავარტყი, ტუჩი გაუსკდა და სისხლი წამოუვიდა. ამის მერე რაც მოხდა, ამის გადმოცემა შეუძლებელია...

ძირს დამაგდო, წიხლებით, მუშტით მცემა, ისე გამეტებით მირტყამდა სკამს, ტკივილისგან წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევდი. გონზე რომ მოვედი, ექთანი მასულიერებდა. ტეპეშაძემ უთხრა, ნემსი გაუკეთეო. გადაადგილებას ვერ ვახერხებდი, მაგრამ იმდენი შევძელი, ნემსი არ გავაკეთებინე. ახლა ბიჭებს დაუძახეო, უთხრა მორიგეს და სამი ბიჭი შემოიყვანა. ძირს დაგდებულს, დასისხლიანებულს ხელი მომკიდეს და ოთახიდან გამიყვანეს. ამ დროს ტეპეშაძემ გასცა ბრძანება, მორგში წაიღეთო.

ეს რომ გავიგონე, მივხვდი, ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ. ქვევით იმიტომ ჩამიყვანა, რომ ჩემი განწირული ყვირილი პატიმრებს არ გაეგონათ. ერთი სიტყვით, მიმათრევდნენ ბიჭები მორგისკენ და მოგვყვებოდა ტეპეშაძეც. მორგის კართან რომ მიმათრიეს, მითხრა, თუ აქ შესვლა არ გინდა, შევრიგდეთო. მორგის შემეშინდა და ვუთხარი, გირიგდები-მეთქი. მერე მითხრა, რატომ გცემე, ამას მერე გაიგებ, დაკვეთა იყოო. ვისი დაკვეთა იქნებოდა, თუ არა ახალაიების. ამ ამბიდან სამი თვის მერე თბილისის ციხეში გადმომიყვანეს. იქ რომ არ მოვხვედრილიყავი, ცოცხალი აღარ ვიქნებოდი.

ავჭალის დაწესებულებაში ღვთისნიერი დირექტორი დამხვდა – სასწრაფოდ ციხის საავადმყოფოში გადამიყვანა. ხერხემალი მქონია დაზიანებული. ოპერაციაც გამიკეთეს, მართალია, შედეგი არ მოჰყოლია, ეტლს მივეჯაჭვე, მაგრამ ცოცხალი რომ ვარ, იმ ხელმძღვანელის, თემურ ტაბაღუას დამსახურებაა. თავისი ხელით მომიტანა ინვალიდის ეტლი. თვეების განმავლობაში საკანში საწოლზე მიჯაჭვულს პატიმარი მივლიდა, ის მაჭმევდა, განძრევა არ შემეძლო. ასე გამანადგურა როლანდ ახალაიამ. ავადმყოფობის გამო ორჯერ ვითხოვე გათავისუფლება, მაგრამ უარი მითხრეს. 6 თვე მქონდა დარჩენილი, რომ გამომიშვეს.

როლანდ ახალაია თავისი შვილის გვერდით, ციხეში უნდა ვნახო. გაყიდოს თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და ამინაზღაუროს, რაც ექიმებში მჭირდება. 70 წლის კაცი გამომკეტა ციხეში, ესეც არ მაკმარა და ცემით ხერხემალში გადამტეხა.

თეა ხურცილავა

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲮᲐᲛᲒᲐᲛᲝᲪᲚᲘᲚᲘ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲛᲣᲨ-ᲮᲐᲛᲣᲨ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ

მკითხველი, რომელიც ამ ჩანაწერებს წაითხავს, იტყვის, რა ვაუკაცობაა წაქცეულის დაწიხლვაო. მაგრამ მას არა აქვს წაკითხული წიგნებად გამოცემული ჩემი 260 გვერდიანი რომანი **“გაცრუებული იმედი”** (1988 წ.) და ლექსების კრებული **“წკიპურტები”** (2010 წ.). არა აქვს წაკითხული აგრეთვე 600 გვერდიანი პუბლიცისტური წიგნი **“და მოიცვა ქვეყანა ბნელმა”** (ახლახან შევიტანე ინტერნეტში), რომელშიც კრიტიკული თვალით არის გაანალიზებული თითქმის ოცწლიანი (1992 – 2009 წწ.) პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები საქართველოში. თუმცა ნაციონალების თვალსაჩინო კოჰორტა ბოლო ცხრაწლიანი მოღვაწეობის გამო, მსუბუქი წკიპურტების კი არა, მწარე მუჯლუგუნების ღირსია...

ᲜᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲕᲘ ᲒᲐᲠᲐᲗᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ?

იძულებული ვარ, ამ ნაცისტებს რევანშის მნიშვნელობა ანა-ბანასავით ავუხსნა. არადა. მშვენივრად იციან – რევანში სამაგიეროს მიგება და შურისძიებაა. რევანშისტები ძალაუფლებადაკარგულები არიან, მაგალითად, ისეთები, როგორებიც თქვენა ხართ. ბიძინა ივანიშვილმა კი რომელი ძალაუფლება დაკარგა, სად და როდის ჰქონდა იგი, რომ რევანშისტად იქცეს? რაში სჭირდება რევანში ბიძინა ივანიშვილსა და მის გუნდს, პოლიტიკურ ბრძოლაში პირწმინდად მოგიგეს და სახელისუფლო საავარძლები, რომ არ ელოდით, სამიდღემჩიოდ გამოგაცალეს ხელიდან. რევანში მოძალადე ხელისუფლებას, წესით, ხალხმა უნდა გადაგიხადოს, იმდენი სისაძაგლე და სიბინძურე ახსოვს თქვენგან. მაგრამ ხალხი იმდენად დიდსულოვანია, შურს იძიებს კი არა, იმასაც განიცდის, სისხლის სამართლის დანაშაულის გამო მართლმსაჯულება მოკრძალებულ თავისუფლებას რომ გიზღუდავს. ბატონმა ბიძინამ და მისმა გუნდმა კი რევანში, ფაქტობრივად, ორჯერ აიღეს და ორივეჯერ დემოკრატიულად: პირველად 1 ოქტომბერს, როცა არჩევნებში პირწმინდად დაგამარცხეს და მეორედ მაშინ, როცა ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციაში შეხვედრისას პირში გითხრეს: ჩვენ ისე არ მოგექცევით, რასაც იმსახურებთ, არამედ ისე მოგექცევით, როგორც ამას საქართველო და ქართველი ერი იმსახურებსო. ამაზე მეტი რა რევანში აიღოს **“ქართულმა ოცნებამ”** – კიდევ ერთხელ გაგანადგურეს ისედაც განადგურებულები, მაგრამ რომელი ნაციონალი მიხვდება ამას?

ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲣᲘᲛᲔᲓᲝ ᲘᲛᲔᲓᲘ

სადავეჩამორთმეულ ნაცისტებს კვლავ ხელისუფლებისკენ უჭირავთ თვალი. ჭკუა რომ არ ჰქონდათ, ყველა ვხედავდით, მაგრამ მთლად ასეთი უჭკუოები თუ იყვნენ, რას წარმოვიდგენდით. სააკაშვილის ხელისუფლება, როგორც ამას ზოგი იმთავითვე ვარაუდობდა, ნამდვილად შევარდნაძის ხელისუფლებაზე უარესი აღმოჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შევარდნაძის ხელისუფლების დაბრუნება მაინც არავის უნატრია. ახლა სააკაშვილის ხელისუფლება ივანიშვილის ხელისუფლებით შევცვალეთ, მაგრამ **“ქართულმა ოცნებამ”** რაც არ უნდა შეცდომები დაუშვას, ქვეყანა რომ დაიქცეს და გავნადგურდეთ, ამ ნაცისტებს ვინ მოინატრებს... აკო მინაშვილ-მინასიანის სიდედრის გარდა.

ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

სქელგავა ხათუნა გოგორიშვილი შუშის ხიდის აღება-არაღების საკითხით რომ არის შეშფოთებულ-აფორიაქებული, ცხრა წლის მანძილზე რატომ ერთხელ მაინც არ ჰკითხა თავის პრეზიდენტს, ამდენ საბიუჯეტო სახსრებს ასე უპრაგონოდ რომ ფანტავ უსარგებლო მშენებლობებში, საბურთალოს ხაზზე დაუმთავრებელ მეტრომშენებლობას როდის დაადგება საშველიო. ეს ხაზი ხომ უფრო საჭირო, სასარგებლო და პრაქტიკული იყო მოსახლეობისათვის, ვიდრე ის ოთხმოცმილიონიანი უსარგებლო, უფუნქციო და მახინჯი შუშის ხიდის საჭიროება მტკვარზე, ან ოცმილიონიანი უსარგებლო და არაპრაქტიკული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა რკინიგზის ვაგზალსა და აეროპორტს შორის? კაცი სამეგრელოს გაუვალ ჭაობებში ახალი, ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენებას აპირებდა მაშინ, როცა საბურთალოს ხაზზე დამთავრებამდე მისული ორკილომეტრიანი მეტრომშენებლობა ვერ დაუმთავრებია... ამჯობინა, რუსლანასა და შაკირას მოქნეული უკანალის ყურებაში დაეხარჯა მეტრომშენებლობისთვის განკუთვნილი თანხები. არა და, კაცმა რომ თქვას, შენ უფრო სქელი გავა გაქვს, ვიდრე რუსლანასა და შაკირას ერთად აღებულს.

ᲩᲘᲝᲠᲐᲡ

ისედაც რამდენი გვიღირდი. ახლა კიდევ, ქუთაისში რომ გაგაძევათ თქვენმა სააკაშვილმა, რამდენი გვიღირხართ, ღმერთმა უწყის. ან, საერთოდ, გვიღირხარ კი რაიმედ? აქ, თბილისში, თითოეული ხუთი ათასი გვეჯექი. იქ, ქუთაისში, დამატებით 700 ლარი გვიზიხარ, საცხოვრებელი ბინისა და დამატებითი ხარჯებისათვის. აქ, თბილისში, რას გვიკეთებდი, იქ, ქუთაისში, რას გაგვიკეთებ, დღე და ღამე გზაზე ხართ გამოკიდებული. თქვენი თავი ჯანდაბას, მეტის ღირსი ხართ, თბილისიდან კი არა, საქართველოდან ხართ გასაყრელები, მაგრამ **“ქართული ოცნების”** ხალხს რას ერჩოდით. ისე, თქვენი პრეზიდენტი, პარლამენტის შენობა რომ დაგვინგრია, ჭადარზეა ფეხებით ჩამოსაკიდებელი – ის პარლამენტის შენობა ბაბუამისის, მიხეილ სააკოვის აშენებული ხომ არ ეგონა?

ᲦᲕᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ

გურიაში არის ასეთი წყევლა, ვითომ გაგულისებული. სინამდვილეში ამ წყევლაში თბილი ალერსია ჩაქსოვილი. თუმცა ადრესატი თავისი თვინიერი საქციელით მართლა იმსახურებს თვინიერ ალერსსა და ფარულ ღიმილს, მაგრამ სააკაშვილისთანა ვერზილები მართლა ღვთის პირიდან გავარდნილები და ღვთისგან დაწყევლილები არიან და ფარულ ღიმილსა და თვინიერ ალერსს კი არა, ნოდარ დუმბაძის ოლღა ბებია რომ იწყევლებოდა ჰიტლერის მისამართით, ისე გამეტებით წყევლიან ამნაირ უვარგისებსა და მაოხრებლებს. იცოდა ამ ღვთისპირიდან გავარდნილმა, მისგან გაბითურებული ხალხი ოქტომბერში არ აირჩევდა და დაასწრო – პარლამენტის ისტორიული შენობა ისე მილეწ-მოლეწა, როგორც აღა მაჰმად-ხანმა ერეკლეს ქალაქი. ჯერ იყო და, სანამ პირველი პირი იყო, რა გვიქნა, დაგვაბეჩავა და მიწასთან გაგვასწორა, გავაგდეთ და მაოხრებელი გზირივით ზედ გადაგვიარა – ახალ ხელისუფლებას სამუშაო ადგილი საერთოდ არ დაუტოვა დედაქალაქში, ქუთაისში მოისროლა. კი გვარწმუნებს, ქუთაისი მეორე დედაქალაქიაო, მაგრამ ეგ ზღაპარი ბებიამის მზიას, მოუყვეს, რადგან, როგორც მეორე დედა არ არსებობს დუნიაზე, ისე მეორე დედაქალაქი არ შეიძლება არსებობდეს.

რევაზ ჩხარტიშვილი,
მწერალი, პუბლიცისტი,
ლიტერატურათმცოდნე
(ფილოლოგიის დოქტორი)

„მგელი არ მოდის!“ და... „დავმლიოთ ეროვნული ცნობიერების სიღატაკე!“

ოღონდ მეგრული არ იყოს და რას არ იღონებენ, მეგრელთმოძულეები. ამის შესახებ პირუთვნელად წერენ: პროფესორი და აკადემიკოსი კ. შელია, აკადემიკოსები: კ. ფიფია, ვ. შონია, მ. ჯანჯღავა, პოეტი ვ. ხარჩილავა. ჯ. კაკულია, ვლ. ჩუბინიძე და სხვანი. ყველა მათგანის აქ ჩამოთვლა შეუძლებელია. მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე: **„შეაყარე კედელს ცერცვი“...**

2008 წელს საქართველოს **“ფაზისის”** მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიამ და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიამ ჩვენი შვიდტომეული **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე წარადგინეს. შედეგის შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროდან სიტყვიერად ასე გვიპასუხეს: **„ნაშრომმა დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ კონკურსზე ვერ გაიმარჯვა“.** მალე, გაზეთი **„ასავალ-დასავალი“** იუწყებოდა, რომ აღნიშნული პრემია მიანიჭეს ერთ-ერთ მხატვარს, რომელიც თურმე, ორიოდე კვირით ადრე, გაზეთში წერდა: **მიხეილ სააკაშვილი რატომღაც ადმაშენებელს მაგონებს. 500 000 კაცი, ქუჩაში გამოსული, რომელიც არაფერს არ აკეთებს, ბრბოა აბა რა არის?!“ ასეთი „აღმოჩენა“ ენის წარმოშობის საფუძვლების აღმოჩენას აბა რას შეედრებოდა?**

არ დავმალავ: ენის წარმოშობის ესოდენ პრობლემური საკითხი რომ ჩვენ საბჭოთა წყობილების დროს გადაგვეწყვიტა, მის ავტორებს მყინვარწვერზეც რომ გვეცხოვრა და დაბლა ჩამოსვლა არ გვესურვებინა, იქ გზასაც ამოგვიყვანდნენ, გაზით, ელექტროშუქითა და სხვა ყველაფრითაც უზრუნველგვყოფდნენ, და, – ოღონდ თქვენ მუშაობა გააგრძელეთ და ჩვენ არაფერს დაგაკლებთო, – გვეტყოდნენ. ყოველ შემთხვევაში, იმის გასაჭირი მაინც არ გვექნებოდა, რაც ახლა გვჭირს: საენათმეცნიერო ნაშრომების ნახევარზე მეტი რომ ვერ გამოგვიცია, ვერც ერთი მათგანი აქამდე უცხო ენებზე რომ ვერ გვითარგმნია და, მეტიც: ამ უკანასკნელად შექმნილი და უკვე სამი თვის წინ კომპიუტერში შეტანილი ოცტომეულის **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“,** თუნდაც მხოლოდ ერთი ეგზემპლიარის ამობეჭდვა აქამდე რომ ვერ მოგვიხერხებია.

არ დავმალავ შემდეგსაც: 1) რუსთხელმწიფების ცდები ქართველთა რუსიფიკაციისა, ცნობილი ამბავია, მაგრამ, თავის დროზე, რომ არა ერთმორწმუნე რუსეთის ქვეშევრდომობა, ქართველები დღეს ლაზებზე არანაკლებ გათურქებულ-გამაჰმადიანებულები რომ ვიქნებოდით, ეს ხომ უდავოა; 2) დარწმუნებული ვარ, საქართველო რომ რუსეთივით დიდი იმპერია ყოფილიყო და მისი ხელისუფალი ტარიელ ფუტკარაძე და ამ დონის სხვა შოვინისტები ყოფილიყვნენ, არა მხოლოდ რუსების, არამედ მრავალი სხვა ხალხების ძვლებსაც კი არ დატოვებდნენ დაუხრავს. ესენი კი რუსთ ხელისუფალთ უკიჟინებენ შოვინისტურ და იმპერიალისტურ ზრახვებზე.

რა თქმა უნდა, როცა ჩვენი ნაშრომების მიმართ სპეციალისტების ერთი ნაწილის დუმილის შესახებ აღვნიშნავთ, უთუოდ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მცირე ტირაჟის გამო, მათზე მკითხველების, მათ შორის, სპეციალისტების მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილს მიუწვდებოდა ხელი (ოღონდ, ასევე არ ითქმის საქართველოს მეცნიერებათა საერო აკადემიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებზე, რომელთა ბიბლიოთეკებს ჩვენ ეს ნაშრომები, თავის დროზე გადავეცით). ცხადია ისიც, რომ ყველა მკითხველი, გნებავთ, სპეციალისტი, ყველა ნაშრომს არ (ვერც) გამოეხმაურება. ვერ გამოეხმაურებიან ჩვენს ნაშრომებს ის **„სპეციალისტები“,** ვისაც, თავის დროზე, დისერტაცია დაუცავთ ისეთ წვრილმან საკითხებზე, როგორიცაა, ვთქვათ, **„მეწისქვილის ენის ლექსიკა“, „მეურმის ლექსიკა“** და მისთანანი, ამით ყველანაირი სამეცნიერო ტიტულებიც გაუჩალიჩებიათ, მაგრამ შემდგომში, არაფერი შეუქმნიათ ფასეული. ასეთებისგან არც არაფერს ვითხოვთ, რაც უნდა სამსახური ეკავოთ მათ ამა თუ იმ დაწესებულებაში და რაოდენ გადამწყვეტიც არ უნდა იყოს მათი პოზიცია.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მცირედი მასალითაც ნათელია, ჩვენს ნაშრომებს და პირადად ჩვენ, – მათს ავტორებს შეფასება-დაფასება არ გვაკლია. არ გვაკლია, არშემფასებელთა (იყო ასეთი ერთად-ერთი შემთხვევა ჩვენს პირველ ნაშრომზე, 1997 წელს) და შეგნებულად ძალადმდუმარეთა, ასე ვთქვათ, შემძახებლებიც. აი, ამის ზოგიერთი მაგალითიც: **„ის, ვინც მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიას ამ უაღრესად მნიშვნელოვან და ორიგინალურ ნაშრომს ეჭვის თვალით და უნდობლობით უყურებს, ან სამეცნიერო ხარისხს ამოფარებული უმეცარია, ან შური სჭირს, „შური – მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“** (რ. კვარაცხელია); **„მტერმა თავი შეგახსენათ, მაგრამ ამით ნუ შეკრთებით; ზენამ უკვე აგაფრინათ, რომც შეგაჭრან აწი ფრთები“** (მ. ცანავა); **„საქველო საქმით რომ ხართ მართალი, შეფიქრიანდა გულღრძო მოდავე“** (მ. ფიფია); **„დიდი მწერლის თქმისა არ იყოს, ხშირად ასე გვჭირს ქართველებს: „დიდი კაცი თუ გამოგვერევა, ისე დავკორტნით, როგორც ძერა!“** (პროფ. ტ . მოსია).

ალბათ, შემთხვევით არ გაჟღერებულა შვიდტომეულის პრეზენტაციაზე, ქალაქ თბილისში, ერთ-ერთი აკადემიკოსის პირიდან, და შემდგომში სხვებისგანაც, ასეთი გამოთქმები: **„მამანტი და ცირა ძაძამიები რომ სომეხი იყვნენ, დღეს მათი ძეგლებით მსოფლიო იქნებოდა მოფენილი. ჩვენ რა გვჭირს, ქართველებს!“** (აკად. სოგრატ სალუქვაძე); **„ესენი სომხები რომ იყვნენ, სომხეთში ეროვნულ გმირებად გამოაცხადებდნენ და ნობელის პრემიაც გარანტირებული ექნებოდათ“** (აკად. კლ. შელია); **„თქვენნაირი მეცნიერები რომ ჩვენს „კეთილ“ მეზობლებს ჰყავდეთ, ახლა მსოფლიო ექნებოდათ შეზანზარებული, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ თქვენ შეაზანზარეთ იგი”** (ს. ხონელიძე); შემთხვევითი არც მწერალ რ. მიშველაძის მკაცრი ტონი ყოფილა იმავე წიგნების პრეზენტაციაზე; **„...შენ, ენათმეცნიერს, თანაც მამალ ენათმეცნიერს რომ ეძახი შენს თავს, შეყუჟულხარ შენს მყუდრო კაბინეტში, ენათმეცნიერების ინსტიტუტი იქნება იგი თუ მეცნიერებათა აკადემია, როგორ კადრულობ, კაცო! ფაქტს რას უშვრები, ფაქტს! როგორ არ გრცხვენია, კაცო?!.“**

ამგვარებს არა უშავს, ცოცხალი რომ გადავურჩით, მეგრელთმოძულეებს.

და კიდევ ერთიც: ჩვენდათავად, მეგრული ენის შესწავლა, მისი კვლევა-ძიება რომ არ გვეწარმოებინა, ალბათ ვერასოდეს ვერ გავიგებდით, სრულობით, იმ დამოკიდებულებას, რასაც იჩენენ მეგრული ენისა და ყოველივე მეგრულის მიმართ, სწორედაც მეგრელთმოძულენი.

ამასთან, **რომ არა ჭეშმარიტი ენათმეცნიერებისა და ათასობით და ათასობით კეთილშობილი, პატრიოტი ადამიანების თანადგომა და მხარდაჭერა, ალბათ, ცხოვრებაც კი გაგვიჭირდებოდა.**

მოვა დრო და, ყოველივე ამაზე ისტორია იტყვის; ჩვენს ნაშრომებზე (როცა ისინი უცხო ენებზე ითარგმნებიან და ინტერნეტში განთავსდებიან), მრავალრიცხოვანი კეთილი ნების ქართველი მეცნიერების მსგავსად, თავის სიტყვას იტყვიან (ამბობენ ახლაც) უცხოელი კომპეტენტური სპეციალისტებიც, რაზეც ქართული **„ოფიციოზის“** წარმომადგენელ მდუმარე ენათმეცნიერებს (მათ ერთ ნაწილს მაინც), ალბათ, ლოყები სულაც არ შეუფაკლდებათ.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ჩვენს მიერ, აქამდეც ანუ საერთო ვითარების გათვალისწინებით, მრავალჯერ ნაფიქრალია და, აქ, აი რა შეიძლება ჩავდგათ:

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, **„ადამიანი – ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება“.** ამით, თითქოსდა ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ არა! ადამიანს ამ ყველაფერთან ერთად ზნეობრიობა მოეთხოვება. ზნეობრივი ადამიანი კი არც ტყუილს იკადრებს და არც ჭეშმარიტების მიჩქმალვას. ეს უდავოა, ვინაიდან, ის, ვინც ტყუილს იკადრებს, ყველაფერს იკადრებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, უფრო სწორი იქნება ასეთი შეფასება: **„ადამიანი – ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება, რომელსაც გაწითლება შეუძლია“,** ანდა უფრო მოკლედ: **„ადამიანი – ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და ზნეობრივი არსება“.**

მკითხველი დაგვეთანხმება: წარმოდგენილი საკითხის განხილვა, ჩვენ, მხოლოდ სხვებისგან მოსმენილისა და სხვებთან დამოწმებულის მიხედვით არ გვიწარმოებია; მასალა გაჯერებულია ჩვენს მიერვე ნანახითა და განცდილით, საკუთარი ნაშრომების შედეგ-მონაცემებითაც და მათთან დაკავშირებული ფაქტებითა და მიდგომებითაც, რასაკვირველია, ამჯერად არა ჩვენი ენათმეცნიერული მიღწევების წარმოჩენა-რეკლამირების მიზნით (ეს აქამდეც მომხდარია), არამედ მოწოდებული მასალების დამაჯერებლობისა და თავად კეთილსინდისიერი, მიუკერძოებელი მკითხველის მიერ მათი სათანადოდ შეფასებისათვის. ამას, ისინი ამ სტატიის გაცნობის შემდეგ, უთუოდ მიმართავენ.

საბოლოოდ, აი, რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ყოველივე ზემოაღნიშნულისა და აღუნიშნავისაგან:

ფსევდოპატრიოტი ადამიანების მიერ, პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ოდესღაც გამოგონილი და შემოგდებული არარსებული **„მეგრული სეპარატიზმის“** შიში და აქედან შობილი მეგრელთმოძულეობა (ვისაც ასეთი ახასიათებთ), საქართველოში საუკუნეების მანძილზე მძვინვარებს და ხან მთელი ძალით ბობოქრობს, ხანაც შენელდება ხოლმე. იგი განსაკუთრებით მძლავრობდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და მძლავრობს 21-ე საუკუნის განვლილ პერიოდშიც. ამის დასტური და გამოვლინებაა შემდეგი ფაქტები და გარემოებანი: 1. მეგრელებს ერთი-ერთმანეთზე ატყდებოდათ და ატყდებათ თავს მრავალი სახადი, ფრთიანი სახელწოდებებით: **„მეგრელთა საქმე“, „მეგრული სეპარატიზმი“, „ჩხოუშიაელობა“, „მაფალუისტობა“, „პროვინციული ფაშიზმი“, „კუთხისტობა“...** 2. ფსევდოპატრიოტი კვაზიისტორიკოსების მიერ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო და დამხმარე წიგნებიდან თითქმის მთლიანად ამოღებულია ძირძველი კოლხეთის დიადი ისტორია; 3. ფსევდოპატრიოტი კვაზიენათმეცნიერებისა და სხვათა მიერ უგულებელყოფილია ჰეროდოტეს (V ს. ძვ. წ.), აპოლონიოს როდოსელისა (IV ს. ძვ წ.) და სხვათა გადმოცემები, ოდესღაც კოლხური დამწერლობის არსებობის შესახებ და თვით ამ დამწერლობის ჩვენამდე შემონახული (მოღწეული) ნიმუშებიც კი, მათ შორის, **„ფესტოსის დისკოს“** დაახლოებით 3800-4000-წლოვანი ოქროდამწერლობა, ამოშიფრული გ. კვაშილავას მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მას მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები უეჭველად მიიჩნევენ; 4. ფსევდოპატრიოტი კვაზიენათმეცნიერების მიერ დისკრედიტირებულია მეგრული ენა, ასევე ლაზური და სვანური ენები და ისინი გამოცხადებულია დიალექტებად ანუ კილოებად, იმ მიზნით, რომ მათზე არ გავრცელდეს ევროსაბჭოს კონვენციები და არ იქნან ისინი და მათი მფლობელი ხალხები (10 მილიონამდე ადამიანი) დაცულნი გადაშენება-გაქრობისაგან. 5. ფსევდოპატრიოტი, პოლიტიკური ქვენაგრძნობებით შეპყრობილი ენათმეცნიერები (ვისაც ეს ეხებათ), სამარისებური დუმილით ცდილობენ მიჩქმალონ ენის წარმოშობის საფუძვლების წარმოჩენის საკაცობრიო მნიშვნელობის ფაქტი, მხოლოდ იმის გამო, რომ გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს მეგრული ენა, რომელიც ხასიათდება ლექსიკის გასაოცარი სიმდიდრითა და მთელი რიგი საინტერესო მონაცემებით.

დასასრულს: რატომ გახდა საჭირო, ბოლოსდაბოლოს, გვეთქვა დაუფარავად, ყოველივე ზემოაღნიშნული? რა შესძინა ამან ჩვენს ნაშრომებს და მის ავტორებს?

– შესაძლოა, მხოლოდ მტერი და მეტი არაფერი.

და მაინც, საჭიროდ, აუცილებლადაც კი, ვცანით ამის გაკეთება, მოსალოდნელ უბედურებათა თავიდან აცილებისა და შემდეგი მიზნითაც: იქნებ, შესაძლებელი გახდეს ზოგიერთ ძე-შეცდენილთა საქმის კურსში ჩაყენება და სათანადოდ გარკვევა, სხვათა და სხვათა შეგონება და მეგრელთმოძულეთა მხრიდან დღენიადაგ მომდინარე ცრუ ქადაგებებისაგან სხვათა გონების შებოჭვის დაუშვებლობა, საბოლოო ანგარიშით, – ხელის შეწყობა მეგრული ენისა და ყოველივე მეგრულის დაცვა-გადარჩენისათვის, რაც მეგრულისადმი ზვარაკად შესაწირად გამზადებული სვანური და ლაზური ფენომენების გადარჩენისათვის ზრუნვასაც ნიშნავს.

ნათქვამია: **„ერთი წვეთი ნავთი ერთ კილოგრამ თაფლს გააფუჭებს“.** მეგრელთმოძულენი მცირედნი არია კეთილი ნების ქართველ ხალხში, მაგრამ საერთოქართულ საქმეს, ქართველთა ერთიანობას არანაკლებ საშიშროებას უქმნიან, ვიდრე ერთი წვეთი ნავთი ერთ ლიტრ თაფლს. ამიტომაც არის საჭირო მათი პირუთვნელი მხილებაც და მათგან თავის დაცვაც.

მეგრელთმოძულეობა, სვანთა და ლაზთა მოძულეობა, თავისი მიზნებით ბოროტებაა კაცობრიობის წინაშე.

ეს მით უმეტეს ასეა, თუ გავითვალისწიმებთ იმას, რომ მეგრულიც, ლაზურიცა და სვანურიც მომდინარეობენ კოლხური ენიდან, წარმოადგენენ მის უშუალო გაგრძელებას, მეტნაკლები ცვლილებით. კოლხური ენა კი, დიდი წმინდანებისა და დიდი ღმერთების ენაა. კოლხები იყვნენ წმინდა ნინო და წმინდა გიორგი კაპადოკიელები. კოლხურ ანუ საკუთარ ენაზე უმღეროდა საგალობელ **„ნენანას“ მარიამ ღვთისმშობელი** აკვანში მწოლიარე თავის ღვთიურ პირმშოს. აი, ვის ენასაც ებრძვიან გონებაამღვრეული მეგრელთმოძულენი (ამაზე, კონკრეტულად, მომავალ სტატიაში).

ცხადია, საკითხთან დაკავშირებით სათქმელი კვლავაც ულევია, მაგრამ ამჯერად მას დავამთავრებთ შემდეგით:

მრავალმა საუკუნემ ჩაიარა მას შემდეგ, რაც **„ქაჯი მოდის“** თუ **„მგელი მოდის“** მსგავსად, **„მეგრული სეპარატიზმი მოდის“** გაუჯდა გონებაში, ადამიანთა გარკვეულ (არცთუ ისე მცირერიცხოვან) ნაწილს საქართველოში, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოდგა მართალი: არა და არ გამოჩნდა **„მეგრული სეპარატიზმი“** და **„არ დაენგრათ თავზე ზეცა“** ტ. ფუტკარაძეს და მისნაირებს!

ასე, რომ, **„მეგრული სეპარატიზმი“ გონებაშეზღუდულობის პერიოდის ისეთივე სამარცხვინო, მწირი და ღატაკი ცნობიერების ნაყოფია, როგორიც: „ქაჯი მოდის“, „მგელი მოდის“** და მისთანანი.

არავითარი „მეგრული სეპატატიზმი“ არ ყოფილა, არ არის და არც იქნება!

„მეგრული სეპარატიზმი“ არ მოდის! ქაჯი არ მოდის! მგელი არ მოდის! და... დროა, გავნთავისუფლდეთ ცნობიერების ამგვარი სამარცხვინო სიღატაკისაგან!

მამანტი ძაძამია,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, 7 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი

ჭეშმარიტად დიდი დანაკლისი

ფრანგ სწავლულს, ბლეზ პასკალს უამრავ საზრიან გამონათქვამთან ერთად აქვს ასეთი ფრაზა **"დროის დინება – რა შემზარავია იმის შეგრძნება, რომ მსწრაფწარმავალ დროს თან მიაქვს ყველაფერი რასაც ჩვენ ვფლობთ".** სწორედ ეს შეგრძნება მეუფლება ახლა, როცა დიდ შემოქმედზე. ქართველი ხალხის უსაყვარლეს მწერალსა და მთარგმნელზე, ჯემალ აჯიაშვილზე ვფიქრობ. თუმცა, მანუგეშებს ის, რომ იგი ფიზიკურად ჩვენთან არ არის, მაგრამ დარჩა სულიერი ნაღვაწი, რასაც სიამაყით ვფლობთ და ველოლიავებით.

იგი იყო ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის სიმბოლო. ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი. მისი სულიერი ჩირაღდანი, მის მიერ დანთებული კვარი არასდროს ჩაქრება. მის გარეშე ქართულ-ებრაული ლიტერატურული ყოფა საგრძნობლად დაკარგავდა სითბოსა და ეშხს.

იგი დაიბადა სამეგრელოს შუაგულში – სენაკში. აკაკი ხორავას. გიორგი ჭალადიდელის, შალვა დადიანისა და ვალერიან გუნიას აღმზრდელ ქალაქში. იყო საქართველოს უახლოესი ისტორიის გმირის, ჟიული შარტავას თანაკლასელი. ისინი ერთად ეწაფებოდნენ იმ სულიერ საზრდოს, რომელიც ზემოთხსენებულ ერისკაცებთან ერთად, კოლხური ცივილიზაცია და ქართული კულტურა სთავაზობდა შთამომავლობას.

ბატონმა ჯემალმა დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და გაემგზავრა ირანში, სადაც სამი წელი ცხოვრობდა და მუშაობდა ისპაჰანსა და თეირანში. სწორედ იქ ეზიარა ძველი აღმოსავლური კლასიკური პოეზიის ჭეშმარიტ სიტკბოს, თუმცა ლექსების თარგმნა სტუდენტობის ჟამს სცადა და წარმატებითაც.

მის პოეტური ფანტაზიის ფრთების შესხმა, ანდალუზიის ებრაული პოეტების, შუა საუკუნეების პოეზიის ბრწყინვალე თარგმანებს მოჰყვა.

სულმნათი ჯემალის ნიჭიერი გონება და მახვილი თვალი შეეხო მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს. მან უზადოდ თარგმნა ძველეგვიპტური საგალობლები, დავით მეფის ფსალმუნები, დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს სონეტები, შექსპირის, ჩიკამაცუს, ტირსო დე მოლიანას, კარლო გოცის დრამატული პოემები, რილკეს, ნელი ზაქსის, მაიაკოვსკის, პასტერნაკისა და სხვათა შემოქმედებითი ნაღვაწი.

იგი ბრწყინვალედ ფლობდა ძველებრაულსა და შესანიშნავად იცოდა ძველქართულიც. სხვანაირად იგი მაღალ დონეზე ვერ თარგმნიდა მსოფლიო შედევრებს.

როცა ჰკითხეს, ლექსიკონების მეშვეობით ხომ არ თარგმნითო, ბატონმა ჯემალმა უპასუხა: **„ლექსიკონებით შეკოწიწებული თარგმანს, ბოდიში მომიხდია, ნაფტალინის სუნი ასდისო. ძველქართული რაბინმა „ბიბლიასთან" ერთად მასწავლაო."**

შესანიშნავად გრძნობდა რითმს, მის შემოქმედებას სდევდა ქართული პოეზიის დამატყვეველი სურნელი, ქართული სიტყვის მაზანდა, ჰაეროვნება, მზე და სინათლე.

სხვანაირი, მდაბალი, მდორე ნათარგმნები რომ შეექმნა არ მიუღებდნენ, არ დაუჯერებდნენ, არ დააფასებდნენ. მის თარგმანების თითოეული სტროფი, ჟღერადი და ორიგინალურთან საოცრად მიახლოებულია.

მისგან არასდროს უგრძვნიათ, რომ საქართველო მისი მეორე სამშობლოა. პირიქით, მან ხომ დედის რძესთან ერთად შეითვისა ქართული და მეგრული. ბავშვობიდანვე ეზიარა პოეზიის სამშობლოს ჭეშმარიტ დირებულებებს, რაც მთელი ცხოვრება გახდა მისი სულიერი თანმდევი და გრძნობათა და ფიქრთა გამომხატველი.

მან იტვირთა დიდი მისია. ქართველ მკითხველისთვის გაეცნო კლასიკური ებრაული პოეზია და არა მხოლოდ ებრაული შედევრები. გრძნობდა ორი ხალხის სულიერ და ინტელექტუალურ სიახლოვეს. გრძნობდა და დაუღალავად იღვწოდა ფრთები შეესხა საკუთარი გატაცებისთვის კი არა, არამედ მოვალეობამდე გათავისებული მოწოდებისთვის.

ვარ მონაწილე და დღემდე სასიამოვნო მოგონებად მრჩება ის შეხვედრა, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირმა მოუწყო ბატონ ჯემალის დაბადების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მაშინ საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა ფენის წარმომადგენელი ერთხმად აღნიშნავდა ბატონ ჯემალის დიდ ნიჭიერებასა და იმ ღვაწლს, რაც მან დასდო მთარგმნელობით ხელოვნებას. პირადად მე მომეცა საშუალება, მივსალმებოდი მისი მშობლიური კუთხის სახელით. როცა მოვიყვანე ქართულ-ებრაული დამოკიდებულების ჭეშმარიტი მაგალითები და ვახსენე, რომ ებრაელები ჩვენი ძმები არიან-თქო, დარბაზში ოვაცია გაისმა. ბატონი ჯემალი წამოდგა და მეგობრულად გადამეხვია.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ სამახსოვრო სურათი გადავიღეთ, რომელსაც ვთავაზობ მკითხველს.

ბოლო წლები ჯემალ აჯიაშვილს საქართველოში არ უცხოვრია, თუმცა იგი სულიერად ყოველთვის ჩვენთან იყო. ის არ დაავიწყდება იმათ, ვინც კი იცნობდა, მისი სულის სიმაღლე უგრძვნია, მისი თავმდაბლობით მოხიბლულა.

ბორის დავითაია,
მწერალი, ა. წერეთლის
სახელობის პრემიის
ლაურეატი

გამორჩეულ პირთა გალერეა
ქალბატონი ძაბული გაგუა-კალანდაძე 88 წლისაა

ჩვენი გაზეთის უხუცესი და უერთგულესი მკითხველი, ქვეყნის დამსახურებული პედაგოგი და ჩაის მრეწველობის დარგის დამსახურებული მუშაკი, შრომის ვეტერანი, ღვაწლმოსილი, ჭეშმარიტად ლეგენდარული პიროვნება, უამრავი ჯილდოს მფლობელი და საპატიო ნიშნის კავალერი, მწიგნობარი ბანოვანი, ქალბატონი ძაბული გაგუა-კალანდაძე 88 წლის გახდა.

ასევე ლეგენდარული პიროვნება გახლდათ მისი მეუღლე, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ტიტეისტერ-ტექნოლოგი ლონგინოზ ერმალოს ძე კალანდაძე, რომელიც ჩაის გადამამუშავებელი დარგის ლიდერად იყო აღიარებული მთელ საბჭოთა კავშირში. მას ხშირად უკავშირდებოდა პარტიის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივანი ნოე შონია და გადასცემდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის უმდაბლეს თხოვნას: ცენტრიდან ჩამოსული მაღალი სტუმრებისათვის გაეგზავნა თბილისში პირადად ბატონ ლონგინოზის მიერ შერჩეული და შეფუთული ჩაი. ამიტომ, არავის უკვირდა, რომ ვასილ მჟავანაძე ხშირად პირადად სტუმრობდა კალანდაძეების ოჯახს და მუდამ აღტაცებული რჩებოდა ლონგინოზისა და ქალბატონი ძაბულის მასპინძლობით.

რაიონის ჩაის მრეწველობის აღორძინების უმთავრესი ეტაპი გახლდათ 1934 წელი, როცა სოფელ უშაფათში აშენდა ჩაის ფაბრიკა. ჩემთვის მუდამ საამაყოდ დარჩება ის ამბავი, რომ აგურის ქარხანას, რომელიც ძირითად საამშენებლო მასალას აწვდიდა ჩაის ფაბრიკის მშენებლობას, ხელმძღვანელობდა ბაბუაჩემი – ანტონ ოსიას ძე ხუბუა, ხოლო ბებიაჩემი – ნადია მურღულია თავად ამ მშენებლობაზე დასაქმებულ ერთ-ერთ მშენებელთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა.

დღეს უკვე ქალბატონ ძაბული გაგუა-კალანდაძის ყოფილი მოსწავლეები 80 წლის ასაკს არიან მიღწეულები და სიამოვნებით იხსენებენ, თუ როგორი მონდომებით უხსნიდა მათ გაკვეთილებს კოპწია, მუდამ გემოვნებით ჩაცმული ქალბატონი.

ღირსეული შთამომავლობა გამოზარდა ამ მართლაც ოჯახმა, თუნდაც მსოფლიო საოპერო სცენის ვარსკვლავი – მაიკო, ან მთელი სამეგრელოს კოლორიტი, იუმორით აღსავსე რაინდული სულის პატრონი – თამაზ კალანდაძე...

ამდენად, თუ რამეზე ან ვინმეზე ითქმის სიტყვა დღეგრძელობა და უკვდავება, ეს გაგუა-კალანდაძეთა მართლაც გამორჩეულ ოჯახს მიესადაგება!

მერაბ ხუბუა,
სენაკი, უშაფათი

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთი "ილორი" უერთდებიან ბატონ მერაბ ხუბუას მოწიწებითა და უზომო სიყვარულით დამუხტულ პათოსს და ხანგრძლივ სიცოცხლესა და ბედნიერებას უსურვებენ ქალბატონ ძაბული გაგუა-კალანდაძეს და მის ლამაზ შთამომავლობას!

გომიძიცე ოკოლხეში თუთა

გომიძიცე ჯვეშებურო,
ოკოლხეში თუთა,
გეგნომივარჩხილე ლიხი,
აუადჭარა, ურთა...

უჩა ზღუას ენორწკინგნს
უკოროცხუ ქუა,
ქიგიშინი, ვორექ სქანი
კიდირიში სქუა...

ქიგიშინი, სოიშახ ონჭგდ
სქანი ვე დო გვალა,
დიოსქურს დო პიტიუნტის
თიშა ქიმეითვალა...

მუნაფეფი გეგნიფაჩი
ოკოლხეში თუთა,
ქავოსქიდით ართ-მაჟიას
მა დო სი დო ურთა...

ჩქინ ორთაშე, ამდღარიშო,
მაპალუნა მუთა,
გომიძიცე, გომიძიცე
ოკოლხეში თუთა...

მი ორე?

კოლხეთიში ჯვეშ დიხეფსგ
ჭიე-ჭიეთ გიმიჩანს,
ართის თქუანს, მაჟრას ფირქენს
მასმას ორთგ,
იძიცანს...
ქიანას ყვილუნს
შქირენით,
ჩე კიბირეფ უძიძგანს...

რამაზ კუპრა

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-205

„კვირის პალიტრის“ მიერ გამოცემულ 2008 წლის (3 იანვარი) კალენდარში სათაურით: **„ფესტოსის დისკო კოლხური ოქროდამწერლობაა“** ნათქვამია: **„ეს უნიკალური დისკო დღემდე გაუშიფრავია“** (?!) შემდეგ კი ლაპარაკია თუ როგორ გაშიფრა ეს მსოფლიო ისტორიული დოკუმენტი **„ახალგაზრდა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ მკვდარ ენების“** (სტატიის ავტორი მეგრულ-კოლხურ ენას მკვდარი ენების რიცხვში თვლის – კ. შ.) შესწავლა-შედარება-შეჯერებით და დაასკვნა, რომ ფესტოსის დისკო ქართული ოქროდამწერლობაა! კერძოდ, კოლხურია....

ჩანს **„კვირის პალიტრის“** სტატიის ავტორს არ სურს ბოლომდე თქვას სათქმელი.

კიდევ ერთი მაგალითი. იმავე კალენდრის 7 იანვრის – შობის დღეს, პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია შესანიშნავი ხალხური ლექსი **„ალილო“**, ხოლო მეორე გვერდზე **„ეს იცით?“** რომელშიც ვკითხულობთ: **„კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი – შემოღებულია ებრაელთა მიერ. საქართველოში ფეხი მოიკიდა ქრისტიანობასთან ერთად IV საუკუნეში.**

დღეთა ძველქართული სახელები – მზისა (კვირა), მთვარისა (ორშაბათი), არიასი (სამშაბათი), ერმისი (ოთხშაბათი), აფროდიტისა (ხუთშაბათი), დიოსისა (პარასკევი), კრონოსისა (შაბათი) – შემოღებულია ქართველთა (კოლხთა) შორეული წინაპრების, ქალდეველების მიერ და საქართველოში იხმარებოდა IV საუკუნემდე. სახელები: არია, ერმი, აფროდიტი, დიოსი, კრონოსი – ქართლში შემორჩენილია ქალდეურიდან... თანამედროვე ტერმინოლოგიით: მარსი, მერკური, ვენერა, იუპიტერი, სატურნი; ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ამათი ქართული შესატყვისებია: თარხონი, ჯიმაღი, მთიები, ობი და მორიგე".

სასურველი იქნებოდა სტატიის ავტორს გახსენებოდა, რომ სამეგრელოში დღესაც ხმარობენ კოლხ-ქალდების მიერ სემიტებზე ადრე შექმნილი შვიდი დღის სახელობით კალენდარს.

აღნიშნული საკითხი, თითქმის იმავე შინაარსით, გამოაქვეყნა გაზეთ **„კვირის პალიტრამ“** 2010 წლის 10 იანვრის კალენდარში. ავტორი უდავოდ ინტელექტუალი და მაღალი განათლების პიროვნებაა, არ შეიძლება არ იცნობდეს დიდი მეცნიერის, აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის წიგნს **„ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლელების ეთნიკური წარმომავლობისათვის“** – შეიძლება ძნელი დასაჯერებელი (სენსაციური) იყოს, მაგრამ ჩანს, რომ ქასქ-მეგრელების ტომებს ძ.წ. XVII-XV და XV-XIII საუკუნეებში კვირის კალენდარი – დღეების აღმნიშვნელი სახელწოდებები ჰქონდათ. აი, ზოგიერთი მათგანი: თუთიშქა, თუთუშხა, თუთისქა (თუთაშხა-ორშაბათი); თათისქა, თათიშქა (თახაშხა – სამშაბათი); მენისქა, მენიშხა (ჯუნანხა – ოთხშაბათი), ციანთისქა, ციანთეშქა (ცაშხა – ხუთშაბათი).

ესეც დაუჯერებელი ჩანს (მაგრამ ფაქტი ჯიუტია) ქასქ-მეგრელებს, აღნიშნულ პერიოდში, გვარებიც ჰქონდათ (თუმცა, მას რატომღაც, ზოგიერთი ტიპონიმებს უწოდებს), რომლებიც **„ია“** სუფიქსით მთავრდება: აშხარაფაია, ელურია, გახარია, ქათხარია, ფითადია, შარია, ციხურია, ციხარია, ციხარცია და მრავალი სხვა (ეს მასალები უფრო ვრცლად და უფრო დეტალურად გვაქვს განხილული **„კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე“** (2008-2010 წწ.).

ასევეა ადამიანთა სახელებიც: ასაფლალია, ხათეფა, ხაცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი, ფათა, ფათალია, ფაცენთია, ფიხუნია (ძველი კოლხეთის, აიეტის წინადროინდელი მეფის სახელია), ფია, ფიგაფაცუი, ფიფელუ, ფიციცი, სუფალი, სუსმელი, დადა, დადილუ, თემეთი, თითა, თუთუ (**გრიგოლ გიორგაძე,** ხეთური და ასურული ლურსმული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლელების ეთნიკური წარმომადგენლობისათვის, ახალციხე, 2000, გვ. 11-12, 63.) და ა. შ.

მაშასადამე, დღეთა სახელები **„შემოღებულია ებრაელთა მიერ და საქართველოში ფეხი მოიკიდა ქრისტიანობასთან ერთად IV საუკუნეში“,** როგორც მიუთითებენ, კი არა, არამედ ამ დრომდე მრავალი საუკუნით ადრე, ე.ი. მეგრელებს დღეთა ძველქართული სახელწოდებები ჰქონდათ: მზისა (ჟაშხა – კვირა), მთავარისა (თუთაშხა – ორშაბათი), ცისა (ცაშხა – ხუთშაბათი) და ა.შ. გარდა შაბათისა, დღეთა სახელწოდება მთავრდება, როგორც აღინიშნა, **„ხა“**-თი, ასეთი ზუსტი გამოხატვა ბუნებისა არც ერთს არა აქვს, არც სამიტებს, როგორიც აქვს მეგრელებს, ლაზებს, სვანებს, თუმცა, კვირის დღეთა მეგრული და სამიტურიო სახელები ერთმანეთს გავს.

ნუთუ შეიძლება იმაში ეჭვის შეტანა, რომ ძ.წ. XVII-XIII საუკუნეებში არსებული გვარსახელები და კვირის დღეთა სახელები მეგრულია? ამაში დაეჭვება, ჩვენი აზრით, ხელოვნური, არაობიექტური იქნებოდა.

გვინდა საკითხს ერთგვარად გადავუხვიოთ (თუმცა, აქაც სამეგრელოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზეა ლაპარაკი) და აღვნიშნოთ: უკანასკნელ პერიოდში (2008წ.) გაზეთ **„ალიაში“** ხშირად ქვეყნდება რამაზ კლიმიაშვილის ვრცელი ინტერვიუები შესანიშნავ, უნიჭიერეს ჟურნალისტ გელა ზედელაშვილთან, რომლებშიც ცდილობს, საკითხი ეხება თუ არა სამეგრელოს, მაინც რამე საშუალებით **„უკბინოს“**, შეურაცხყოფა მიაყენოს. სამეგრელოს წინააღმდეგ მიმართული ამ პასკვილების შესახებ, ვრცლად და დამაჯერებლად ილაპარაკა აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა, მწერალმა, პუბლიცისტმა, ნიკო ნიკოლაძის და შერვაშიძის პრემიის ლაურეატმა სერგი (გიორგი) საჯაიამ, პრესაში და თავის წიგნებში, მაგრამ აღნიშნულ ავტორს სამეგრელოს წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი კი არ აიღო, არამედ უფრო **„დახვეწა“** თავისი საქმიანობა. ქართველ ხალხს არ შეიძლებოდა დავიწყებოდა XX საუკუნის 90-იან წლებში თუ როგორ ებრძოდა, ევროპაში მყოფი რამაზ კლიმიაშვილი (იქვე. ევროპაში მყოფი კიდევ ორიოდე ქართველი (ერთი მეცნიერი, მეორე ავტომანქანის მძღოლი) საქართველოს დამოუკიდებლობას და ამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლიდერს ზვიად გამსახურდიას. მე არ შემიძლია დეტალები ვამტკიცო (ამის საბუთი, რა თქმა უნდა არა მაქვს), მაგრამ მაშინ მათ, ცუდად ახსენებდნენ. დღეს კი კლიმიაშვილი საქართველოში ერთ-ერთ პირველ პოლიტოლოგად ითვლება (რა თქმა უნდა, კლიმიაშვილი ნიჭიერი პიროვნებაა), მაგრამ ზ. გამსახურდიას სიძულვილის გამო, ზოგჯერ, რატომღაც, **„წირავს“** მთელ სამეგრელოს. მოვიყვან მხოლოდ ერთ ადგილს მისი ინტერვიუდან. კლიმიაშვილი აღნიშნავს, რომ თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი საქართველოს დანაწევრებას გეგმავენო (ამაში უსწორო არაფერია), გადადის, სხვა საკითხზე და პასუხობს: ბოლო დროს ერთი **„სახალისო“** დეტალიც (კლიმიაშვილს ეს სახალისოდ მიაჩნია?!): რუსულ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოდან გამოყოფა და რუსეთში შესვლა მეგრელებსაც უნდათო, მათ საკუთარი ფულიც კი დაბეჭდეს, მართალია, პირველი პარტიის კონფისკაცია უკვე მოხდა, მაგრამ მეორე პარტიაც გამოჩნდაო (საიდან მოიტანე ასეთი მასალები ბატონო რამაზ?!). იცით, ამას რუსეთში როგორი რეაქცია მოჰყვა? ოსები და აფხაზები არ გვეყოფა, რომ ახლა ამათაც მოინდომესო? – ნახევარი სამეგრელო ისედაც რუსეთში ზის და აღარ უნდათ, უკვე მობეზრდათ, – წერს რ. კლიმიაშვილი.

გაზეთი **„ალია“** კითხულობს: ისე, თუ სამეგრელო საქართველოს შემადგენლობიდან გავა, ეგრევე რუსეთის მეგრელიზაცია დაიწყება.

კლიმიაშვილი პასუხობს: – აი, ასეთ პარადოქსებამდე მივდივართ. ეს საკითხი ცოტა იუმორში უნდა გავატაროთ, თორემ მეგრელი მკითხველები გაგვიბრაზდებიან.

ასეთი საუბარი არც პოლიტოლოგს და არც არავის ეპატიება – ყოველგვარი მორალური ნორმებია დარღვეული. რ. კლიმიაშვილის ინტერვიუ თითქმის ყოველდღე იბეჭდება **„ალიაში“** და სხვა გაზეთებში. რ. კლიმიაშვილი უთუოდ ჭკვიანი პოლიტოლოგია. მაღალი რანგის, კარგი ავტორიტეტული ჟურნალისტი, დიდებული კალმოსანია გელა ზედაშვილიც. არაფერ შუაში არ არის გაზეთი **„ალია“**, – რა თქმა უნდა, საუკეთესო გაზეთია, მაგრამ ზოგჯერ ასეთი წერილიც იბეჭდება.

კლიმიაშვილმა არ შეიძლება არ იცოდეს რომ **„ნახევარი სამეგრელო ისედაც რუსეთში ზის“,** რადგან აფხაზეთიდან დევნილთა ნაწილმა რუსეთს შეაფარა თავი. აფხაზეთში კი ქართველი მოსახლეობის 85-90 პროცენტზე გაცილებით მეტი მეგრელი ცხოვრობდა, აფხაზეთი ხომ იგივე სამეგრელო იყო. ეს ხომ იცის კლიმიაშვილმა.

კლიმიაშვილებმა, კლიმიაშვილის მსგავსებმა, კლიმიაშვილის თანამოაზრეებმა და მეგობრებმა დაამხეს ზ. გამსახურდიას კანონიერი, ხალხის სრული ნებით არჩეული ხელისუფლება. ბატონო რამაზ! თქვენ თოფი არ აგიღიათ, სასხლეტისათვის ხელი არ გამოგიკრავთ, (თქვენ გარედან ებრძოდით ზ. გამსახურდიას!), მაგრამ თქვენ, თქვენისთანებმა **„ესროლეს“** ზ. გამსახურდიას. რ. კლიმიაშვილი და ძმანი მათი არამარტო ზ. გამსახურდიას ებრძოდნენ, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობას მთელი შესაძლებლობით ებრძოდნენ.

ხელისუფლების სათავეში კრიმინალური ძალები რომ არ მოსულიყო, საქართველოს აცდებოდა ყველა ის უბედურება, რაც 1992 წლიდან განიცადა, აქიდან იწყება, აქედან მოდის საქართველოს ყველა უბედურება, საქართველოს საშინელი ტრაგედია. თქვენ კი ეხლა, ბატონო რამაზ, ცილს სწამებთ სამეგრელოს, ამახინჯებთ რუსული პრესის მასალებს.

სამეგრელოს ებრძვიან არა მარტო რუსეთის მმართველობის, სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები (სეპარატისტები); სამეგრელოს სხვებიც ებრძვიან და ჩანს ეს ბრძოლა არ შეწყდება მანამ, სანამ სამეგრელოს (სვანეთსაც) არ წაართმევენ ენას და ამით არ გადააშენებენ ამ ხალხებს. ვიმეორებთ: ენის **„სიკვდილი“** (ენის წართმევა), ამ ენის მატარებელი ხალხის სიკვდილია. ამ ბრძოლაში დიდი ხანია მონაწილეობს პოლიტიკოსთა და მეცნიერთა ნაწილი და ეს ბრძოლა, ჩანს, მანამდე არ შეწყდება სანამ საბოლოოდ არ გადაუვლიან სამეგრელოს. ეს არ არის მარტო (მხოლოდ) გამოკვეთილად სამეგრელოს წინააღმდეგ ბრძოლა, სამწუხაროდ, სამეგრელოს ებრძვიან, ამით ებრძვიან მთელ საქართველოს და ამას ყოველმხრივ აქეზებენ და აღვივებენ –საქართველოს მტრები ქვეყნის გარედან.

თითქმის ერთგვერდიან ინტერვიუს დართული აქვს ჟურნალისტის შენიშვნა: **„რუსები არ გადიან არც სიმბოლურად და არც რეალურად. ევროკავშირის დამკვირვებლებს „ბუფერულ“ ზონებში არ უშვებენ. მათი გეგმის მიხედვით, არც უნდა შეუშვან. ამასობაში საქართველოს ხელისუფლება კვლავ არასერიოზულად იქცევა. თურქები, სომხები და აზერბაიჯანელები მომენტს ხელიდან არ უშვებენ და ჩვენი ქვეყნის ფედერალური მოწყობის ახალ პროექტზე მუშაობენ. ეს პროექტი იმდენად საინტერესოა, რომ პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილის აზრით, ქათველების დიდი ნაწილი გაოცებული დარჩება“.** (რას გეგმავენ საქართველოს ზურგს უკან თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი? გაზ. **„ალია“,** 2008, 2-3 ოქტომბერი, №121, გვ.3.)

2011 წლის თებერვლის ბოლოს რამაზ კლიმიაშვილი გარდაიცვალა. ამ სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით გელა ზედელაშვილმა გაზეთ **„კვირის ქრონიკაში“** გამოაქვეყნა დიდი წერილი, რომელშიც აყენებს ასეთ კითხვებს: რა უთხრა რამაზ კლიმიაშვილმა **„ქრონიკის“** ჟურნალისტს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე? იყო თუ არა რამაზ კლიმიაშვილი ჯერ **„კაგებეს“,** შემდეგ კი **„ფეესბეს“** აგენტი? ვინ ემუქრებოდა რამაზ კლიმიაშვილს სიკვდილით? რატომ გარბოდა რამაზ კლიმიაშვილი 2010 წლის გაზაფხულზე ლონდონში? გელა ზედელაშვილის ამ სიტყვებზე კომენტარს არ ვაკეთებთ. (გაზ. **„კვირის ქრონიკა“,** 2011, 7-13 მარტი, №10, გვ. 24-27.)

გაზეთ **„რეზონანსი“** ასეთ ცნობას აქვეყნებს: **„ბალტინი გარდაიცვალა“,** რომელშიც ნათქვამია: **„1992 წელს სწორედ ბალტინი იყო აფხაზური რეჟიმისათვის შეიარაღებითა და ცოცხლი ძალის მიწოდების ორგანიზატორი. 1993 წელს კი ბალტინის ხელმძღვანელობით დასავლეთ საქართველოში მოხდა რუსული ფლოტის ინტერვერცია, რის შედეგადაც დამარცხდნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ფორმირებები“. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დამარცხდა არა პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შეიარაღებული ფორმირებები, არამედ მთელი საქართველო დამარცხდა. ცნობილია, რომ ბალტინის ფლოტი და ქვეითი, სამხედრო მეზღვაურები საქართველოში მოიწვია საქართველოს უკანონო, კრიმინალურმა ხელისუფლებამ, რისთვისაც დიდძალი თანხა გადაეცა ე. ბალტინს და რუსეთის ხელისუფლებას. ისიც ცნობილია, რომ რუსეთ-საქართველოს ომი (ე. წ. აფხაზეთის ომი) საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას წასაგებად ქონდა დაგეგმილი, რითაც ხელისუფლება შეინარჩუნეს“** (გაზ. **„რეზონანსი“,** 2008, 8 ოქტომბერი.).

ვუბრუნდებით საკითხს. ცნობილია, რომ უძველეს პროტოქართველურ (წინაქართველურ) სამყაროში – კოლხეთში წყლის საათით ზომავდნენ დროს. **„დროის დინება“** წყლის დინებას დაუკავშირეს ძველმა კოლხებმა. დიდმა ელინმა – ბერძენმა ფილოსოფოსმა თალესმა სამყაროს პირველსაწყისად წყალი ჩათვალა. მან სიტყვა **„წყალი“** კოლხური ენიდან აიღო – **„იგი“** – **„ინგრ“** – ქართულად ენგური, კოლხურად ინგირი. თალესმა ბერძნულში **„იგრი“** წყლის სახელწოდებით დაამკვიდრა, რაც კოლხურში წყლის, მდინარის სახელწოდებაა. ეს თალესის ფილოსოფიური წყალია. აღნიშნული საკითხი მაღალმეცნიერულ დონეზე აქვს განხილული ქართული მეცნიერების რაინდს, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს **„ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“.** მის ნაშრომში ნათელი შუქი აქვს მოფენილი აღნიშნულ პრობლემას. პროფ. ჯიბო ლომაშვილი ერთ-ერთი ნაშრომში წერს: **„წყალს“** და **„წყლის კულტს“ მეტად საინტერესო ისტორია აქვს საქართველოში“.** (**ჯიბო ლომაშვილი,** ტერმინ **„აფხაზეთის“** ეტიმოლოგიისათვის, გვ. 56.) ხოლო მეორე ნაშრომში ამბობს: **„გიორგია, ივერია (იბერია) და საქართველოც, აგრევე საქართველოს სხვადასხვა მხარეების აღმნიშვნელი ტერმინებიც სემანტიკით წყალს უკავშირდება“. (ჯიბო ლომაშვილი, საქართველოს სახელწოდება „გეორგიას“ ეტიმოლოგიისათვის, გვ. 8.)**

როგორც ითქვა, სიტყვა „დრო“ წყლის საათს, დროის დენას უკავშირდება და „დროის დენა“, „წყლის დენის“ პარადიგმულია. უძველეს კოლხურ ცნობიერებაში „ჟამი“, უსათუოდ „დროს“ უკავშირდება. მაგრამ მას კოლხი ქურუმები ზომავენ არა „წყლის საათით“, არამედ „მზის საათით“. ქართული სალიტერატურო „ჟამი“ მოდის კოლხური „ბჟამი“-დან, რაც „მზეს“, „მზიურს“, „მზისეულს“ ნიშნავს სალიტერატურო ენაზე. უძველესი კოლხები – კოლხი ქურუმები მიწიერ „დროს“ ზომავდნენ მიწიერი საშუალებებით – „წყლის საათით,“ ხოლო ციურ „დროს“ – იგივე ჟამს („ბჟამს“) ციური კრიტერიუმით“ – „მზის საათით“; ძველმა კოლხმა ქურუმებმა, ასტრონომებმა და ასტროლოგებმა „დრო-ჟამის“ მოძრაობა „მზის“ („ჟამი“-ს) მოძრაობით გამოხატეს. ასე დაიწყო კოსმიური დროის ათვლა. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ მითოლოგიაში აიეტი და კირკე „ბჟამი“ – „მზის შვილები“ არიან. კოლხურ კალენდარში კვირას „მზის დღე“ – „ბჟაშხა“ ერქვა, ფაქტობრივად იხმარება „ჟაშხა“. როგორც აღინიშნა, ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხებს ეხება „ქართველი ერის ისტორიაში“ (ეს ყველაფერი დეტალურად აქვს აღწერილი ვლადიმერ ალფენიძეს).

მეგრული კვალი კარგად არის შემორჩენილი კვირის შვიდი დღის სახელწოდებაში – კალენდარში. უფრო გასაგები რომ იყოს, აღვნიშნავთ შემდეგს:

უძველესი დროიდან კვირის საწყისი დღე იყო კვირა (ჟაშხა) ე. ი. ათვლა აქედან იწყებოდა (იწყება).

როგორც ითქვა, კვირას მეგრულად ჟაშხა – ბჟაშიდღა – მზის დღე ჰქვია (სემიტურადაც ასე ჰქვია). მეგრულად ბჟა მზეს ნიშნავს (ბჟა მეგრულად რძესაც ნიშნავს – ეს შემთხვევითი არაა). ეს დაკავშირებულია მზის ღვთაება **„უთუ“**-სთან. მეგრული **„უთუ“** ნიშნავს გაუთავებელ ენერგიას – მუდმივ ენერგიას – ე.ი. მზის ენერგიას (გასათვალისწინებელია რძის ცხოველმყოფელი მნიშვნელობა).

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

2013 წლის 21 იანვარს საქართველომ გაიდვიძა თავისუფალმა, ტირანი მიხეილ სააკაშვილის მახინჯი, მანიაკალური იდეებისაგან თავდახსნილმა, ნაციონალების ნაძირალა მესვეურთა ძალადობისაგან თავდაღწეულმა...

დიახ, საქართველო განთავისუფლდა ნაციონალი არაკაცების დიქტატისაგან, ყოველგვარი სიმახინჯეებისაგან, რაც თავს მოახვიეს სრულიად საქართველოს ადამიანის სახედაკარგულმა დორბლიანმა, ლაფშმორღვეულმა, თვალებდაბლიტულმა, ყბაჩაკეტილმა, ამორალურმა, ფუნქციამოშლილმა, ჯერ კიდევ **“ადამიანებად”** წოდებულმა ბიოლოგიურმა არსებებმა.

საქართველომ კვლავ გაიბრწყინა ჩვეული ელვარებით, მაგრამ მის საბოლოოდ განსაწმენდად აუცილებელია კიდევ რამდენიმე ქმედითი ნაბიჯის გადადგმა!

უპირველესად, დანაშაულებრივ ორგანიზაციად უნდა გამოცხადდეს და კანონით აიკრძალოს საქართველოში ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური პარტია, ხოლო მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გოკა გაბაშვილი, აკაკი მინაშვილი, აკაკი ბობოხიძე, გიორგი კანდელაკი, ძმები კუბლაშვილები, გივი თარგამაძე, ჩიორა თაქთაქიშვილი და ნაციონალური სიბოროტის ყველა მხარდამჭერი და აპოლოგეტი ციხეში უნდა იქნას საიმედოდ გამოკეტილი.

ნაცებისავე ბინძური ცოცხით უნდა გაიხვეტონ საქართველოდან გიგი თევზაძე, მიხეილ თავხელიძე, ირმა ნადირაშვილი, ხათუნა ოჩიაური, ეკა ხერხეულიძე, დავით პაიჭაძე და ყველა სხვა არაკაცი თუ არაქალი, ვინც უტიფრად, ყოველი სიბინძურისა და ინსინუაციების გამოყენებით უხანგრძლივებდნენ არსებობას მიხეილ სააკაშვილისა და მისი ბინძური თანამზრახველების მანიაკალურ-პოლიტიკურ სისტემას!

მათი ადგილი საქართველოში არ არის, მაგრამ ამ დიდი სირცხვილის ჩამორეცხვას, რაც მუდმივ იარად დარჩება ჩვენს სულიერებას, საკმაოდ დიდი ხანი დასჭირდება. ახლა მაინც უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ არ შეიძლება უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება იმპულსურად, სათანადო ანალიზისა და პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტების დაწვრილებით განხილვის გარეშე.

შევარდნაძისადმი ქართველი ხალხის ბრმა სიძულვილმა შევარდნაძეზე უარეს ჭირს გადაგვკიდა, რაც კინაღამ მომავლის ფასად დაუჯდა საქართველოს!

ეს ჭირი გახლდათ ეთნიკურად და სულიერად არაქართველი მიხეილ სააკაშვილის მიერ ფაშისტური რეჟიმის დამკვიდრება იმ საქართველოში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში გამოირჩეოდა თავისი პროგრესული შეხედულებებით და დემოკრატიული დამოკიდებულებებით ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი.

და, როგორც ახლა გახდა ცნობილი, ასეთ პროგრესულ ქვეყანაში პატიმრებად ქცეულ უდანაშაულო ადამიანებს ყელამდე ფლავდნენ მიწაში და თავზე ასაქმებდნენ, ან საკუთარი ოჯახის წევრების გაუპატიურების კადრებს აცქერინებდნენ. ასეთი იდეა მხოლოდ სააკაშვილის, ბოკერიას ან გივი თარგამაძისთანა ავადმყოფ ადამიანებს თუ მოუვათ თავში. მათი შემხედვარე კიდევ ერთხელ რწმუნდები რომაელთა მიერ თქმულის ჭეშმარიტებაში: **“ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ძევს”.** საეჭვოა, რომ ხალხის წამებაში გაწაფულ სადისტებს ლოიალური აზრები მოსვლოდათ თავში!

ნაციონალები სულით-ხორციანად მახინჯები იყვნენ და მახინჯებად დარჩნენ, რადგან დღესაც ვერ შეუგნიათ, თუ რაოდენ დიდი ზიანი მიაყენეს ქართულ სულსა და სხეულს. ჩვენ არაერთგზის ჩამოგვითვლია ეს სიბოროტეები, მაგრამ იმიტომ, რომ ამას რამდენიმე გაზეთის ნომერიც კი არ ეყოფა, ვერასოდეს ვერ მიგვიყვანია ეს ჩამონათვალი ბოლომდე.

საინტერესოა, სად იშვნენ, სად გაიზარდნენ სააკაშვილი და მისი დამქაში ნაციონალები, საიდან აიტაცეს მათ ესოდენ დიდი სიძულვილი სულიერად მდიდარი საქართველოსა და ყოველგვარი ქართული სილამაზისადმი, როგორი დამახინჯებული ბავშვობა ჰქონდათ მათ, რომ ამდენი სიძულვილი გამოიტანეს სიყმაწვილის უდარდელი წლებიდან, ასეთ მახინჯებად მოევლინენ სამყაროს დედის საშოდან, თუ მერე წაიწყმიდეს სული, ცალ-ცალკე იშვნენ ასეთ საზიზღარ არსებებად, თუ, შემდეგ, მახინჯ იდეებს გამოდევნებულები თანდათან დაემსგავსნენ ერთმანეთს?

ამის დადგენა აუცილებელია, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოვახდინოთ პრევენცია, რომ შემდეგ საქართველოში აღარ ამოიზარდნონ მიხეილ სააკაშვილისა და სხვა ნაცების მსგავსი სიმახინჯეები, სხეულით ჩლიქოსანნი, სულით – ბოღმამორეულები, ზნეობრივად პოლიტიკური თუ ბიოლოგიური კახპები, მრწამსით სატანის პლატფორმაზე აყალხულები, ოჯახური სიწმინდის შემრყვნელები, კულტურის ძეგლთა ვანდალი მოძულეები, საკუთარი დედების მაგინებლები და დედა-შვილური სიყვარულის შემბილწველები.

როგორ შეიძლება, რომ დედამ ასეთი სიმახინჯე ატაროს მუცლით, ცხრა თვის მანძილზე?

ღმერთო ნუ მიწყენ, მაგრამ ერთგვარად შეიძლება ჩვენთვის სასარგებლოც კი იყო უდღეური სააკაშვილის ცხრაწლიანი ბატონობა, რადგან სწორედ მან დაგვანახა ჭეშმარიტი დემოკრატიული ღირებულებებისადმი ევროამერიკული ფარისევლური დამოკიდებულება. განა სწორედ მიხეილ სააკაშვილისაგან მოქრთამულმა ევროამერიკელებმა არ გამოაცხადეს ლამის **“დემოკრატიის შუქურად”** ეს ნარკომანი და მექალთანე ცვედანი, შავბნელი პიროვნება, რომელმაც სისხლიანი დარბევები მოუწყო საკუთარ ხალხს, დააწიოკა ბიზნესი, ცეცხლითა და მახვილით შეიჭრა დამოუკიდებელ ტელევიზიაში, ქუჩაში ჩახოცა უდანაშაულო ადამიანები, თავხედურად ძარცვავდა კერძო ბიზნესს, აწამებდა პატიმრებს...

ამდენი საშინელება მურვან ყრუებს, ბუდა თურქებს, ჯალალედინებს, შაჰ-აბასებს და აღა-მაჰმად ხანებსაც კი არ დაუტრიალებიათ საქართველოში.

დიახ, მკვლელი, მწამებელი, ინკვიზიტორი მიხეილ სააკაშვილი გახლდათ ზემოთჩამოთვლილ სატანათა ავი გამოძახილი, ჯოჯოხეთის ამონარწყევი, საქართველოს დამაქცევართა რიგში **“ღირსეული”** ადგილის მქონე ერთ-ერთი ყორღანაშვილი, ადამიანად წოდებული არარაობა. ტყუილად როდი უწოდა ერთმა ქართველმა მეცნიერმა სააკაშვილს და მისნაირ ნაციონალ არარაობებს **“სადოპედერასტები”** (სადისტი პედერასტები), რომელთაც თანატოლებისაგან ხელმოცარვა გამოარჩევდა და სწორედ ამ განსხვავებით გაბოროტებულებმა საბოლოოდ დაჰკარგეს ადამიანობის ორიენტირი და მოლაპარაკე მხეცებად იქცნენ. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ სადიზმი და მიზანთროპია (ადამის მოდგმისადმი დაუოკებელი სიძულვილი) ეუფლებათ სწორედ იმ ადამიანებს, რომელთაც სექსუალური ან სხვა სახის ფსიქოლოგიური გადახრები აღენიშნებათ. შეხედეთ სააკაშვილის შეშლილ სახეს, ნარკოტიკების უზომოდ მოხმარებისაგან მიბლეტილ თვალებს, მის არაბუნებრივ მიხვრა-მოხვრას და, არამც თუ ექიმი, არამედ უბრალო ადამიანიც კი წამსვე დარწმუნდება, რომ მის წინ დგას ფსიქიურად მძიმედ დაავადებული არსება, რომლისგანაც გამორიცხულია ნორმალური ადამიანის ადექვატური საქციელი.

განა საქართველოსა და ქართველების დიდი სირცხვილი არ არის, რომ ასეთი დასაბმელი გიჟი ვაპრეზიდენტეთ საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში?

გიმეორებთ, კარგად დააკვირდით სახეზე მიხეილ სააკაშვილს, ვანო მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძეს, ჩიორა თაქთაქიშვილს, მიხეილ მაჭავარიანს, გოკა გაბაშვილს, გიორგი ბარამიძეს, მიშა თავხელიძეს, კანდელაკებს, თუთბერიძეებს, ბალავაძეებს, ოჩიაურებს, ხერხეულიძეებს, პაიჭაძეებს, ბურჭულაძეებს, დეისაძეებს, სხვა მათნაირებს, რომლებიც საკუთარი დედის სარეცელში მიძვრებიან სულის წასაწყმედად, თვალებს აცეცებენ წუწკი ძაღლებივით, საკუთარი მძიმე დანაშაული უწვავთ ზურგს და მზერას ვერ უსწორებენ თანამოსაუბრეებს, მაგრამ რომლებიც დღესაც უტიფრად ამტკიცებენ, რომ მათ საქართველო დემოკრატიისა და ნატოსკენ მიჰყავდათ.

სულიერი ჭაობის, გარყვნის, გადაჯიშების და განადგურებისაკენ მიჰყავდათ მათ საქართველო, რადგან სატანური სიძულვილით ეზიზღებოდათ ყოველი ჩვენი ლამაზი ტრადიცია – დაწყებული ქალიშვილობის ინსტიტუტით და დამთავრებული – მართლმადიდებლური ურყევი რელიგიური მრწამსით.

შეხედეთ ხათუნა კალმახელიძეს, მის არაბუნებრივად დაბერილ ტუჩებს და დაღრეჯილ სახეს, საიდანაც გაუპატიურებული სატანა გიმზერს და სწორედ ამ გაუპატიურებისთვის იძიებდა ხოლმე შურს ეს პირსისხლიანი არარაობა, სრულიად უდანაშაულო ადამიანებზე. ნაციონალთა ეს **“ავანგარდი”** ხომ ის ხალხია, რომელთაც თავმოყვარე ადამიანი თავისი სახლის კარს არასოდეს არ გაუღებს!

შეხედეთ ადამიანის სახედაკარგულ გოკა გაბაშვილს, რომელიც ჩვეული უტიფრობით გვიმტკიცებს, რომ ნაციონალების ზეობა საქართველოსათვის ოქროს ხანას წარმოადგენდა.

შეხედეთ მკვლელ ბარამიძეს და მის დამქაშებს, რომელთაც სურთ უდანაშაულო კრავებად წარმოგვიდგინონ თავი, მაშინ, როცა მათ მიერ დაღვრილი სისხლი ჯერაც არ შეშრობია არც რუსთაველის გამზირის ასფალტის საფარს და არც აფრასიძეების ოჯახის ნაფუძვარს!

შეხედეთ სახემონგრეულ ენაბლუ გივი თარგამაძეს, სულის ამოხდით რომ ემუქრებოდა ნაცების თავხედობის გასაპროტესტებლად გამოსულ მშვიდობიან დემონსტრატებს! ნორმალური ადამიანებისადმი ზიზღი და სიძულვილი გამოსჭვივის ამ მართლაც მახინჯი ადამიანის გამოხედვაში!

შეხედეთ თავად უმეცარ ჩიორა თაქთაქიშვილს და მისნაირ უმეცრებს, რომლებიც კვლავ გვმოძღვრავენ და იმ პოლიტიკურ არჩევანს გვიწუნებენ, რომელმაც ხალხისაგან საბოლოოდ მოძულებულ ნაციონალებს პოლიტიკურ სანაგვეზე მიუჩინა ადგილი!

არ გინდა დაიჯერო, რომ შეიძლება ასეთი ურცხვი ნაძირალები და პოლიტიკური თაღლითები საერთოდ არსებობენ დედამიწის ზურგზე!

მართლაც რომ ლეგიონია მათი სახელი!

ჩვენ კი მათ უმაღლესი ხელისუფლება ვუბოძეთ და დროულად არ აღვკვეთეთ მათი პარპაში, რაც სამარადჟამო სირცხვილად შერჩება საქართველოს მატიანეს!

დიახ, ისინი ნამდვილი **სადოპედერასტები** არიან, ხელმოცარული არსებები, რომლებიც შემთხვევით, უფრო სწორად – ედუარდ შევარდნაძის ბოროტი ნების წყალობით აღმოჩნდნენ საქართველოს მართვის სადავეებთან და ყველაფერს აკეთებდნენ ქვეყნის დასასუსტებლად და დასანგრევად. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ციხეებში პატიმრების წამებისა და გაუპატიურების კადრებს იღებდნენ და ამით დიდ სულიერ და სხეულებრივ ტკბობას განიცდიდნენ!

სადიზმი და ფსიქიკური გადახრა განა სხვა რამეა?

ისინი პირწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან და როდესმე შეიძლება სანანებლადაც კი გაგვიხდეს, რომ ეს სრული არარაობები დაუსჯელები დარჩნენ!

როგორც თავად ლაფშმორღვეული და ისტერიამორეული, ნარკოტიკებისაგან ტვინარეული, გამუღავნებული მანიაკი და შეურაცხადი მიხეილ სააკაშვილი მარტის მამალივით გაჰკიოდა ერთ-ერთი მაღალი ტრიბუნიდან: **“არავითარი დანდობა დამნაშავეებს! ნულოვანი ტოლერანტობა! ყველანი ციხეში! ყველანი ციხეში”!**

ქართველებმა სამართალი არ უნდა ვეძიოთ სტრასბურგსა თუ ვაშინგტონში, სამართალი ჩვენვე უნდა აღვასრულოთ, რადგან ვერც კახპისა და ბანდიტის შთამომავალი ამერიკელი და ვერც ფულზე გაწუწკებული ევროპელი ჩვენ ვერ გვასწავლის, თუ რა არის ღვთისა და ერის სამართალი!

სრული მორალური, ზნეობრივი და იურიდიული უფლება გვაქვს (მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, მაგრამ სხვა ეპითეტი ვერ მოვძებნე) **“ფეხებზე დავიკიდოთ”** იმ ევროსტრუქტურათა დადგენილებები, რომელთაც ხელოვნურად შეკოწიწებული გაერთიანებები თავზე ენგრევათ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ფული მოიხვეჭონ სააკაშვილისთანა არაკაცების **“გაპრავებით”** და მათ მიერ მიწოდებული ამაზრზენი სიცრუეები სიმართლედ შემოგვასაღონ.

როგორც დიდი ვაჟა ამბობდა:

“ტყუილად ცდილობთ, ღორებო,
ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!..”

ჩვენი სამართალი და მასზე დაფუძნებული კანონები ლამის დედამიწაზე ცივილიზაციის დაარსებიდან მოდის, იმ შორეული წარსულიდან, როცა ამერიკული საზოგადოება ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა, დღევანდელი ევროპელები კი ხეებზე ცხოვრობდნენ, ტანთ დაუმუშავებელი ტყავი ემოსათ და ხილ-კენკრეულით, ან უმი თევზითა და ხორცით იკვებებოდნენ.

კოლხეთში აკადემიები ფუნქციონირებდა მაშინ, როცა ევროპელებმა საერთოდ არ იცოდნენ რას ნიშნავდა სიტყვა **“აკადემია”.**

მართლაც სირცხვილია, რომ აიეტის და ქუჯის შთამომავალს ვიღაც უჯიშო და უჯილაგო გვმოძღვრავდეს!

უამრავი ბუდე შექმნა ნაციონალურმა მოძრაობამ, მაგრამ მათ შორის ყველაზე საშიში და მოსარიდებელი ის გველების ბუდეა, რომელსაც ტელეარხი **“რუსთავი-2”** ჰქვია. ვერ მოიჯერეს ბოღმიანი გული ამ მართლაც გველებმა და კვლავაც ძველებურად სისინებენ ნაცთა სადიდებელ ოდებს და ცდილობენ დაარწმუნონ მათივე სისინით გზა-კვალარეული საზოგადოების ნაწილი, რომ სააკიანცისა და მისი ბანდის ხელისუფლებიდან ჩამოშორებით ქვეყანას რეალური საფრთხეები ემუქრება!

არა და, თავადაც კარგად იციან, რომ უტიფრად ცრუობენ და მათი გადამთიელი შემკვეთებივით მათაც სატანისათვის აქვთ სული მიყიდული.

უზნეობისა და არაქართველობის სატანური დამდა იყო ყოველთვის ეს მართლაც სატანური იდეების მატარებელი ტელეარხი და მათგან სასიკეთოს რას უნდა ელოდოს ადამიანი?!

ნუთუ ვინმეს მართლა სჯერა, რომ სულიან-ხორციანად არაქართველი და ეროზირებული ზნეობის მქონე ეროსი კიწმარიშვილი, რომელსაც საკუთარი ოჯახისათვის ვერ მოუვლია და მზადაა ფულზე დათმოს ყოველნაირი სიწმინდე, რაიმე სასიკეთოს გააკეთებდა საქართველოსათვის?

მეორე, რაც საქართველოდან სააკაშვილის შემდეგ უნდა გადაშენდეს, სწორედ ეს ტელეარხია!

რადგან იგი ჯერ კიდევ უთმობს ტრიბუნას თვითმარქვია სააკაშვილს და აძლევს მას საჯაროდ ბოღმის გადმონთხევის საშუალებას და შეცდომაში შეჰყავს ქართველი ხალხი! ამიტომ, მივმართავთ ქართველ ბიზნესმენებს თხოვნით, ნუ განათავსებენ რეკლამებს ტელეარხ **“რუსთავი-2”**-ში, და, ასევე, მივმართავთ თხოვნით ქართველ ხალხს, რომ ნუ შეიძენენ იმ ფირმების საქონელს და ნუ ისარგებლებენ იმ ფირმების მომსახურეობით, რომლებიც თავიანთ რეკლამებს მაინც განათავსებენ აღნიშნულ ტელეარხზე!

დიახ, ქართველი ხალხი ვალდებულია, რომ ბოლო მოუღოს ამგვარ თავხედობას და მის შემოქმედებს!

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ,
“ᲤᲐᲖᲘᲡᲘ”-Ს ᲓᲐ “ᲐᲘᲐ”-Ს
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ

ლავრენტი ბერია: მტერი თუ მოყვარე

“წიგნი კარგი სასიამოვნო მოსაუბრეა, გულახდილი მეგობარი და მოუსყიდველი მრჩეველი”
ალფონ სელსაბიო

ქართული საზოგადოება ათეული წლების მანძილზე მოკლებული იყო დემოკრატიულ აზროვნებას, დღეს კი იგი თავისუფალ სიტყვას, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით ეკიდება და წინა პლანზე აყენებს ადამიანურ პიროვნულ როლს. ვაუშენოთ მაღალ ზნეობრივ ღირებულებაზე დამყარებული ახალი დემოკრატიული სახელმწიფო.

ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა მოითხოვს გამოცდილ, უნარიან, მაღალი ცოდნით შეიარაღებულ თაობას. დღევანდელი ნახევარ სიმართლეზე აგებული სახელმწიფო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს ზნეობრივ საფუძველზე დამოკიდებულ, სამშობლოს ერთგული, აქტიური მოქალაქეების აღზრდას, რომლებიც მზად იქნებიან მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის ეკონომიური განვითარების პროცესში. ამის ერთ-ერთი მიზეზია განათლების სისტემის მოშლა – გაუთავებელი რეფორმების ქადაგება, წარსული გამოცდილების უარყოფა, ძველი თაობის **“ჩარეცხილებად”** გამოცხადება. ნიჭსა და უნარს გზა გადაეკეტა, ფართო ასპარეზი დაეთმო უცოდინარობას, რაც ყველა სფეროში იგრძნობა. უფროსი თაობისათვის კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირმა ჩამოყალიბებისთანავე ფართო ასპარეზი დაუთმო ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდობას. როგორც ლიონ ფოიხტვანგერი ამბობდა **“...წინ წამოსწია დღემდე დამალული ტალანტების უმრავლესობა”.** ამ ტალანტებიდან ერთ-ერთი იყო ლავრენტი ბერია, რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შესანიშნავი გამოკვლევა მიუძღვნა რუსმა მწერალმა და პუბლიცისტმა სერგეი ბრეზკუნმა (კრემლიოვი მისი ფსევდონიმია) – **“ბერია მე-20 საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”.** წიგნის სათაურიდან ჩანს თუ რა განზრახვა ამოძრავებს ავტორს – შექმნას სწორუპოვარი ტალანტის უშიშარი სახე რომლის ბუნებაში სახელმწიფოებრივი აზროვნება და მართვის ხელოვნება ერთ ასპექტშია წარმოდგენილი რაც მას საშუალებას აძლევს იფიქროს და მიიღოს მართებული გადაწყვეტილება ქვეყნის სასარგებლოდ. აღნიშნული წიგნის გაცნობა დიდად წაადგება ჩვენ ახალგაზრდობას სწორი დასკვნების გასაკეთებლად წარსული ისტორიიდან, რომლის გარშემო, ჩვენი ისტორიკოსების და მწერლების მიერ შექმნილი ნაშრომები თითქმის ყველა ტენდენციურია; მათი ძირითადი შინაარსი აგებულია ნიკიტა ხრუშჩოვის შეთითხნილ ნაბოდვარზე დაყრდნობით. დღევანდელი ისტორიკოსების და მწერლების უმრავლესობა ვერ განთავისუფლებულან ავანტიურისტ და მატყუარა ხრუშჩოვის იდეოლოგიიდან, მისი **“ნააზრევებით”** კვებავენ დღევანდელ ახალგაზრდობას. უქმნიან უარყოფით წარმოდგენას ისეთ დიდ წინაპრებზე როგორიც იყვნენ სტალინი და ბერია.

შევთანხმდეთ ფუნდამენტურ არგუმენტზე – შეცდომა მოელის მას ვინც მუშაობს, განსაკუთრებით ვინც სახელმწიფო იერარქიის მაღალ ეშელონებშია.

მაშ ასე, ლავრენტი ბერია მტერი თუ მოყვარე?

ლავრენტი ბერია საქართველოში დაიბადა და საქართველოშივე მიიღო პირველი რევოლუციური ნათლობა. ბაქოს საამშენებლო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ლავრენტი ბერია საქართველოში სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე ინიშნება. ყველა საქმეს მაღალ პროფესიულ დონეზე წარმატებით ასრულებს. ერთ-ერთი მეზღაპრე არქივების მქექავი წერს – ბერიას **“ფენომენალური მეხსიერება ჰქონდაო”.** დავაზუსტებ – ბერიას ფენომენალური ნიჭი ჰქონდა, რისი ნაყოფიც იყო ფენომენალური მეხსიერება. ადამიანში ეს ორი სიმდიდრე ერთმანეთის გარეშე არ არსებობს, სწორედ ფენომენალურმა ნიჭმა და ფენომენალურმა მეხსიერებამ განსაზღვრა ბერიას დიდი მომავალი და დაუმკვიდრა ნიჭიერი, ენერგიული ხელმძღვანელის სახელი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ქუხდა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და მთელ მსოფლიოში. დიახ, დიდ ბელადს მხედველობიდან არ გამოპარვია ბერიას ნიჭი და უნარი და კაგანოვიჩისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს: **“ბერია დადებით შთაბეჭდლებას ტოვებს, კარგი ორგანიზატორია, საქმიანი, უნარიანი მუშაკია... მიუხედვად იმისა, რომ ბერია არ არის არც ცეკას წევრი და არც კანდიდატი, მაინც აუცილებლად მიმაჩნია, იგი დაინიშნოს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად”.** ბელადის ასეთ დიდ ნდობას ვერ იმსახურებდნენ მაშინდელ ამიერკავკასიაში მოღვაწე პარტიული ამხანაგები რომელთა უმრავლესობას თანამდებობა სავარძლისთვის უნდოდათ და არა საქმის კეთებისათვის. ბერიასადმი სტალინის ნდობამ ძველ პარტიულ მუშაკებში ეჭვი და შური დაბადა, რასაც ყველა ხელსაყრელ მომეტში ავლენდნენ. ბერია კი მუშაობდა ენერგიულად და დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, ყალიბდებოდა მაღალი რანგის ხელმძღვანელად, რაც კაგანოვიჩსაც არ დარჩენია შეუმჩნეველი. მან ბელადს შემდეგი სიტყვებით მიმართა: **“ბერია იყო ჩემთან, ნამდვილად დიდი შესაძლებლობის მქონე მუშაკის შთაბეჭდილებას ტოვებს”.** ბერიას საკუთარმა ნიჭმა და ტალანტმა ბევრი მოწინააღმდეგე და მტერი გაუჩინა როგორც საქართველოში, ისე მოსკოვში; საერთოდ კი მოწინააღდეგეთა დიდი ბირთვი საქართველოში იყო. დაპირისპირება პოლიტიკურ ჭრილში მიმდინარეობდა. როგორც ისტორიიდან ცნობილია ეს ბრძოლა ბერიას გამარჯვებით დამთავრდა. დამარცხებული მხარე სხვდასხვა დაჯგუფებებს შეუერთდა, რაც იმ დროისათვის საქართველოში მრავლად არსებობდა, რომლებსაც დაბეზღება და ჩაშვება პროფესიად ჰქონდათ ქცეული. აღიარებას ძალადობა არ სჭირდებოდა, დაპატიმრებულებს **“გმირობად”** მიაჩნდათ თავიანთი ქმედებები და თავისუფლად იძლეოდნენ აღიარებით ჩვენებებს. ბრძოლა ძირითადად სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ მიმდინარეოდა. ეს პერიოდი ძალიან მტკივნეულად აისახა ქვეყნის ისტორიაში. იყო რეპრესიები რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი, რის გამოც უდანაშაულო ადამიანებიც დაიღუპნენ. იხვრიტებოდა ისეთი ხალხი რომელთაც სახელმწიფოსადმი ტერორისტული აქტის განხორციელება **”გმირობად”** მიაჩნდათ. ხრუშჩოვმა კი ამ ხალხს, სტალინისა და ბერიას სიკვდილის შემდეგ, რეაბილიტაცია გაუკეთა და სამშობლოსათვის წამებულის მანტია მოასხა. ყველა დანაშაული სტალინსა და ბერიას მიაწერა. 30-იან წლებში ქვეყანაში მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. გარეშე და შინაური მტერი დივერსიულ აქტებს ზედიზედ ახდენდნენ. იღუპებოდა უდანაშაულო ხალხი. რა უნდა გაეკეთებინა მთავრობას?! შერიგებოდნენ მდგომარეობას თუ მიეღოთ გადამჭრელი ზომები; პასუხი ცალსახაა – უნდა მიეღოთ გადამჭრელი ზომები რომელიც ხალხის მოთხოვნაც იყო. სხვანაირად ქვეყანა ვერ გადარჩებოდა. ახალი სახელმწიფო შენდებოდა რომლის ანალოგი მსოფლიოში არ იყო. წლების გასვლის შემდეგ ყველაფერზე ლაპარაკი ადვილია – შეცდომებზეც და წარმატებებზეც მაგრამ იმ რეალურ მომენტში, როცა ქვეყანა იღუპებოდა, საათები და წუთები წყვეტდა ყველაფერს. აი, რას წერს სტალინი კაგანოვიჩს: **“ამ დღეებში ჩემთან იყვნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნები, ...მე ისინი როგორღაც მოვარიგე, მაგრამ სიმშვიდემ დიდხანს არ გასტანა. არ ტყუიან ბერია, პოლონსკი და ორახელაშვილი, მაგრამ პოლონსკი უშვებს უტაქტობას, შეცდომებს. ყველაზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მამულია (საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი). კომიკური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე სუხიშვილი. თუ საქმეში არ ჩავერთეთ, ეს ხალხი თავის სისულელით დაღუპავენ საქმეს”.** ეს მცირე ამონარიდი სტალინის წერილიდან ნათელი დასტურია იმისა, თუ რა დონის ხელმძღვანელები იდგნენ სახელმწიფოს მართვის სათავეში. ბელადი მათ სულელის დონეზე მოიხსენიებს და მოითხოვს მათ განეიტრალებას, რის გამოც სახავს ღონისძიებას:

“1) დაინიშნოს სექტემბრის მიწურულს მოსმენები ორგბიუროში.

2) მკაცრად მიუთითოთ მათ და მამულიას ტიპის ადამიანები განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან; ამ ღონისძიების გარეშე საქმე წინ ვერ წავა”

ავტორებმა, რომლებიც ცილს სწამებენ ლავრენტი ბერიას, უნდა იცოდნენ, აღთქმული უნდა ქონდეთ სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომლებიც იმ პერიოდში გამოდიოდა სამთავრობო ორგანოებიდან, ძირითადად ცენტრალური კომიტეტიდან. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ მათგანს – ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა დადგენილება **“ლიტერატურის და ხელოვნების პარტიულობის შესახებ”**, რომლითაც მოუწოდებდა ერსა და ბერს, მწერალსა და ისტორიკოსს, ჩამდგარიყვნენ ახალი სახელმწიფოს მშენებლობის ფერხულში, ვინც ეს მოწოდება აღიქვა ხელი არავისთვის არ უხლიათ, ვინც ვერ დააღწია თავი ბურჟუაზიულ ქონებრივ ინტერესებს ცხადია დაისაჯნენ. **“უეჭველია, რომ მწერალი, რომელიც გენერალური ხაზის გადახვევას გაბედავს, საქმეს გაირთულებს”** – ასე აღიქვა იმდროინდელი პერიოდი გერმანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა ლიონ ფოიხტვანგერმა.

სხვა გამოსავალი არ იყო, დრო აღარ ითმენდა. შინაურმა მტრებმა გარეული მტრები მოამრავლეს და ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგებოდა. კაპიტალისტური ყბადაღებული სამყარო გადაყლაპვას უპირებდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას რომელიც ახალი სისტემის მშენებლობის პროცესში იყო.

ს. კრემლიოვი წერს **“ბერიას ესროდნენ მტრები და ეს მტრები საბჭოთა სისტემის გაძლიერების კვადაკვალ ცვლიდნენ ბრძოლის სტილს და მეთოდს და შეტევას სრულიადაც არ ასუსტებდნენ, ამიტომ დარჩა ბერია ჩეკისტად და ვერ გახდა არქიტექტორი”**. ს. კრემლიოვის წიგნში ლავრენტი ბერია წამოდგენილია მოაზროვნე, თავდადებულ, ნიჭიერ, სახელმწიფო მართვის მცოდნე უბადლო პიროვნებად. **“თუ ადამიანს დიდი საქმეები ებარა და იგი სამშობლოს კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ვერავინ შეძლებს მისი სახელის მიფუჩეჩებას”** /ს. კრემლიოვი/. როდესაც ბერია საქართველოს მაღალ ეშელონებში მოვიდა, საქართველო იმართებოდა შიდა და გარე მტრებისაგან. ყველაფერი მიმართული იყო კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ მაგრამ არც ბერიას ეძინა, ის გეგმაზომიერად ანეიტრალებდა მათ ძალებს: აპატიმრებდა საეჭვო ხელმძღვანელ პირებს, რაც ლოგიკურად გამართლებული იყო. ერთ-ერთ დაპატიმრებულ ჩხიკვიშვილს ჯიბეში აღმოაჩნდა ნ. ჟორდანიას წერილი, სადაც ეწერა: **“... ძნელი დასადგენი არ გახლავთ, კავკასიის მთებს მიღმა უნდა გავმაგრდეთ. მაშინ გავიმარჯვებთ, მხოლოდ ამის შემდეგ მოგვაქცევს ევროპა სერიოზულ ყურადღებას”.** ასე **“აიმედებდნენ”** საზღვარგარეთიდან ყოველგვარ გარანტიასმოკლებული ქართველი მენშევიკები თავის ემისრებს, რომელთა გაუთვლელ მოქმედებებს უამრავი უდანაშაულო ადამიანები ეწირებოდა. ბერიამ გაატარა სიტუაციასთან შესაფრისი ღონისძიებები, რაც პირველი პირის სახელმწიფოებრივი მოვალეობა იყო, გადაარჩინა ქართული სახელმწიფო ყველა რჯულის მტრისაგან და შეინარჩუნა სიმშვიდე. გატარებული ღონისძიებების შედეგად დაპატიმრებული იქნა სომეხ **“დაშნაკთა”** კომიტეტის წევრები. ახალციხეში საიდუმლო სამალავში აღმოჩენილი იქნა 11 ტყვიამფრქვევი, 33 ყუთი ხელყუმბარა, 70 შაშხანა, 30 ტომარა საარტილერიო დენთი, 70 ფილა დინამიტი, 70 ფუთი (1 ფუთი 16 კგ – **ლ.ბ.**) ვაზნა. ყველაფერი ეს ემსახურებოდა **“დაშნაკების”** მიერ საქართველოში დივერსიების მოწყობას. ბედი ქართველი ერისა, რომ ამ დროს საქართველოს სათავეში ედგა გამოცდილი ჩეკისტი და პარტიული მუშაკი ლავრენტი ბერია. მისი მოღვაწეობის პერიოდში დარიბი საქართველო მძლავრი ინდუსტრიული ქვეყანა გახდა. ათასობით კვადრატული მეტრი დაშრობილი ჭაობები ლამაზმა ციტრუსების ბაღებმა შეცვალა. გაყვანილი იქნა საავტომობილო გზები. თბილისში აშენდა მაღალი არქიტექტურული გემოვნებით დაპროექტებული სახლები, რომლებიც დღესაც ამშვენებს თბილისის პროსპექტებს და ქუჩებს. აშენდა ფუნიკულიორი, გაყვანილი იქნა თბილისი-კოჯრის გზა, **“იმელის”** ბრწყინვალე შენობა, რომელიც დღეს სამარცხვინოდ გამოიყურება მიხეილ სააკაშვილის უგნური დ ბოროტი ქმედების გამო.

მკითხველი ს. კრემლიოვის წიგნის წაკითხვის დროს უკეთესად გაეცნობა იმ უამრავ საარქივო მასალებს, რომლის მოძიებისათვის ავტორს კოლოსალური შრომა და ენერგია აქვს დახარჯული. აღნიშნული მასალები ავტორს ისე ნიჭიერად აქვს დალაგებული, რომ მკითხველს გაუადვილებს გაერკვეს იმ პერიოდის დამახასიათებელ დახლართულ პოლიტიკურ პროცესებში. იმედია, ქართველი საზოგადოება დადებითად შეხვდება ერონვნებით რუსი კაცის სერგეი კრემლიოვის მიუკერძოებელ და გულით აღთქმულ ისტორიული მოვლენების სწორ შეფასებას და რეალურ დასკვნას გააკეთებს იქიდან, რომ ლავრენტი ბერია მტერი არ ყოფილა. მის მიმართ წამოყენებული ავანტიურა ხრუშჩოვის ჩანაფიქრი და მოგონილი იყო ბერიას დისკრედიტაციის შესაქმნელად, რაც სისრულეში მოიყვანა, და რაშიც მას გვერდში ედგნენ ზოგიერთი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთა წინაპრებმა 30-იან წლებში თბილი სავარძლები დაკარგეს.

ხრუშჩოვის ავანტიურამ მიზანს მიაღწია – ბერიას განადგურებით მან საკუთარი თავი გადაირჩინა და ბერია იდეურად გააქრო საზოგადოებრივი ცნობიერებიდან. ხრუშჩოვს ეგონა სამუდამოდ შეიძულებდა ხალხი ბერიას, მაგრამ პირიქით მოხდა, დედამიწის ზურგზე ხრუშჩოვის მაქებარი ორი კაციც არ მოიძებნება. მის მშობლიურ რუსეთში მას იცნობენ როგორც უნიჭო, ლაზღანდარა ხლმძღვანელს, ხოლო როგორც ს. კრემლიოვი წერს **“სტალინი და ბერია რუსი ხალხის საყვარელი შვილია, რომ არ ყოფილიყო სტალინი და ბერია რუსეთი დღესაც მეფისდროინდელი განვითარების დონეზე იქნებოდა”.**

მკითხველო!

კარგად დავფიქრდეთ და ცივი გონებით განვსაჯოთ, თუ რამდენად ამაღლებულად ჟღერს ფრაზა: **“რუსი ხალხის საყვარელი შვილი”,** იმ ღირსეული ქართველების მიმართ, რომლებსაც უკვე 60 წელია ტალახს სვრიან განსჯის უნარს მოკლებული უმეცრები და უგუნურები, **“ჯალათს” და “სატანას”** უწოდებენ სამშობლოს შეწირულ დიდ ადამიანებს. მადლობა იმ რუს კაცს რომელმაც გაბედა და მართალი სიტყვა თქვა და ჩაუყარა საფუძველი სამართლიანობის სიცოცხლეს. ბერია ცოცხალია, ისტორია გაასუფთავებს მის უსახელო საფლავს და სამზეოზე გამოიტანს ტიტანური ბრძოლის ამსახველ მასალებს, რომელიც დასტური იქნება იმ დიდი გამარჯვებისა, რომლის სათავეშიც იდგნენ ქართველი ერის საამაყო შვილები იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია, რომლებმაც, როგორც ჩერჩილი ამბობდა: **“ჩაიბარეს კავის რუსეთი და დატოვეს ატომით შეიარაღებული რუსეთი”.**

იწყება ლავრენტი ბერიას მეორე სიცოცხლე, რომელის დასტურია სერგეი კრემლიოვის წიგნი **“ბერია მე-20 საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”**, რომელიც რუსულიდან თარგმნა გაზეთ **“ილორის”** მთავარმა რედაქტორმა ბატ. როლანდ ჯალადანიამ. დღეს წიგნის ბაზარზე იყიდება ოთხტომეულის პირველი ტომი (დანარჩენიც მალე იქნება).

მკითხველო!

ს. კრემლიოვის წიგნი **“ბერია მე-20 საუკუნის მენეჯერი”** მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასია მაგრამ **“სიმართლე ის მახვილია, რომლითაც კეთილი იმარჯვებს ბოროტზე”** /აკად. ა. ბიწაძე/.

ლეონტი ბიწაძე,
ინჟინერ ეკონომისტი

„საკაშვილის აჩრდილი“ ანაკლიას არ ტოვებს!

(რატომ გააქტიურდა „ნაცმოელების“ მიერ დაფუძნებული „ლაზიკა-პორტი“?)

ადრე რომ გვეგონა ქალაქ **„ლაზიკა“-ს და „ლაზიკა-პორტის“** მშენებლობა საკაშვილისეული მორიგი ბლეფიაო, სულაც არ ყოფილა ასე, – იგი გაცილებით მსხვილი მასშტაბის (როგორც ამბობენ, ამერიკელების) შეკვეთა ყოფილა, რომელსაც, ვერც ბატონი ბიძინა ივანიშვილის მთავრობა აუვლის გვერდს, რაც გინდა ხალხის არჩეული იყოს იგი.

გასული წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების ჩავლისთანავე განახლდა ხმები **„ლაზიკა-პორტის“** მშენებლობის შესახებ, რომლისთვისაც არჩევნებში გამარჯვების ეიფორიაში მყოფ მოსახლეობას ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. გამოხდა მცირე ხანი და ამერიკული პროექტის ექომ ხმამაღლა მიუკაკუნა აბორიგენ ანაკლიელთა იმ ოჯახებს, რომელთა კარ-მიდამოები მშენებარე ქალაქ-კურორტის საუკეთესო ნაწილში მდებარეობს. თუ რატომ დავიწყე ასე პირდაპირ, მთავარი პრობლემის თავიდან გაცხადებით, ჩემი დღევანდელი წერილი, მოგვიანებით მოგახსენებთ.

მე, ჯერ კიდევ შარშან, ადრე გაზაფხულზე ვწერდი **„ᲘᲚᲝᲠᲨᲘ“**: ***ვინც არ უნდა მოვიდეს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში, იგი აუცილებლად უცხო ქვეყნის დიქტატის ყურმოჭრილი მონა თუ არა, მორჩილი ქვეშემრდომი მაინც უნდა იყოს!***

ჩვენთვის ბედნიერება იქნება, ერთი ქვეყნის დიქტატის ქვეშ თუ ვიქნებით, თუ არადა, იმ ორ ქვეყანასთან უნდა მოვაგვაროთ ურთიერთობა, რომლებსაც – ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი ჰქვია. სხვა დანარჩენებს ზემოთხსენებულთა მეშვეობით მოევლება.

გამგებმა უნდა გაიგოს. მე დასახელებულ წერილში ისიც ვთქვი, ***თუ ზემოთ თქმული პირობა არ შესრულდება, საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრიც კი მკრეხელობაა და იგი მხოლოდ საოცნებო-პატრიოტულ ლიტერატურას შერჩება***-*მეთქი.*

ჩემთვის ამისი პირდაპირი დადასტურება იყო გასულ კვირას შემოსული სატელეფონო ზარი, როცა მთხოვეს, ანაკლიაში მდებარე ჩემი კარ-მიდამოს აღწერასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, თბილისში, პეკინის 27 ნომერში მისვლა.

ნუ იკითხავთ და მარტო **„ბარონ მიუნჰაუზენ-მიშა საკაშვილს“** კი არა, ბ-ნ ივანიშვილსაც განუზრახავს თურმე პორტის მშენებლობა კურორტ ანაკლიის აკვატორიუმში და ამის გამო ჩვენ (ერთხელ უკვე ანაკლია-განმუხურის **„ხიდისთავიდან“** გადასახლებულები) კიდევ ერთხელ უნდა გადაგვასახლონ (უფალმა უწყის სად!) და ჩვენთან ერთად, რამდენიმე ათეულ აბორიგენ ანაკლიელსაც დაატოვებინონ მამა-პაპათა ფუძე-კარი!

პეკინის 27-ში მისულს, **შ.პ.ს. „გეოგრაფიკის“** ოფისში, ერთ დიდ მაგიდაზე, უწესრიგოდ დაყრილი პროექტების, პლანშეტების და უბრალოდ საწერი ქაღალდების გროვაში ჩაფლული სამი ახალგაზრდა დამხვდა. მისალმებისა და გაცნობისთანავე ერთ-ერთმა მათგანმა, თავისი აზრით, მეგრულ კილოზე მოქცევით **„მოოხუნჯემ“** მარიფათიანად განმიცხადა:

ანაკლიელთა 80%-ი მზადაა გაყიდოს თავისი ადგილ-მამული და სხვაგან გადაბარგდეს!.. *და იქვე დასძინა* ***– თქვენ გეცოდინებათ ანაკლიელთა 90%-ზე მეტი საკაშვილის თავგადაკლული მომხრეები იყვნენო!***

შევხედე და პასუხის გაცემის სურვილი დამეკარგა – ჩემს წინ იჯდა, ტიპიური, შევარდნაძე-საკაშვილის პოლიტიკური **„ტანდემის“** მიერ საქართველოში შემოთესლილი, ამერიკული სკოლის ადგილობრივი პროდუქტი, რომლისთვისაც სტატისტიკაა მხოლოდ მთავარი და არა ის, თუ რატომ თანხმდება ანაკლიელთა ოთხმოცი პროცენტი მამა-პაპათა ფუძე-კარის!

ასეთი დამოკიდებულების შედეგია, ის, რომ უჭირისუფლოდ რჩება, ცარიელდება აბორიგენი მოსახლეობისაგან იმიერ-ამიერ საქართველო, განსაკუთრებით კი მისი ისტორიული თუ ხელოვნურად ახალდადგენილი სახელმწიფო სასაზღვრო ტერიტორიები!

წყალგაუვალია, ახალ ხელისუფლებაშიც ბლომად არიან არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომელთაც, ჯერ კიდევ საქმეში გაურკვეველი ახალი მთავრობის **„აზრზე მოსვლამდე“**, ხელის მოთბობის დაუოკებელი ჟინი რომ ამოძრავებთ. ამიტომაც, ისინი მუდამ მზად იქნებიან, ანაკლიის მსგავსი სხვა პროექტებიც მრავლად წარუდგინონ ახალ ხელისუფლებას და ზედ დაურთონ მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტის თანხმობა, რომ მზად არიან გაასხვისონ, ან გადაინაცვლონ სხვა უფრო მდარე ადგილებზე, რა თქმა უნდა, მცირეოდენი ფულადი ანაზღაურების ფასად, რაც მაცდუნებელია შიმშილის პირას მისული მოსახლეობისთვის, უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების ჟამს!..

ანაკლიის ზღვისპირა მოსახლეობის მამაპაპისეული ფუძიდან მოსალოდნელმა აყრამ, ამ რამდენიმე წლის წინ, კახეთში **„ვაზის გადაშენების საკაშვილისეული პროექტი“** გამახსენა, როცა ფეხშიშველ და კუჭდამშეულ სოფლის მოსახლეობას **ერთი ჰექტარი ვაზის აჩეხვისათვის 6.000 ლარს** სთავაზობდნენ, **“ვითომ, ახალი, ვაზის უფრო ხარისხიანი და მოსავლიანი ჯიშის გასაშენებლად”!..** ახალი ვენახის გაშენებას კი, სულ მცირე – **40.000 ლარი მაინც სჭირდებოდა!**

ის, რაც თავის დროზე **„შაჰ-აბასმა“** და (თითქმის სამი საუკუნის შემდეგ, ალბათ ბედის ირონიით) მსოფლიო ბანკის მიერ, საქართველოში გამოგზავნილმა სპარსმა, გვარად **„ვალავიმ“** ვერ შეძლო, საქართველოს ყოფილმა მთავრობამ მოახერხა და ასე გაჩნდა ქართლ-კახეთში – **მიშა საკაშვილის „ნაშაჰაბასარი“** გავერანებული **„ნავენახარი“** ველ-მინდვრები, რომლებსაც ინდუსები და თურქ-სელჯუკები შესევიან, ქართლ-კახელების ნაცვლად და ქართული ვაზის ადგილას ატამი და პომიდორი მოჰყავთ!!

ზუსტად იგივე მეორდება დღეს ანაკლიაში,– ვითომ **„სახელმწიფო პროექტად“** წოდებული – **„ლაზიკა-პორტის“** ასაშენებლად, მისი მკვიდრი მოსახლეობის ასაყრელად!

მოსალოდნელი ბოროტების თავიდან ასაცილებლად ერთად უნდა დავარისხოთ განგაშის ზარი – **ნუ წამოვეგებით იმ ანკესს, რომელსაც არა ასაშენებლად, არამედ ქვეყნის და მისი აბორიგენი მოსახლეობის გადასაშენებლად გვიგდებენ!**

ჩემო ძვირფასო ანაკლიელებო, **დღევანდელ კვერცხს, ხვალინდელი ქათამი ვამჯობინოთ, რადგან ხვალინდელი დღე, არც ისე შორია და იგი რეალური ჩანს!**

თან, ისიც გვახსოვდეს – **ეს იდეა, დანამდვილებით ვიცი, ბატონი ივანიშვილისგან არ მოდის და „მიშა-შეურაცხადის“ ინტრიგების ნარჩენებს ნუ წამოეგებით!**

რომ არ გავართულოთ, თუ რასთან გვაქვს საქმე, უბრალოდ წარმოიდგინეთ – იმისათვის, რისთვისაც დაიწყო და აშენდა **„ანაკლია-განმუხურის“** ძვირადღირებული საკურორტო-ტურისტული კომპლექსის დიდი ნაწილი, მის გვერდით პორტის მშენებლობა, სადაც რამდენიმე ათასტონიანი გემები უნდა შემოვიდნენ, არალოგიკურია და დავფიქრდეთ – რა პერსპექტივას უქმნის იგი **„საერთაშორისო ტურისტულ პროექტს?“**

ან რა პერსპექტივა აქვს თვითონ **„ლაზიკა-პორტის“** მშენებლობას ანაკლიაში, რომელსაც სულ რაღაც 30 კილომეტრში **„უსვენია“** 150 წლის ასაკის, მსოფლიოში ცნობილი **„ფოთის პორტი“**, რომელიც 25 პროცენტითაც კი არ არის დატვირთული!

მით უმეტეს, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ამუშავების შემდეგ, ისედაც საგანგაშო მდგომარეობა ექმნება არა მხოლოდ ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტებს, არამედ, ასევე, ფოთის პორტის ასაკის საქართველოს რკინიგზასაც, რადგან, შესაძლოა, უახლოეს მომავალში ისინი მხოლოდ საქართველოს შიდა ბაზრის მოთხოვნილების იმედად დარჩნენ!!!

მე კარგად მესმის პეკინის 27-ში მდებარე **შ.პ.ს. „გეოგრაფიკი“**-ს ბიჭების – **„ოღონდ ფული მოიტა და რასაც გინდა იმას მოგცემ!“–** ჩაესმით ყურში, მაგრამ მათ შევბედავ და ვეტყვი: **ყური გამოიფხიკეთ, შვილებო, და კარგად მოუსმინეთ თქვენს დამკვეთებს, ისეთი რამ არ გაგაკეთებინონ, რომ მოგებული ომის გმირების ნაცვლად, ახალი დროის „აღა-მაჰმად-ხანის“ მეგზურებად არ გაქციონ!**

მესამე თვეა, რაც საქართველოში ვიმყოფები და **„ანაკლია-განმუხურის“** პროექტზე ქილიკის მეტი არაფერი მსმენია, რაც სამწუხაროა, რადგან იმაზე კი არ უნდა ქილიკობდეს მთავრობა (არა აქვს მნიშვნელობა ახალი თუ ძველი!) და მისი მხარდამჭერები, თუ **„რატომ აშენდა“**, არამედ ის უნდა მოვიკითხოთ, რაც უნდა აშენებულიყო და – **რატომ არ აშენდა?!.**

„პორტის“ პერსპექტივისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საკაშვილის **„ურაპატრიოტულ ტურისტულ პროექტს“** გაცილებით უკეთესი მომავალი უჩანს, თუკი საქართველო ოდესმე ნორმალური ქვეყანა გახდა, სადაც მთავრობაში მოსვლა მავანთათვის გამდიდრების წინაპირობა კი არ იქნება, არამედ პირიქით – ახალი მთავრობა იქნება ქვეყნის მოსახლეობის გამდიდრების გარანტი!

მხოლოდ მდიდარი, აშენებული და დამშვენებული ქვეყნის საქმე და სამშვენისია ტურიზმი და მაღალი დონის ტურისტული პროექტები!

–სწორედ ამ იმედით მივიდა, გასული წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებზე საქართველოს მოსახლეობა და ქვეყნის გადარჩენას მისცა ხმა!

...ფოთის პორტის გვერდით – **„ლაზიკა პორტის“** მშენებლობა!

თითქმის დაუჯერებლად ჟღერს და, ცხადია, ოდნავ საქმეში ჩახედულ ადამიანს ათასი ფიქრი აგეშლება!

...ამ ორი წლის წინ ყაზახეთში ერთ-ერთ პროექტზე მუშაობისას, ცნობილი გერმანული ფირმა **„VIESSMANN“**-ის წარმომადგენელმა რომ გაიგო ქართველი ვიყავი, მომიყვა, თუ როგორ გააფორმა ექვსი ქართული ოჯახური კლანის წარმომადგენელმა ფირმა **„VIESSMANN“**-თან ორასი მილიონი ევროს ღირებულების ხელშეკრულება, ორმოცდაათი, ასორმოცდაათსაწოლიანი სწრაფად ასაწყობი და გადაადგილებადი საავადმყოფოს დამზადების თაობაზე.

ჩემს კითხვაზე, ***საიდან იცის, რომ ექვსი გვარის ოჯახური კლანის წარმომადგენლები იყვნენ,*** მიპასუხა – ***ეს მხოლოდ შიდა სამზარეულოს ინფორმაციაა. ექვსი ოჯახური კლანის წარმომადგენელი საქართველოს მთავრობის ექვს საფეხურზე გაუწევს ლობირებას სწრაფადასაწყობი საავადმყოფოების მშენებლობას საქართველოში! ცხადია, ყველა თავის წილს მიიღებს ამ პროექტიდან!***

არა და, ეს ის პერიოდია, როცა მიშა საკაშვილი ერთმანეთზე მიყოლებით რომ ხსნის საავადმყოფოებს საქართველოს ყველა რეგიონსა და რაიონში!

ვერაფრით ვერ ამოვხსენი **„სწრაფად ასაწყობი და გადაადგილებადი საავადმყოფოები“**-ს საჭიროება საქართველოში.

„ფესტოსის დისკოსი“ და მისი წამკითხველების წარუმატებელი ცდის გამო წარმოქმნილი სასოწარკვეთილებისა არ იყოს (ვიდრე ბ-ნი გია კვაშილავა გამოჩნდებოდა!), მეც ხელი მქონდა ჩაქნეული, ამომეხსნა **„სწრაფად ასაწყობი ლაზარეთების“** საჭიროება ჩემს სამშობლოში, მაგრამ რომ იტყვიან **„არა არს დაფარული!..“** შარშან არჩევნების წინა პერიოდში გაპიარებულმა ჯერ ქალაქ **„ლაზიკა“**-ს მშენებლობამ, არჩევნების შემდეგ კი შედარებით მოკრძალებულმა **„ლაზიკა-პორტი“**-ს მშენებლობის გააქტიურებამ, მეჩვენება, რომ ჩემთვის ზოგიერთ ბუნდოვან საკითხს, სინათლე თუ არა **„რიბირაბო“** მაინც მოსდო!

მე არ ვაპირებ რაიმეში სხვათა დარწმუნებას, მაგრამ იქნებ თქვენც იფიქროთ, ჩემო ძვირფასებო – **ვის და რაში სჭირდება ფოთის, თითქმის უსაქმოდ დარჩენილი პორტის გვერდით, ახალი (როგორც ამბობენ შავი ზღვის აუზში ერთ-ერთი უდიდესი!) „ლაზიკა-პორტი“-ს მშენებლობა? ასევე დაფიქრდით, ვის და რაში სჭირდება ორმოცდაათი სწრაფადასაწყობი ასორმოცდაათადგილიანი, გადაადგილებადი საავადმყოფო“ საქართველოში?!.**

იქნება, ჩემთან ერთად თქვენც იფიქროთ?!

მავანი ალბათ შემეკამათება – ***რა გიკვირს, შე კაი კაცო, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ვანდალურად, ელვისებურად გამოშიგნეს, მრავალ გარემოებათა გამო უკვე ისტორიულ ძეგლადქცეული „მთავრობის სასახლე“, იგივე „პარლამენტის შენობა“ და ქუთაისში უსახური, 400 მილიონ ლარად ღირებული „შუშის მედუზა“ წამოაწვინესო!***

მართალიც იქნება, მაგრამ უბედურება აქ არ მთავრდება, რადგან თბილისში **„მთავრობის სახლი“** აღდგება, ქუთაისში **„წამოწვენილი“** 400 მილიონად ღირებული **„მედუზაც“**, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ **„საკოლმეურნეო ბაზრად“** გადაკეთდება, მაგრამ რა დანიშნულებისთვის შენდება **„ლაზიკა-პორტი“**, რომელიც რამდენიმე მილიარდი უნდა დაჯდეს და ასევე, შედარებით მოკრძალებული – 200 მილიონ ევროდ ღირებული **„ორმოცდაათი ასორმოცდაათსაწოლიანი, გადაადგილებადი ლაზარეთი?“**

ავი ხმები მოდის – **ისინი ადამის ძეთა და, მით უმეტეს, ქართული გენის გასამრავლებლად და სასიკეთოდ არ შენდებაო!..**

არაერთგზის გამოთქმულა ეჭვი, ქალაქ **„ლაზიკა“**-ს მშენებლობის იდეის ამერიკულ წარმოშობაზე. ამჯერად კი **„ლაზიკა-პორტი“**-ს პროექტი ანაკლიის მოსახლეობის გარეშე რომ უნდა განხორციელდეს, იმისი დასტურია, რომ ამ პროექტს არაფერი აქვს საერთო სამოქალაქო მშენებლობასთან, როგორადაც მას ადრე წარმოგვიდგენდნენ. ამიტომაც იწყება იგი ანაკლიის მოსახლეობის გადასახლებით.

ამბობენ, **„ლაზიკა“** შავი ზღვის აუზის მხოლოდ უდიდესი პორტი კი არა, უდიდესი სამხედრო ბაზაც უნდა იყოს კავკასიის რეგიონში. ანაკლიის ე.წ. **„ტურისტული კომპლექსი“** მხოლოდ პიარი იყო გასულ ოქტომბერს ჩავლილი არჩევნების მოსაგებად. სინამდვილეში კი, იგი სამხედრო პროექტის ნაწილს წარმოადგენს და სამხედრო ბაზის მოსამსახურეთა დასაბინავებლად იქნება გამოყენებული!

ამ მოსაზრებას პირდაპირ ადასტურებს გაცილებით ადრე დაწყებული, ბატონი თემურ ქარჩავასეული **„სამოქალაქო პორტის პროექტი“**-ს იგნორირება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კარ-მიდამოებს საერთოდ არ ეხება – იგი ანაკლიის დასახლებიდან რამდენიმე კილომეტრში შენდება და ძირითადად დაჭაობებულ, დღემდე გამოუყენებად ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ზუგდიდისა და ხობის რაიონების კუთვნილ 2.000 ჰექტარზე!

თუ მაინცა და მაინც აუცილებელია ანაკლიის აკვატორიაში მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პორტის მშენებლობა, მაშინ გაუგებარია ბატონ ქარჩავასეული პროექტის ბლოკირება, რომელიც ანაკლიის დასახლებული ტერიტორიის თანამედროვე დონეზე კეთილმოწყობას და ინფრასტრუქტურის განვითარებასაც მოიცავს. ამ თემაზე ვრცელ წერილს **„ᲘᲚᲝᲠᲘ“**-ს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ. ამჯერად კი ყველა დაინტერესებულ უწყებას და პიროვნებას ვეკითხებით:

–რატომ არ განიხილება ბატონი თემურ ქარჩავასეული პროექტი და რატომ გააქტიურდა გასულ ზაფხულს, საკაშვილის მთავრობის მიერ დაფუძნებული „ლაზიკა-პორტი“?!.

–რატომ ჩქარობენ ანაკლიიდან ადგილობრივი ოთხმოცი ოჯახის გასახლებას?

–რატომ მოქმედებენ „ლაზიკა-პორტი“-ს მოგზავნილი მიწის მზომელები ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახელით?!.

ქვეყნის უგუნურ და გამყიდველ მმართველთა მიერ, გასული 22 წლის მანძილზე, უამრავ სიბინძურეში გაერია ჩვენი სამშობლო. იმედი გვაქვს ბატონი ბიძინა ივანიშვილი და მისი ახალი მთავრობა არ დაუშვებს, საკაშვილის მიერ დაგებულ მახეში გაებას საქართველო!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲝᲑᲐᲚᲘᲐ

ვნებათაღელვა ზუგდიდში პრეზიდენტის (ყოფილი) რეზიდენციის წინ გაშლილი კარვის გამო

საპროტესტო აქციების ეპიცენტრმა ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან პრეზიდენტის რეზიდენციის – **„მეგრული ოდის“** წინ გადაინაცვლა, სადაც ახლა კარავია გაშლილი. იქ, ძირითადად, დევნილები იმყოფებიან. ისინი პრეზიდენტის გადადგომასთან ერთად საცხოვრებელი ფართის გამოყოფას მოითხოვენ, პრეზიდენტის რეზიდენციაშიც კი.

აქციის მონაწილეთა მიზანია, გააკონტროლონ და არ შეუშვან ვადაგასული მიხეილ სააკაშვილი შენობაში, სადაც ის გადაბარგებას, გავრცელებული ვერსიით, აპირებს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს დევნილები ამ რეზიდენციაში შეჭრას და იქ დამკვიდრებას ცდილობენ. თუმცა არც ამაშია რაიმე სახიფათო და დაუშვებელი, რადგან მიხეილ სააკაშვილმა იქ რუსი გენერლის, ჩაბანის ბინადრობის შემდეგ რეზიდენციის გაყიდვის თუ გასაჩუქრების ბრძანება გასცა, თუმცა ისეთი ფასი დაადო, ეს რეზიდენცია ისევ მის განკარგულებაში დარჩა, სადაც ორჯერ თუ იქნება ნამყოფი.

არასამთავრობო ორგანიზაციის **„დევნილი ქალები საკუთარი უფლებებისთვის“** ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნონა უბილავამ კარავში მყოფი დევნილების დაცვა სცადა, რადგან მას მიაჩნია, რომ დევნილებს პროვოკაციისთვის იყენებენ აქციის ორგანიზატორები. მან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მიმართა. მიმართვაში ნათქვამია, რომ დევნილები აქციის მონაწილეებმა შეცდომაში შეიყვანეს და ხდება მათი რეზიდენციაში შეჭრისკენ წაქეზება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს კონფლიქტის ესკალაცია. ნონა უბილავამ ზუგდიდში მყოფ სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილსაც მიმართა თხოვნით, რომ ხელი შეუშალოს დევნილების შეჭრას პრეზიდენტის რეზიდენციაში. დევნილთა უფლებებისა და მათი შესაძლო პროვოკაციისგან დაცვის მიზნით, ნონა უბილავამ ე. წ. საინიციატივო ჯგუფი შექმნა, რაც კარვის აქციის მონაწილეებმა გააპროტესტეს და ნონა უბილავას პროვოკატორი უწოდეს.

კარვის აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ორგანიზაცია **„დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების“** წარმომადგენელმა მანანა გაბელიამ განაცხადა, რომ ნონა უბილავა არის **„ნაციონალური მოძრაობის“** მიერ მართული და მათ დავალებებს ასრულებს. **„ყველაზე მეტად გაჭირვებული ადამიანები არიან დღეს კარავში, მადლობა ზუგდიდის საზოგადოებას კახა მიქაიას ხელმძღვანელობით, რომ დევნილებს შეუქმნეს პირობები, შუქი და სითბო. ეს ქალბატონი კი ცდილობს პროვოკაციის მოწყობას. ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციები პირადი კეთილდღეობის მოწყობას ცდილობენ. ჩვენ არ გვიყენებს ვინმე, სწორედ ის არის გამოყენებული მიშას მიერ და მოვითხოვთ, რომ დაიშალოს ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ან ტაიმაუტი აიღოს“,** – განაცხადა მანანა გაბელიამ.

ნონა უბილავას განცხადებას, რომ დევნილები შეცდომაში შეიყვანეს და მათ აქციის ორგანიზატორები პრეზიდენტის რეზიდენციაში შეჭრისკენ აქეზებენ, აქციის ორგანიზატორმა კახა მიქაიამ იაფფასიანი პროვოკაცია უწოდა. **„რეზიდენციაში შეჭრისაგან თავს ვიკავებთ და ეს ნამდვილად არ მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ დევნილები მოითხოვენ, რომ ეს რეზიდენცია გადაეცეს უსახლკაროებსა და დევნილებს. ჩვენ გვინდა, ეს პროცესი მშვიდობიანად მოხდეს“,** – აცხადებს კახა მიქაია.

ნონა უბილავას თქმით, ის მხოლოდ დევნილთა ინტერესებიდან გამომდინარე და მათი უფლებების დაცვის მიზნით მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ ნონა უბილავამ მის მიერ ახლადშექმნილი ე. წ. საინიციატივო ჯგუფი დატოვა. **„აღმოჩნდა, რომ არც ჩვენ და არც საზოგადოება არ ვართ მზად ამ თანამშრომლობისთვის, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება ჯგუფის დატოვების შესახებ. ვფიქრობ, მათი საქმიანობა ვერ იქნება პროდუქტიული“,** – აღნიშნა ნონა უბილავამ.

აფხაზეთიდან დევნილთა ე. წ. საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა დევნილთა ინტერესების დასაცავად. მათი მთავარი მოთხოვნაა ცვლილებების განხორციელება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებში და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონულ სამმართველოში და კადრების დაკომპლექტება კონკურსის საფუძველზე.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

„ეს არის პერფომანსი – ცოცხლად ვტირივართ მიშას“

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულ თენგიზ გუნავას წინასასამართლო სხდომა მიმდინარეობს. საქმე საწვავის ტალონებისა და თანხების მითვისების ბრალდებითაა აღძრული. ადვოკატმა ორი შუამდგომლობა დააყენა, რომელთაგან ერთ-ერთი სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ითვალისწინებს. თავად გუნავა თავს უდანაშაულოდ თვლის და გამომდინარე იქიდან, რომ თანხებთან დაკავშირებული საქმე სახელმწიფო საიდუმლოა, აშკარად ამ თემაზე საუბარს არ აპირებს.

ამავე დროს, ზუგდიდში სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ ათასამდე ადამიანია შეკრებილი. ისინი თენგიზ გუნავას გუბერნატორად დანიშვნას აპროტესტებენ და წინა ხელისუფლების მიერ საპარლამენტო არჩევნებზე წარდგენილ კანდიდატებსა და ყოფილ გუბერნატორებს აკრიტიკებენ.

აქციაზე პრეზიდენტის გადადგომასაც მოითხოვენ. **„ეს არის პერფომანსი – ცოცხლად ვტირივართ მიშას“,** – აცხადებს კახა მიქაია, **„დაიცავი საქართველოს“** სამეგრელოს წარმომადგენელი.

შეკრებილთა განცხადებით, სააკაშვილმა ისე შეურაცხყო სამეგრელო, რომ ცოცხლად დამარხეს. **„მიზეზი არის სააკაშვილის უგუნურება. ის ვერ მიხვდა, რომ ის დასრულდა, მისი ისტორია საქართველოში დასრულდა, ის არის გარდაცვლილი ადამიანი, რომელიც საქართველოს არ სჭირდება. დროა, მიხვდეს, რომ უნდა წავიდეს და შეეგუოს რეალობას“.**

არავის ეპარება ეჭვი, რომ სააკაშვილისა და **“ნაციონალებისადმი”** საქართველოს მოსახლეობის დაუოკებელი ზიზღი და სიძულვილი თავად ნაცებისა და მათი ბელადის **“დამსახურება”** გახლავთ.

მათ მიერვე მიღებული კანონების თავხედური უგულვებელყოფა, ძალადობა მოსახლეობასა და ბიზნესმენებზე, უპატივცემულობა მეცნიერებისა და სხვა დარგების ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი, მეძავებისა და სხვა საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანების აღზევება, სახელმწიფო სახსრების ფლანგვა, უაზრო მშენებლობებში მილიონების გადაყრა, სიცრუე, ფარისევლობა, უტიფრობა, საკუთარი დანაშაულებების სხვებზე გადაბრალება, ციხეების უდანაშაულო ხალხით ამოვსება, პატიმრების გაუგონარი, არაადამიანური წამება...

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ მძიმე დანაშაულობებისა, რითაც სამუდამოდ დაახსომეს თავი ნაციონალმა სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა. ახლა კი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში სასტიკად დამარცხების შემდეგ ბედს ვერ ეგუებიან და კვლავ სიცრუისა და მზაკვრული მეთოდების გამოყენებით მიისწრაფიან რევანშისაკენ!

ვერ ეღირსებიან, რადგან ქართველმა ხალხმა კისრიდან გადააგდო მათი მძიმე უღელი, თავიდან მოიშორეს სააკაშვილების, მერაბიშვილების, ბოკერიების, გუნავების და სხვა სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიერ დამკვიდრებული სამარცხვინო დიქტატურა და იმედით შესცქერიან იმ მომავალს, რომელიც მათ აღარასოდეს დააკავშირებს ნაცების ცხრაწლიანი ბატონობის სამარცხვინო პერიოდთან.

მართალია, ამ სატანასთან წილნაყარ არაკაცებს კიდევ აქვთ ისტორიის ჩარხის უკუღმა შემოტრიალების იმედი, მაგრამ რაც უფრო მეტი მათი დანაშაული გამოდის სააშკარაოზე, მით უფრო ილუზორული და აუხდენელი გახლავთ მათი ოცნება, დამსახურებულ სასჯელს კი ვერც გუნავა გაექცევა, ვერც ახალაიები და ვერც მთავარი ბოროტშემოქმედი მიხეილ სააკაშვილი, რომლის პოლიტიკურმა უნიათობამ და ბინძურმა პროვოკაციებმა რამდენიმე წლით შეაჩერა საქართველოს წინსვლა ჭეშმარიტი დემოკრატიული დირებულებებისაკენ!

ამიტომაც – ციხეშია მათი ადგილი, მხოლოდ ციხეში!

საკ. ინფ.



ავღანეთში კვლავაც იღვრება ქართველ ვაჭაცთა სისხლი

ქალაქ რუსთავში ახლახან დავკრძალეთ ავღანეთში დაღუპული ქართველი კაპრალი კიკაძე და სამიოდ კვირაც არ იყო გასული, რომ კვლავ სამწუხარო ამბავი მივიღეთ ავღანეთიდან: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით აქ სამი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. კაპრალ ერეკლე ხარშილაძეს და უმცროს სერჟანტ იაგო კაკულიას პატრულირებისას თალიბანთა სამხედრო ქვედანაყოფის მებრძოლებმა ცეცხლი გაუხსნეს და ორმხრივი სროლის შედეგად ორივე ჯარისკაცი, საბედნიეროდ, მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მათი მდგომარეობა სტაბილურია და ჯარისკაცები მკურნალობას გადიან გერმანიაში, ლანდშტულის ამერიკულ სამხედრო ჰოსპიტალში.

ასევე **“გაუმართლა”** რიგით ქართველს გურამ ჩიმახიძეს, რომელიც პატრულირების დროს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა და მძიმე ჭრილობა მიიღო, მაგრამ ცოცხალი გადარჩა, რაც იშვიათად ხდება ხოლმე ამგვარი ექსცედენტის დროს. სამხედრო მოსამსახურე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად ბასტიონის ჰოსპიტალში გადაიყვანეს და, როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, მისი მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია. ცნობილია ისიც, რომ გურამ ჩიმახიძეს მკურნალობის გასაგრძელებლად გერმანიაში, ლანდშტულის კლინიკაში უახლოეს მომავალში გადაიყვანენ.

მოკლედ, საქართველოსთვის ისტორიულად მუდამ საბედისწერო, მტრულად შემართული ავღანეთის ავბედითი აჩრდილი XXI საუკუნეშიც კი ვერ მოიცილა საქართველომ. უხვადაა გაჯერებული ავღანეთის გამოფიტული მიწა ქართველ ვაჟკაცთა სისხლით. ასევე გამორჩეული გახლდათ მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლები, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ, **“ინტერნაციონალური მოვალეობის მოხდის”** მიზნით ავღანეთის სასაკლაოზე მსხვერპლად მიიტანა 5.000-ზე მეტი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე.

გვეგონა, ამით დამთავრდებოდა ქართული კოშმარი, მაგრამ საქართველოში შევარდნაძის ბოროტი ნებით აღმოცენებულმა ახალმა მირ-ვეისმა – სააკაშვილმა კვლავაც **“აღადგინა”** ავღანური სასაკლაო და სიამოვნებით აგზავნის ამ სასაკლაოზე ქართველ ვაჟკაცებს. ან კი, რაში ენაღვლება სომეხ ყარჩიხა-ხანად ქცეულ დაშნაკ სააკაშვილს ქართველი ახალგაზრდების სიცოცხლე – მისი მოდგმის მიზანი ხომ ქართველი ერის დასუსტება-განადგურებაა და რაც უფრო მეტი ჯიშიანი ვაჟკაცი დააკლდება საქართველოს, მით უფრო შესუსტდება მისი გენოფონდი.

იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება გაითვალისწინებს აღნიშნულ გარემოებას და გამოიყვანს ქართულ სამხედრო კონტიგენტს ავადსახსენებელი ავღანეთიდან. მით უმეტეს, როცა თავიანთი ჯარისკაცების სიცოცხლეს უფრთხილდებიან ისეთი **“მოსახლეობამრავალი”** სახელმწიფოები, როგორიცაა ინგლისი და საფრანგეთი.

მაშ, ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება?

საკ. ინფ.

ონიშჩენკო რუსეთის ფედერაციაში ღვინის მიწოდების თაობაზე საქართველოსთან მოსალაპარაკებლად მზადაა

მოსკოვში ქართული ბიზნესის წარმომადგენლებთან რფ-ში ღვინისა და მინერალური წყლების მიწოდების აღდგენის საკითხის გადასაჭრელად „როსპოტრებნადზორი“ მზადაა.

უწყების ხელმძღვანელ გენადი ონიშჩენკოს თქმით, აღნიშნული მოლაპარაკებების გამართვის შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება საქართველოს ქარხნებში ინსპექციისათვის რუსი სპეციალისტების ვიზიტის ვადების თაობაზე.

ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ 2012 წლის 9 დეკემბერს რფ-ის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა განაცხადა რუსეთის მზაობის შესახებ საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების აღდგენის საკითხის განსახილველად.

ცნობისათვის: „როსპოტრებნადზორმა“ რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინისა და მინერალური წყალი „ბორჯომის“ შეტანა 2006 წლის გაზაფხულზე აკრძალა. აკრძალვის ოფიციალურ მიზეზად ქართული პროდუქციის დაბალი ხარისხი დასახელდა.

საქინფორმი

ᲙᲣᲠᲓᲦᲚᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲥᲜᲐᲪᲐ (ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ-ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ)

ნაციონალურმა ჭირმა ძლიერი დარტყმა მიიღო და ნაკერში გაირღვა. მისი აღდგენა ძველებური ურჩხულის დონეზე შეუძლებელია. უფრო საშიშია შხამიანი ნარჩენების გაფანტვა და ქვეყნის მაცოცხლებელ ორგანოებში უცოდველის ნიღბით შეღწევა, რასაც აქტიურად უწყობენ ხელს მისი ამერიკელი და ევროპელი მწვრთნელები.

განუმეორებელი ღალატით და ძარცვარბევით შეწუხებულ ქართველ ხალხს ხსნის იმედად გამოუჩნდა ბიძინა ივანიშვილი და კიდეც მოსტეხა გრძელი კიდურები საძულველ ნაციონალურ უბედურებას. მაგრამ ურჩხული არ ისვენებს და კვლავაც წამლავს სასიკეთოდ ამოძრავებულ მომავალს. ახლა აყაყანდნენ მათი საზღვარგარეთელი ძიძები და გაშმაგებით იცავენ მათ მიერვე ანგელოზად მოპირკეთებულ სატანას, თან ქართულ ოცნებასთან შერიგებას თუ შერწყმას გეგმავენ. ქართული ოცნების ძლიერება კი ხალხის მიერ გამოცხადებულ ნდობაშია და თუ ამ საერთო-სახალხო ბრძოლას ბოლომდე არ მიიყვანს, რასაც ქვეყნის დამაქცევარი ნაციონალური მოძრაობის განადგურება და ნარჩენების ქარს გატანება არ მოჰყვა, ხალხის იმედის გაცრუება და ოცნების გახუნება ნაციონალების მსგავს სატანისტების აღორძინებას მოემსახურება მხოლოდ.

მტერმაც და მოყვარემაც ძალიან კარგად იცის, რომ ხალხი ენდობა ბიძინა ივანიშვილს და ამ ბრძოლის ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიყვანაში, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეჭვი შეეპაროს.

ამერიკელების ხუშტურებზე როკვას მხოლოდ ხალხის გაწბილება ახლავს. ვინც ამ ჯოჯოხეთის მოციქულების დაცვას ეცდება, მხოლოდ საკუთარ სატანის რქებს და ჩლიქებს გამოაჩენს. ქართველი ხალხის დაშინებას და დაბეჩავებას ვეღარავითარი ძალა ვერ შესძლებს, რადგან იგი ისეთი შიმშილის და უმუშევრობის გაუსაძლის ყოფაშია, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლას არაფრისათვის არ დათმობს.

ბიძინა ივანიშვილი კი ამ საშინელი ჭირის განადგურებით, ყველა უცხოელ სტრატეგიული დამრიგებლის მითითების გაუთვალისწინებლად, საქართველოს გამთლიანებით და ქართველი ხალხისათვის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მოპოვებით, ეროვნული გმირის კვარცხლბეკზე შედგება, რომელსაც შინაური და გარეული მყეფარების ღავღავი მხოლოდ სიყვარულს და პატივისცემას გაუმრავლებს.

დღევანდელ ყოფაში, როცა ნაციონალ უბედურებასთან ბრძოლა უფრო ღრმად დაძაბულ ფაზაში შევიდა, გასაკვირია კოალიციაში მყოფი ზოგიერთი პარტიის წევრის ამბიციების აფუება და კუნთების ათამაშება, რამეთუ ეს აფუება ძალა ჰგონიათ და დაავიწყდათ, რომ მათ ნულზე დაბალ რეიტინგს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტმა მაშველი რგოლის გადაგდებასავით უშველა. ფრთხილად იყავით, ბიძიკოებო, ეგ რგოლი ხავსად არ გექცეთ!

ჩემი სიტყვა ალალი
აწმინდავებს დღეს წყაროს;
ვისაც უნდა – ეტკბილოს,
ვისაც უნდა – ემწაროს.

ასე რომ, თუ ქართულ ოცნებაში ყოფნა გინდა, მრავალტანჯული ქართველი ერის მოწოდების სიმაღლეზე უნდა იდგე და საკუთარ თავში სნობიზმი, კარიერისტული ამბიციები და სხვა ადამიანური სისუსტეები უნდა დააცხრო და ხალხის მიერ გამოცხადებულ ნდობის დონეზე დაბლა არ უნდა დაეშვა.

მრავალი ჯურის, ფერის და შიგთავსის მქონე პოლიტიკოსებმა რამდენიც უნდა იღავღავონ, ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად გაარკვია თავისი მტერ-მოყვარეები. სწორედ ამერიკელთა ფარისევლობის ნაყოფია საქართველოს ჩამორჩენილ ქვეყნად გადაქცევა, რომელსაც მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, განათლება, მთლიანად სახალხო მეურნეობა ჩანასახის დონეზეც აღარ დაუტოვეს. გონებაშეზღუდულ პაპუასებად გვთვლიან და ნაციონალთა ინგლისური ენის შესწავლაზე გადარევა გაუნათლებელი ერის სიბნელიდან ამოთრევა ჰგონიათ.

ახლა, როცა მათ ლაქია ქვეყნის მოღალატე ნაციონალებს აღშფოთებული ხალხის რისხვა დაემუქრა, მოიგონეს რაღაც **კოჰაბიტაცია**, მშვიდობიანი თანაარსებობა გინდ გახრწნილ პედერასტებთან იყოს და გინდ ქვეყნის დამაქცევარ მოღალატეთა ხროვასთან.

რომელი კეთილმოსურნე ადამიანი ურჩევს თავის მეზობელს, დამპალი ვაშლი საღში შეურიე და ისე შეინახეო; ვინ არ იცის, რომ დამპალის ადგილი სანაგვეზეა. ჩვენ კი სტრატეგიული პარტნიორები ამას გვირჩევენ, არშესრულების შემთხვევაში კი კბილებს აღრჭენენ. ავიწყდებათ, რომ ქართველმა ხალხმა თავისი ბრწყინვალე არსებობა შეუპოვარი ბრძოლითა და შრომით, მათი ფარისევლური რჩევა-დარიგების გარეშე, დღევანდელობამდე მიიყვანა. არამკითხეთა რჩევას კი მრავალტანჯული ერის დაკნინება, დაბეჩავება და საბოლოოდ მოსპობა ახლავს.

ვითომ ფხიზლად დგანან დემოკრატიის სადარაჯოზე და ნაციონალ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად, მათთან თანაარსებობას გვთავაზობენ. სად იყო მათი დემოკრატია, ეს კრიმინალური ბანდა მთელ ქართველ ხალხს მგლების ხროვასავით რომ ჯიჯგნიდა. ამათ საპატიმროებში ჩადენილ მხეცობით ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების კაცთმოძულეობა გაახსენეს. ერთხელაც არ ამოუკნავლიათ, ამას რად შვრებითო. სამაგიეროდ თავიანთ მოქნაცა პრეზიდენტს დახმარებას არ აკლებენ.

დროულად მიაშველეს წყალი და პამპერსები. თუ ეს არა, რამდენ ხანს ირბენდა სუნადენილად ჯარების ჩასვრილი მთავარსარდალი. ახლა იმდენი პამპერსი აქვს მომარაგებული, ბარე ათ ცხინვალის მსგავსი ავანტიურისათვის ეყოფა. ოღონდ, ბევრი-ბევრი სამი ასეთი ავანტიურა და – ფაფუ საქართველო. სამაგიეროდ მოქნაცას პამპერსების ეკონომიურად ხარჯვის პრობლემა მოხსნილი აქვს; არჩევნებშიც ჩაისვარა, მაგრამ თავს მშვენივრად გრძნობს, რადგან ამერიკელმა და ევროპელმა ლობისტებმა კარგად შეითვისეს მექისის პროფესია და ენერგიულად ხეხავენ თავიანთ უღლებ ლაქიას.

მოთმინებადაკარგულმა ხალხმა კი აღარ დააცადა მისებურად გაუკუღმართებული ძეგლების მშენებლობა: ბაგრატის ტაძარი ხომ ოცდამეერთე საუკუნეში აშენებულს დაამსგავსა და იუნესკოს გაოცებისაგან თვალები დააჭყეტინა. ხომ ეკუთვნოდა მაკ-კეინის ჟანგიან პისტოლეტს ძეგლი, ვიეტნამში მკვახე საზამთროსავით მიწაზე დახეთქებულმა **“სტერვიატნიკმა”** რომ დაჰკარგა და დაუჟანგდა. გაჭყლეტილ ბოთლს, შლოპანცებს, კამოს ველოსიპედს და რეიგანს, საქართველოზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა, თუ ეკუთვნოდა ძეგლი, ამერიკულ პამპერსს ხომ უფრო დიდი დამსახურება ჰქონდა. უმადურმა ხალხმა კიდევ **მოქნაცას** ისე შეაკვეცა ამბიციები, რომ ჟანგიანი პისტოლეტის ძეგლი კი არა, პრეზიდენტის რეზიდენცია და ხალხის მიერ დაწყევლილი პარლამენტის შენობა რჩება ოხრად. რას ვიზამთ, საქართველოს საბოლოო ამოგდებაც ჰქონდა გეგმაში, მაგრამ ახლა ჯვაროსნების ხუთჯვრიანი დროშა და საკუთარი ამოგდება აქვს თავში საცემი.

აფთრად იყო და
ძალადობა სწორად ჩათვალა;
კურდღლად ქცეული
ვეღარ უგებს წყრომას სათვალავს.

ერთხანს დაიბნა, ძალადობის ყველა მეთოდი ხალხმა გაუქარბუქა და ისაც მალე გაქარბუქდებოდა, მაგრამ შეშფოთდნენ მექოთნეები, ჩვენს **მოქნაცა** ქოთანს და მასავით დამნაშავე მთავრობის ყოფილ წევრებს ხელი არ ახლოთ, თორემ დემოკრატიის მოხრჩობად ჩაგეთვლებათო. არადა, ამერიკულად დემოკრატიის დაცვისათვის ბრძოლამ დაამხობინათ ირანის მუჰამედ მოსადეყის დემოკრატიული მთავრობა და შაჰის მონარქია აღადგენინა, რის გამოც შეურაცხყოფილ ირანელ ხალხს ამერიკელთა გახსენებაზე დღესაც ალერგია ემართება.

მოქალაქეთა კავშირში სიყალბის ლაქლაქით მოზელილ საქოთნე ცომის ნაციონალური მოძრაობის თავკაცად გადაკეთებას ამერიკელებმა დიდი ენერგია მოახმარეს, მაგრამ ჭუჭყი ვერ მოაშორეს და დარჩა **მოქნაცად**. ახლა ნაციონალურ მოძრაობაში მაგრად გაისვარა და ცდილობენ კოჰაბიტაციით დამპლის საღში შერევით **ოცნაცად** (ოცნება-ნაციონალად) გადააკეთონ. თუ მოქალაქეთა კავშირიდან გამოძრომა მოახერხა, ეს არ გაუჭირდებაო. ცდილობენ დაარწმუნონ გულუბრყვილო ქართველები, რომ **მოქნაცას** ეშვები აღარა აქვს კურდღლად გადაკეთებულ **ოცნაცობის** კანდიდატსო. მაგრამ ახლა ისეა გასვრილი, რომ ოცნებასთან კოჰაბიტაცია კი არა, გლდანის მრავალწლიანი დიეტა დასჭირდება ჩადენილი ცოდვებისაგან რომ გამოძვრეს. ხალხისგან ისეთი პანღური მიიღო, რომელიმე მცირედნორმალური არსებაც კი მაშინვე გადადგებოდა და სიცხით ანთებულ სინდისის ძარღვის სამკურნალოდ სადმე კუთხეში მიჯდებოდა. ისეთი რა აჭამეს მისმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა, რომ თავში ერთი საღი უჯრედი აღარ დაუტოვა. რომელი ნორმალური ქვეყანა მოითმენდა იმას, რაც საქართველოში ხდება?! შინაგან საქმეთა მინისტრად გადაკარუსელებულმა თავდაცვის მინისტრმა სკამზე გასწორება ვერ მოასწრო, ისე დააპატიმრეს. განათლების მინისტრად ნამყოფი, ახლადდანიშნული თავდაცვის მინისტრი საზღვარგარეთ გაიქცა. მოქნაცა პრეზიდენტის სიამაყე იუსტიციის მინისტრი მოულოდნელად დაემალა თავის მრავალცოდვიან პოსტს, სოფლის მეურნეობის მინისტრმა მთელი მსოფლიოს ჰიბრიდული სიმინდით უზრუნველყოფით რომ გვაბითურებდა, ძროხის სქესი ვერ გაარკვია და ექიმით შეცვალეს, იქნებ ამან ამოხსნას ეს რებუსიო. **კუდ**-ების და **სოდ**-ების მაღალჩინოსნებიც ისე გაფრთხნენ საზღვარგარეთ, როგორც ნაგავი შებერვისას. **მოქნაცას** დანაშაულთა კასკადიდან, თუნდაც ერთი რომ ჰქონოდა ჩადენილი, ევროპელები მოითმენდნენ ამგვარ პრეზიდენტს?! ხალხის სამართალი ამ ნაგვის გლდანში შეგროვებას გეგმავს და მთავარი დამნაგვიანებელი მოქნაცა ისეთი ინტენსივობით ვეღარ, მაგრამ ჯერ კიდევ ცდილობს ნაგვის გაშლას, სანამ შებერვას ქარი არ მოჰყოლია და გლდანში არ შეუგდია მორიგი ნაგვის გაშლის თავიდან ასაცილებლად. რაც ამ არსებამ საქართველოს დამართა, ისეთი დონის მუხთლობაა, რომ მისთვის ღალატის დარქმევა ძალიან რბილად ნათქვამი იქნებოდა; ეს კიდევ ოინბაზობას არ იშლის, სიცრუის ყბედობით ღლაბუცობს და ვერ გრძნობს, რომ კონსტიტუციის ჟონგლიორობა მოთმინებადაკარგულმა ხალხმა შეიძლება თავში ქვის ხლად უქციოს.

პარლამენტის შენობის ვანდალურად დამრბევი გამოდის და თბილისში სასტუმროს მშენებლობის ზღაპრული სიცრუით მოლანდებული რაოდენობის ადამიანთა დასაქმებაზე ყვარყვარეს ბოდვებს აგრძელებს. ჩადენილი დანაშაულის შეგნებით გვერდზე მიდგომის მაგიერ, შხამის თესვას არ იშლის, დანგრეულს და მოოხრებულს დიდ წარმატებად ასაღებს და ვერ შეუგნია, რომ ის დაშინებული ხალხი აღარ არის, იძულებით თავს რომ აქნევინებდნენ.

საქართველოს ტერიტორიების გამნიავებლები ავღანეთში ღვრიან ქართველი ვაჟკაცების სისხლს მფარველთა საამებლად. მერე რა, ირანის შაჰის საამებლად ხომ ომობდნენ; საბჭოთა კავშირის დროსაც ინტერნაციონალური მოვალეობის ხათრით იღვრებოდა ქართველთა სისხლი. თეთრი მელა – შევარდნაძე კიდევ ქართველებს რუსეთის ბაზრებში დასდევდა – თქვენი დაწიოკება და სახელის გატრეხა მჭირდება კარიერის კიბეზე ასაბიჯებლადო.

ანეკდოტი რომ არის: მეთაურმა შეტევის ბრძანება რომ გასცა და ჯარისკაცი უკან რომ გაიქცა – დედამიწა მრგვალია და მტერს უკან მოვექცევიო – ჩვენც ასე გვჭირს. დღეს ავღანეთიდან ვიცავთ საქართველოს. ხვალ შეიძლება ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩრდილოეთ კორეა არ მოეწონოს და ჩვენც იქიდან მივუახლოვდებით დასაცავად საქართველოს საზღვრებს. ჩვენსავით პატარა ქვეყნის მთავრობა კი თავისი საზღვრებს იქით ცხვირს არ ჰყოფს. ამერიკა მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ომობს და ჩვენც გვიჩნდება იმის პერსპექტივა, რომ სერბიიდან, ერაყიდან, ვენესუელადან, ნიკარაგუადან ან იამაიკიდან დავიცვათ მტრისაგან საქართველო.

მოქნაცა პრეზიდენტი ქართველი ვაჟკაცების ავღანეთში დასახიჩრება-დაღუპვაში თავის დანაშაულს გრძნობდა და ცდილობდა მის დაფარვას. ახლა ფრთები გაშალა და ლაქლაქი გაახვავრიელა. ძალიან კი განაწყენებულია, ახალმა თავდაცვის მინისტრმა ჩემეული საგარეო პოლიტიკა მომპარაო. მოპარვა კი არა, ზოგიერთი ეჭვიანი ქმრის ცოლივით შარაგზაზე რომ დააგდო, ზედ არავინ მიაფურთხებს. როგორც ძეგლების ნგრევასა და ახლის მშენებლობაში უაღრესად დამზრალი ტვინის შესაძლებლობა გამოავლინეს, ასევე გასაოცარი იყო მათი სამხედრო სტრატეგია თუ ტაქტიკა. მოქნაცას სამხედრო მინისტრმა ხუთმაგ ფასში რატომ შეიძინა დანჯღრეული ავტომატები, ვერავინ ამოხსნა. თურმე ამგვარ ავტომატებს იყენებს სავარაუდო მოწინააღმდეგე და ტყვია-წამალი რომ გამოელევათ, მოწინააღმდეგისას გამოიყენებენ.

ნუთუ მხოლოდ საქართველოს საუბედუროდ გამოიჩეკა ამდენი ნაციონალი მიუნჰაუზენი?

ქართველი ხალხის ბრძოლა კი გრძელდება ნაკერებში გარღვეულ, ვირთხასავით კუთხეში მიმწყვდეულ ნაციონალურ უბედურებასთან, რომელმაც იმდენი მუხთლობის კვალი დატოვა და ტოვებს, რომლის გამოსწორებას და ქვეყნის ნორმალური ცხოვრების რელსებზე შეყენებას დიდი დრო, მონდომება და ძალისხმევა დასჭირდება.

განა ღალატი არ არის მიწების უცხოელებზე გაყიდვა?! ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ტიბერიუს გაიუს გრაქხუსებმა სცადეს აგრიკოლის მიწებით უზრუნველყოფა და სოფლად დამაგრება, რასაც შეეწირა კიდეც მათი სიცოცხლე. რომის მსოფლიო იმპერია კი აღიგავა პირისაგან მიწისა. ალბათ ეს მიზანი ჰქონდათ ნაცისტებს, როცა ქართულ მიწებს ასე ხელაღებით ანიავებდნენ, რათა უმიწოდ დარჩენილ გლეხს სოფელი მიეტოვებინა. ამათი გაგებით თურქი, ბური, არაბი თუ ინდოელი ქართველზე მაგარი მშრომელია. ჰოდა, ინდოელებმაც იყნოსეს თაფლის სუნი და მოფრინდნენ...

აქლემი ხრამში გადავარდა თურმე და ვირმა ყროყინი დაიწყო – მე ამომაყვანინებენო. ახლა რასმუსენი რომ მოგვადგეს, ინდოელებს უშველეთ რამეო, რა წყალში გადავვარდეთ, როცა, აგერ, ავღანეთი გაგვხდომია თავში საცემად. ამიტომ არის აუცილებელი მიწის რეფორმა, თორემ, მალე, ალბათ, აბორიგენებს ცალი ფეხის დასადგმელი ადგილიც კი არ დაგვრჩება!

დღევანდელი ყოფა ახალ-ახალი სიურპრიზებით არის გაჯერებული. ვიდრე პრეზიდენტად წოდებული **მოქნაცა** თავის სავარძელს ასე გავეშებით ებღაუჭება, გართობა არ მოგვაკლდება.

ეს კიდევ ახლა მაინც ვერ ხვდება, რომ ყვითელი ავტობუსებით ხალხის ძალათი მორეკვის უნარდაკარგული, ცარიელ ოთახში სკამზე შემდგარი გებელსივით სიცრუის ტრაბახით **“მიშა-მიშა”**-ს ვეღარ აღრიალებს იმას, ვისაც მისი არ ესმის. ამგვარად ტუჩს მაინც აცმაცუნებს პრეზიდენტი **მოქნაცა**:

ღალატზე გადამიცვლია
პატივიც და კოცნაცა,
ოცნებაში შემაძვრინეთ,
დამიძახეთ ოცნაცა.
თვითმფრინავი ჩამომართვეს,
მაინც ვფრინავ მორცხვად ცად;
საქართველო დახლზე მედო
ათ ვერცხლად და ოც ვაცად.
ხალხის ურცხვად მოტყუებით
აღზევება ვიწამე,
მან ოცნებაში გამცვალა,
მე ჭიტლაყი ვიმწარე.
ქართველების შიშით დამფრთხალს
მასულდგმულებს მარტო ეს,
ამერიკელთა ძაღლისშვილს
ნატო არ მიმატოვებს.

ᲒᲘᲕᲘ ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
მწერალი, დავით აღმაშენებლის
სახელობის პრემიის ლაურეატი,
ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ,
20 იანვარი, 2013 წელი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ესპანეთის მორაგბეთა ნაკრებს შერკინებაში ქართველი ჰყავს

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბრაის ბევინმა იმ მორაგბეთა სია გააცხადა, რომლებიც პირველ ორ ტურში რუსეთისა და ბელგიის ნაკრებებს სტუმრად დაუპირისპირდებიან.

აღსანიშნავია, რომ **"ესპანელი ლომების"** ახალზელანდიელმა მწვრთნელმა უპირატესობა ძირითადად იმ შემადგენლობას მიანიჭა, რომელმაც ნოემბრის ტესტებზე აფრიკის კონტინენტზე ვოიაჟისას, ნამიბიისა და ზიმბაბვეს ეროვნული გუნდების დამარცხება შეძლო.

ბრაის ბევინის რჩეულთა შორისაა საქართველოს ჩემპიონისა და თასის მფლობელ **"არმიას"** შერკინების ბურჯი დავით გურგენიძე.

ერთი საგულისხმო დეტალიც: ესპანეთის რაგბის კავშირმა გადაწყვიტა, ოვალური ბურთით თამაშის პოპულარიზაციის მიზნით ერთა თასის შეხვედრები რეგიონებში გამართოს. ასე მაგალითად, მესამე ტურში, 23 თებერვალს **"ლომები"** რუმინეთის ნაკრებს ხიხონში უმასპინძლებენ.

ამასობაში საბრძოლო შემადგენლობა დაასახელა რუსთა ნაკრების უელსელმა თავკაცმა კინგსლი ჯოუნზმა. შემადგენლობაში ადგილი შეინარჩუნა სამივე ქართველმა: გრიგორი ცნობილაძემ (კრასნი იარი), ვალერი ცნობილაძემ (ენისეი) და პაველ კვერნაძემ (სპარტაკი).

სამხრეთაფრიკული შეკრების შემდეგ გუნდს დაემატნენ ვასილი არტემევი (ნორსჰემპთონი) და კირილ კულემინი (ლონდონ ველში).

ესპანეთის ნაკრები

ხავიერ დე ხუან, კორი სმითი (ორივე – სევილია), ჯეკი კარტერი, დანიელ მარონი, სესარ სემპერე (სამივე – ელ სალვადორი), ხუან ანაია (ატლეტიკო), სანტიაგო ფერნანდესი (ალკობენდასი), მეთიუ კუკი, ხავიერ კერიონი (ორივე – ლა ვილა), ხუან ტუდელა (ორდიზია), ხუან მაგუნასელაია (გერნიკა), ოიერ გარმენდია (ერნანი), მატიას ტუდელა (ტატამი), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ხესუს რეკუერდა (ლილი), გაუტიერ მიგუილონი (ბორდო), ლიონელ პარდო (ბეზიე), გრეგორი მარკესი, ჯო ჰატჩინსონი, ხაიმე ნავა (სამივე – ბურგ ან ბრესი), ფერნანდო ბონანი (ბაგნერე), მიქელე მუნია (ბიარიცი), დავით გურგენიძე (არმია).

რუსეთის ნაკრები

პირველი ხაზი: გრიგორი ცნობილაძე (კრასნი იარი), ალექსეი ვოლკოვი, ვლადისლავ კორშუნოვი (ორი – ვვა), ინოკენტი ზიკოვი, ევგენი პრონენკო, ვალერი ცნობილაძე (ენისეი), ანდრეი იგრესტოვი (ფილი), ანდრეი პოლივალოვი (კაზანი).

მეორე ხაზი: კირილ კულემინი (ლონდონ ველში), ალექსანდრ ვოიტოვი (ვვა), მაქსიმ კისილევი (კრასნი იარი).

მესამე ხაზი: ვიქტორ გრესევი (ვვა), ანდრეი ტემნოვი, პაველ ბუტენკო (ენისეი), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი), პაველ კვერნაძე (სპარტაკი), არტიომ ფატახოვი (კაზანი).

№9: ალექსანდრ იანუშკინი (ვვა), ალექსეი შერბანი (ენისეი).

№10: სერგეი სუგრუბოვი (სლავა), ანტონ რიაბოვი (კრასნი იარი), სერგეი იანუშკინი (კაზანი).

№12-13: ალექსეი მაკოვეცკი (კრასნი იარი), მიხაილ ბაბაევი (ვვა), დიმიტრი გერასიმოვი (ენისეი), სერგეი ტრიშინი (ვვა).

№11-14: ვასილი არტემევი (ნორსჰემპთონი), ანდრეი ოტროკოვი (კრასნი იარი).

№15: იგორ კლუჩნიკოვი (ვვა), იგორ კურაშოვი (ენისეი).

ირაკლი მესხიამ მოლდოველებს გოლი გაუტანა – უკრაინის ნაკრებში სამი ქართველია

უკანასკნელ წლებში უცხო ქვეყნის ნაკრებებში ბევრ ქართველ ფეხბურთელს უთამაშია, მაგრამ რუსეთის მეორე **"დედაქალაქ"** სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე **"თანამეგობრობის თასის"** გათამაშებაზე, ახლახან, ჭეშმარიტად უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა.

უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სერგეი კოვალეცმა ტურნირზე ერთდროულად სამი ქართველი ფეხბურთელი წაიყვანა: მცველები ბადრი აქუბარდია და დავით იაშვილი (ორივე – კიევის "დინამო"), აგრეთვე, წარმატებული შემტევი ნახევარმცველი ირაკლი მესხია ("ჰოვერლა-ზაკარპატიე", უჟგოროდი).

უკრაინელებმა 19 იანვარს ლიტვის ნაკრებს **"გამანადგურებელი"** ანგარიშით 3:0 მოუგეს. აქუბარდია მოედანზე მე-60 წუთზე გამოჩნდა, იაშვილი – 81-ეზე, მესხიას კი, ამ მატჩში, საერთოდ არ უთამაშია.

20 იანვარს უკრაინელებმა მოლდოველებს 2:0 სძლიეს. ქართველებიდან კვლავ ორმა ითამაშა და ამჯერადაც შეცვლაზე: აქუბარდია თამაშში 46-ე წუთზე ჩაერთო, მესხია – 72-ეზე. ამჯერად იაშვილი დაასვენეს.

22 იანვარს უკრაინელები თურქმენეთს დაუპირისპირდნენ და 5:0 მოუგეს: სამივე ქართველი ძირითადში იყო, მესხია 72-ე წუთზე შეცვალეს.

კოვალეცის გაწვრთნილებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და მეოთხედფინალში ისევ მოლდოვას დაუპირისპირდნენ: უკრაინელების უპირატესობა ამჯერად ეჭვს აღარ იწვევდა – 5:0.

აქუბარდიას არ უთამაშია, იაშვილი მოედანზე 62-ე წუთზე შეუშვეს, მესხია - მხოლოდ 56-ეზე. ამ უკანასკნელმა მოლდოველთა განადგურებაში თავისი წვლილი შეიტანა და 64-ე წუთზე ლამაზი გოლი გაიტანა.

25 იანვარს ნახევარფინალებია: უკრაინა ლიტვას შეხვდება, რუსეთი – ბელორუსს და გამოვლინდებიან ფინალისტები, რომლებიც ერთმანეთს 27 იანვარს დაუპირისპირდებიან.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი

ილია II: "რუსეთს სჭირდება ძლიერი საქართველო და საქართველოს სჭირდება ერთიანი რუსეთი"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარ-ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოსკოვში მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთობის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე, რომელსაც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი ხელმძღვანელობდა, განაცხადა: **„მრავალი საუკუნეების მანძილზე საქართველომ უზარმაზარი გამოცდები გადაიტანა, თუმცა, სირთულეებს ყოველთვის უმკლავდებოდა... ეს პრემია ქართული ეკლესიის და ქართველი ხალხის დამსახურებაა, რომელმაც კომუნისტური მემკვიდრეობის მიუხედავად, ღმერთის ღრმა სიყვარული გამოავლინა, აღადგინა და ააშენა ათასობით ეკლესია, მონასტერი და მასთან ერთად სულიერება აღადგინა".**

კათოლიკოს-პატრიარქი თვლის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დღეს არსებული სახელმწიფოთაშორის დაძაბული ურთიერთობა განპირობებულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხით. **„მე არაერთხელ განმიცხადებია რუსეთის სახელმწიფო პირთათვის, რომ რუსეთს სჭირდება ერთიანი საქართველო და საქართველოს სჭირდება ერთიანი, ძლიერი რუსეთი! ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. ამიტომ ეს საკითხი, ადრე თუ გვიან, უნდა გადაწყდეს. ღმერთის დახმარებით, ბრძენი და მამაცი ადამიანების დახმარებით, როგორც საქართველოში, ასევე, რუსეთში და, ბუნებრივია, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება ყველასთვის".**

იუმორი

– ძალიან ცუდად მუშაობს ჩვენი ფოსტა, – უჩივის ფოსტას გურული.

– რატომ?

– ორი კვირის წინ დავწერე წერილი, ჩავდევი კონვერტში, დავაწებე, დავაწერე ადრესი, მარა, რათ გინდა, გუშინ პალტოს ჯიბეში აღმოვაჩინე.

* * *

კახელს ტყეში ყაჩაღი დახვდა.

– ფული, ჩქარა!

– ბატი-ბუტი მაქვს აგერ და ჭამე, ჩემო ბატონო!

– ბატი-ბუტი რა უბედურებად მინდა?!

– სანამ ვინმე ფულიანი გამოივლის, თავს შაიქცევ, რაღა...

* * *

სვანს ეკითხებიან:

– უცხო ენა გესმის?

– მესმის, აბა რა, ყრუ კი არა ვარ! კი მესმის, მაგრამ ვერაფერს ვგებულობ!

* * *

– ორმოცი ლარი მომპარეს, ამის დედა... – წუხს იმერელი.

– მერე, პოლიციაში არ მიხვედი?

– მივედი, მარა, მითხრეს, ჩვენ არ მოგვიპარიაო.

* * *

– ძვირფასო, როცა მოვკვდები, დამიტირებ? – ეკითხება მომაკვდავი რაჟდენა ცოლს.

– რა თქმა უნდა, საყვარელო, – პასუხობს ქალი სლოკინით, – ხომ იცი, უბრალო რამეზეც ვტირი ხოლმე.

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge